


729  
1970



83

# מחשבות על



729

1

საქართველოს თეატრალური საზოგადოების

# მოამბე

№ 1 (53)

იანვარი--თებერვალი

13

11.358.



19 თბილისი 70



### შინაარსი

სახელოვანი იუბილესათვის (საქ. თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი)	3
გ. ჩაბივა — ოლქის კულტურის კერებში	6
დოდო ანთაძე — ქუთაისის საოპერო თეატრი	8

#### რესპუბლიკის თეატრალურ აფიშასთან

ეთერ გუგუშვილი — „სამანიშვილის დედინაცვალი“	10
რუთა ბერძენი — სპექტაკლი რომელშიც კამათი გამოიწვია	12
რუბენ ჩეთითი — რევოლუციური სპექტაკლი	14
ნონა გუნია — სამი დებიუტი	16
გიორგი მაჭუტაძე — „ეშმაკის სამკუთხედი“	17
მზია შენგელია — პატარების საყვარელი სპექტაკლი	18
ოთარ მამფორია — კარისკაცი (ლექსი), მორის ფოცხიშვილი მომაკვდავი გელი, კომედიანტების ბალადა (ლექსები)	19
ამირან კალაძე — ქართული დრამატურგია ესტონურ ენაზე	20

#### ღვაწლმოსილთა გახსენება

ელენე კვიციანი — ზურაბ ანტონოვი	22
ნიკო გოჩაშვილი — გიორგი არაღელ-შოსნელი	23
ცაცა ამირეჯიბი — მცირე მოვლენება	24
შაქრო გომელაური — სცენაზე და ცხოვრებაში	25
დავით ჩხეიძე — არეთა ლოლუა	26
ვაჟა ჩინჩალაძე — უანგარო სიყვარულით	29
სერგო ცაგარეიშვილი — ღვაწლმოსილი	32
აკაკი დევიძე — ტიტე გაფრინდაშვილი	33

#### ჩვენი პუბლიკაცია

მიხეილ ქორელის წერილი აკაკი ფაღავასადმი	35
---	----

#### გამოთხოვება

ნიკოლოზ მამაცაშვილი	37
---------------------	----

#### ქრონიკა

ქართული თეატრის დღე	38
„პრემიერა“	39
მსახიობის ხსოვნის საღამო	54

#### იუმორი

დიერდ მიკეში — ხელის მოთბობა	41
------------------------------	----

#### თეატრალური წიგნის თარი

ირ. კენჭოშვილი — „შექსპირის სამყაროში“	42
ერემია ქარელიშვილი — „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები თეატრის შესახებ“	43
თეატრალური ლიტერატურის ბიბლიოგრაფია (1951 — 1960)	45

## რედაქტორი — ვიკტორია ჭარალიშვილი პასუხისმგებელი მდივანი — გუჩამ ბათიაშვილი

---

**საკრედიტო კოლეგია:** დ. ანთაძე, ვ. გოძიაშვილი, ო. ევაძე, ნ. გურაბანიძე, დ. მჭედლიძე, ბ. ჟღენტო, ნ. შვანგირაძე, გ. ციცი-შვილი, ა. ხორავა, დ. ჯანელიძე.

---



## სახელმწიფო იუბილესათვის

საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის პლენუმი

მეტად საქმიან ვითარებაში წარმართა საქართველოს თეატრალური საზოგადოების გამგეობის მეექვსე მოწვევის მეექვსე პლენუმი, რომელიც 1970 წლის 16 თებერვალს გაიმართა.

პლენუმის თემა იყო „რესპუბლიკის სახელმწიფო თეატრების მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის“.

პლენუმი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დოდო ანთაძემ.

— ჩვენი პლენუმი მეტად საყურადღებო ვითარებაში იკრიბება — ამბობს დ. ანთაძე. — დღეს მთელი ჩვენი ხალხი, მთელი მსოფლიოს პროგრესული საზოგადოებრიობა ინტენსიურად ემზადება ვ. ი. ლენინის 100 წლისთავისათვის. ამ მხრივ ჩვენს თეატრებს დიდი წინასწარი სამუშაოები აქვთ ჩატარებული. ახლა ჩვენი თეატრების სარეპეტიციო დარბაზებში შემოქმედებითი აღმავლობით მიმდინარეობს ამ დიდი თარიღისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რეპეტიციები.

კარგი საქმე გააკეთეს საქართველოს კულტურის სამინისტრომ და მწერალთა კავშირმა, როცა ვ. ი. ლენინის საიუბილეოდ გამოაცხადეს კონკურსი საუკეთესო პიესებზე. ამ კონკურსმა მნიშვნელოვანი შედეგები გამოიღო, გამოჩნდა რამდენიმე ახალი პიესა და ჩვენ იმედი გვაქვს შეიქმნება კარგი სპექტაკლები, რომელთა მეოხებით ხელდამშვენებული შეხვედრებით მსოფლიო პრაღმატიკის ბელადის ასწლოვან იუბილეს.

შემდეგ დოდო ანთაძე მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს თეატრების განყოფილების უფროსს ვასილ კიკნაძეს.

ვ. კიკნაძე ამბობს:

— დღევანდელი პლენუმის ამოცანა მეტად კონკრეტულია. საკითხი, რომელზეც დღეს უნდა ვილაპარაკოთ, თემატურად განსაზღვრულია და ამდენად ჩემს მოხსენებაში შედარებით ნაკლებად იქნება განხილული თანამედროვე ქართული თეატრის წინაშე წამოჭრილი საჭირობოროტო საკითხები. დღეს უნდა ვილაპარაკოთ იმის შესახებ თუ რა გვაქვს ამ დიდ იუბილესთან დაკავშირებით, და რა უნდა გავეთქვას იმ მოკლე დროის მანძილზე, რომელიც დარჩა.

მზადება დროულად დაიწყეთ. ალბათ, არასოდეს ყოფილა ისეთი შემთხვევა, როცა დრამატურგისათვის ექვსი თვის განმავლობაში ეძლიოთ ყოველთვიური ხელფასი, შეიქმნათ მისთვის ყოველგვარი პირობები ნაყოფიერი მუშაობისათვის. ამ სახელმწიფო დაკვეთამ კარგი შედეგი გამოიღო. დაიწერა რამდენიმე კარგი პიესა, ხოლო სამს ამითვან პრემიები მიენიჭათ. ყიუტრის მიერ მოწონებული პიესები კარგი სპექტაკლების შექმნის საფუძველს იძლევა. როცა ლენინის იუბილზე ვლაპარაკობთ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ ლენინი იყო ისეთი მოღვაწე, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა თეატრს. მრავალი სამისო ფაქტი შემოგვინახა ისტორიამ. 1919 წლის 3 მაისს, საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრების რთულ პერიოდში, ლენინი იწვევს თათბირს და იხილავს მოსკოვის თეატრებში ბილეთების მასებში გავრცელების საკითხს. იგი ხშირი სტუმარი იყო მოსკოვის თეატრებისა. სამხატვრო თეატრის დღიურებში ხშირად შეხვედრებით ასეთ ფრაზას: „დღეს თეატრში იყო და სპექტაკლი ნახა ვლადიმერ ილიას ძე ლენინმა“.

ლენინის საიუბილეო სამზადისი განსხვავდება ყველა სხვა საიუბილეო სამ-



ზადისისაგან. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებული ენერგიულობით გვმართებს მუშაობა. ქართულ სცენას დიდი გამოცდილება აქვს თეატრალური ლენინიანის შექმნაში, ქართულ სცენაზე არაერთ მსახიობს ბრწყინვალედ შეუსრულებია ბელადის სახე. მაგრამ ახლა აუცილებელი არ არის სცენიდან წარმოვსახოთ ოქტომბრის ბელადი. ჩვენ უნდა შევექმნათ ამ დიდი ადამიანის საკადრისი თანამედროვეობის ამსახველი სპექტაკლები.

ამ მხრივ დღეს ქართულ თეატრში ბევრი რამ თვალსაჩინო კეთდება. რეპერტუარშია ქართველ, რუს და უცხოელ ავტორთა ისეთი პიესები, რომლებიც კარგად ასახავენ ჩვენი დროის ადამიანთა ყოფას, ჩვენი თეატრების სარეპერტუარო დარბაზებში შემოქმედებითი აღმავლობით გადიან ლენინის იუბილისადმი მიძღვნილი სპექტაკლების რეპეტიციებს, რუსთველის თეატრი ამზადებს „ჟღერების“ „დედის ფიქრებს“, მარჯანიშვილის თეატრი — ვ. კანდელაკის — „დრო — 24 საათს“, რუსთავის თეატრი — თ. ჭილაძის „მკვლელობას“. ამთგან ორმა უკანასკნელმა რესპუბლიკურ კონკურსზე პრემიები დაიმსახურა და კარგი სცენური სიციცხლის პერსპექტივებიც გააჩნიათ. მაგრამ მე აქვე მინდა საყვედური გამოვთქვა ამ თეატრების მიმართ. მე პირადად ეჭვი მეპარება, რომ ზოგიერთმა მათგანმა საიუბილეო თარიღისათვის მოასწროს ამ სპექტაკლების ჩვენება. ამას გარდა საჭირო იყო, რომ თეატრებს საიუბილეოდ ეჩვენებინათ არა თითო სპექტაკლი, არამედ უფრო მეტი. ამისათვის კი საჭირო იყო უფრო ადრე დაწყებულიყო საიუბილეო სამუშაოები.

შემდეგ ვ. კიკნაძე ლაპარაკობს რესპუბლიკის სხვა თეატრების სამზადისზე, საყვედურობს ზოგიერთი თეატრის ხელმძღვანელობას იმის გამო, რომ მათ დროზე არ წარმოადგინეს საკონკურსო სპექტაკლები.

— ლენინის იუბილეს შემდეგ — განაგრძობს ვ. კიკნაძე — ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს პიტოლეო გერმანიაზე გამარჯვების 25 წლისთავს. ხოლო ცოტა მოგვიანებით ჩვენ უნდა დავიწყოთ გაცხოველებული მზადება საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის. საჭიროა ეს სამზადისი დროულად და საქმიანად წარიმართოს, რეპერტუარში შევიტანოთ პიესები, რომლებიც ასახავენ საბჭოთა საქართველოს წარსულს და აწმყოს.

იმედი მაქვს, რომ ჩვენი თეატრები დარჩენილ დროს მაქსიმალურად გამოიყენებენ და ის ნაკლი, რომელიც სადღეისოდ გააჩნიათ, გამოსწორდება და იუბილე ნამდვილი ზემის დონეზე ჩატარდება.

მოხსენების დამთავრების შემდეგ იწყება კამათი. პირველი გამოდის თბილისის თ. ფალიაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი **დიმიტრი მჭედლიძე**. იგი ამბობს:

— როგორც ყოველ საბჭოთა თეატრში, ჩვენს თეატრშიც გაცხოველებული საიუბილეო მზადებაა. ვამზადებთ ანდრია ბალანჩივაძის ახალ კომიკურ ოპერას „საქორწინო კაბა“. ეს ოპერა მეტად საინტერესოა თავისი თვისობრიობით და საოპერო ენისათვის ბევრ სიახლესაც შეიცავს. ამიტომ ყურადღებისა და ენერჯის დიდი დამბავით ვმუშაობთ. ვახტანგ ჭაბუკიანი ახალი რედაქციით განახორციელებს ადრე დადგმულ ბალეტს „მშვიდობისათვის“.

შემდეგ დ. მჭედლიძე ჩამოთვლის იმ სპექტაკლებს, რომლებსაც უახლოეს ხანს აჩვენებენ მაყურებელს. ამ ოპერებმა და ბალეტებმა კიდევ უფრო მეტ შემოქმედებითი სიხარული უნდა მოუტანოს მაყურებლებს.

სიტყვას იღებს სსრ კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **სერგო ზაქარაიძე**.

— დღეს ჩვენ მეტად მნიშვნელოვან საკითხზე შევიკრიბეთ — ამბობს სერგო ზაქარაიძე. — ვლადიმერ ილის ძე ლენინის იუბილეს პირნათლად შეხვედრა ჩვენი უახლოესი ამოცანაა. ეს თარიღი მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის ისტორიისათვის, მნიშვნელოვანია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ამ ისტორიას ქმნიდნენ. ეს თარიღი ჩვენი ცხოვრების პათოსს განსაზღვრავს. ლენინი და მისი მოძღვრება იყო და არის საფუძველი ჩვენი ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

ჩვენმა თეატრმა გარკვეული, მე ვიტყვოდი, ძალზე მნიშვნელოვანი როლი

შეასრულა ქართული თეატრალური ლენინიანის შექმნაში. ჩვენს სცენაზე შეიქმნა ვლადიმერ ილიას ძის ჩინებული სცენიური სახეები. ჩვენ ვგსურს ტრადიციების კარგი გამგრძელებელნი ვიყოთ. ამიტომაც ჩვენ თავგამეტებით ვმუშაობთ ელენტის პიესაზე „დედის ფიქრები“, რომელსაც ბელადის იუბილეს მიეძღვნით. პიესას დგამენ მ. თუმანიშვილი და რ. სტურუა. დღეს თეატრალური საზოგადოების პლენუმი და, ალბათ, ამჩნევთ, რომ რუსთაველის თეატრიდან ჩემს გარდა არავინ მოსულა. ეს იმიტომ. რომ მთელი დასი მუშაობს, დღემდე ორი-სამი რეპეტიცია გვაქვს. ჩვენი მასურებელი მალე ნახავს აგრეთვე ნოდარ დუმბაძის ახალ პიესას, რომელზეც იმუშავენს რობერტ სტურუა, წარმოვადგენთ ნოდარ წულუისკირის „თუთარჩელას“, თამაშ ჭილაძის „მკვლევლობას“.

ამ დიდ იუბილეს შემდეგ, 15 მაისს ჩვენი თეატრი გერმანიასა და პოლონეთში მიემგზავრება. ყოველნაირად ვცდილობთ, რომ გასტროლებმა კარგად ჩაიაროს.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს მარჯანიშვილის თეატრის დირექტორს **ანზორ ქუთათელაძეს**. იგი ამბობს:

— ჩვენ ვდგამთ ვ. კანდელაკის პიესას „დრო — 24 საათი“, რომელიც აპრილის შუა რიცხვებში გამოვა. საიუბილეოდ გავმართავთ აგრეთვე პოეზიის საღამოს. წაკითხული იქნება ქართველ პოეტთა და ხალხურ მთქმელთა ლექსები ლენინზე. ჩვენი თეატრის ფოიეში მოეწყობა გამოფენა იმ სპექტაკლებისა, რომლებშიაც ლენინის სახე იყო შექმნილი. ასეთი სპექტაკლი კი ბევრი იყო ჩვენს თეატრში. მ. გომელაურისა და პ. კობახიძის მიერ ჩვენს თეატრში განსახიერებული ლენინის სახე თეატრის დიდი შემოქმედებითი წარმატებაა.

მალე მარჯანიშვილის სახელობის თეატრს სათავეში ჩაუდგება დოდო ალექსიძე. იმედია, რომ ეს ბევრ სასიკეთო სიახლეს მოიტანს.

სიტყვა ეძლევა რუსთავის სახელმწიფო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს **გიგა ლორთქიფანიძეს**.

გიგა ლორთქიფანიძე ლაპარაკობს რუსთავის თეატრის საიუბილეო სამაზადისზე და აღნიშნავს, რომ თეატრი გაცხოველებით მუშაობს დიდი ბელადის იუბილესათვის. ჩვენ წარმოვადგენთ თანამედროვეობის აქტუალური პრობლემებისადმი მიძღვნილ თამაშ ჭილაძის „მკვლევლობას“. ამასთან ერთად, გ. ლორთქიფანიძე ლაპარაკობს შემოქმედებით საკითხებზე. ძნელი იქნება ნამდვილი გამარჯვების მიღწევა, — ამბობს იგი, — თუ უფრო გაბედულნი არ ვიქნებით თანამედროვეობის ასახვისას, ღრმად არ შევიჭრებით მოვლენებში და პრობლემატურად არ გავაანალიზებთ მას. უფრო პრინციპული უნდა იყოს თეატრალური კრიტიკა.

შემდეგ სიტყვას იღებს თელავის თეატრის მსახიობი **თინა ბურბუთაშვილი**.

თ. ბურბუთაშვილი პლენუმის წევრებს აცნობს იმ სამაზადისს, რომელსაც თელავის თეატრი ეწევა იუბილესათვის. შემდეგ იგი ამბობს, რომ კულტურის სამინისტრომ, თეატრალურმა საზოგადოებამ და საერთოდ დედაქალაქის თეატრალურმა ინტელიგენციამ მკით ყურადღება უნდა მიაქციოს პერიფერიის თეატრებს, უნდა იყოს ისეთი პრაქტიკა, რომ დედაქალაქის რეჟისორები პერიფერიაში ჩამოდიოდნენ და თითო-ორიოლა პიესებს დგამდნენ.

გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი **ოთარ ალექსიშვილი** პლენუმს აცნობს გორის თეატრის საიუბილეო სამაზადისს.

პლენუმის მუშაობა შეაჯამა დ. ანთაძემ.

## ოლქის ქეღვირის ქერებში

### ბ. ჩაბივა,

სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭოს აღმასკომის  
კულტურის განყოფილების უფროსის მოად-  
გილე, საქ. სსრ ხელოვნების დამახურობელი  
მოღვაწე.

სამხრეთ ოსეთის კულტურის განმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი, სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი „სიმღი“, მხატვართა კავშირი, მ. ს. თულანოვის სახელობის ცხინვალის სამხატვრო სასწავლებელი, მუსიკალური სკოლა, მხარეთმცოდნეობის სახელმწიფო მუზეუმი, ხალხური შემოქმედების სახლი, ბიბლიოთეკები და საკლუბო დაწესებულებები საქმიანად და დიდი ერთუზიანებით ემზადებიან სახელოვანი თარიღის — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესათვის. ეწყობა ფოტო-გამოფენები, ტარდება ლექციები, საუბრები და მოხსენებები, რომლებშიც შექდება ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა.

კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი განსაკუთრებული მონდომებით ემზადება ამ თარიღისათვის, თეატრის რეპერტუარი ივსება ისტორიული, კლასიკური და თანამედროვეობის ამსახველი პიესებით.

თეატრი თანმიყოლებით ამზადებს სპექტაკლებს, რომლებშიც ასახული იქნება მშრომელი ხალხის ბრძოლა უკეთესი მომავლისათვის. ლენინის თემების ამსახველ პიესებიდან თეატრი დასადგმელად ამზადებს პოვოდინის „თოფიან კაცს“.

სპეციალურ საიუბილეო პროგრამაზე

მუშაობს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „სიმღი“

ოლქის მხატვრებს განზრახული აქვთ ვ. ი. ლენინის დღეებს უძღვან საგანგებო გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ფერწერის, სკულპტურის, გრაფიკის და სხვა სახის ნაწარმოებები. ჩვენი მხატვრები ასევე შემოქმედებითად ემზადებიან რესპუბლიკურ და საკავშირო საიუბილეო გამოფენებში მონაწილეობის მისაღებად. ლენინის დღეებს ეძღვნება აგრეთვე ცხინვალის სამხატვრო სასწავლებლის სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენა.

სამხრეთ ოსეთის კომპოზიტორები თანაირთ მუსიკალურ ნაწარმოებებს ამზადებენ ვ. ი. ლენინის იუბილესთვის, ხულო მუსიკალური სასწავლებლისა და მუსიკალური სკოლის ძალებით 1970 წელს ჩატარდება კონკურსი ვ. ი. ლენინზე დაწერილი სიმღერის საუკეთესოდ შესრულებისათვის.

სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერი მუშაკები ამზადებენ სპეციალურ სამეცნიერო სესიას ლენინურ თემაზე. უკვე მოიწყო ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ახალი ექსპოზიციები და მოძრავი გამოფენა.

ნ. კ. კრუპსკაიას სახელობის საოლქო ბიბლიოთეკის მუშაკებმა მოაწყვეს სპეციალური ლიტერატურის გამოფენა, ფოტო სტენდები. წაკითხულ იქნა ლექციები თემებზე: „ლენინი და სამხრეთ ოსეთი“, „შეადგინეს თემატური კარტოთეკა „ლე-



ნინი და საქართველო“, მათვე გაუგზავნეს ოლქის ბიბლიოთეკებს სარეკომენდაციო სიები: „ლენინი ბიბლიოთეკისა და პერიოდული პრესის შესახებ“, „ლენინი კომუნისუმის შესახებ“ და სხვ.

აღნიშნულმა ბიბლიოთეკამ მოამზადა და რაიონებში გაავრცავა მეთოდური წერილი „ვ. ი. ლენინის ნაწარმოებთა პროპაგანდა“. ახლო მომავლისათვის ბიბლიოთეკას გათვალისწინებული აქვს ჩაატაროს ლექციები თემებზე: „ვ. ი. ლენინი — ოქტომბრის დიდი ბელადი“, „ლენინი — როგორც პროპაგანდისტი და აგიტატორი“, „ლენინი და საქართველო“, „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

საოლქო საბავშვო ბიბლიოთეკა თავის მხრივ მთელ რიგ ღონისძიებებს ატარებს საიუბილეო დღეებში. შედგენილია თემატური კარტოთეკა, სადაც შეტანილია შემდეგი ძირითადი საკითხები: „რა წავიკითხოთ ვ. ი. ლენინზე“, „ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სარე-

კომენდაციო წიგნების სია“, „მეთოდური მასალები“, „კონსულტაციების ჩატარება რაიონულ საბავშვო ბიბლიოთეკებში“, „ლენინური კითხვა“, მეთოდური ხასიათის წერილების რეკომენდაცია“ და სხვ.

საბავშვო ბიბლიოთეკებში ტარდება ლექციები: „ლენინი — ბელადი და მასწავლებელი“, „ვ. ი. ლენინის ცხოვრება და რევოლუციური მოღვაწეობა“, „ლენინი ახალგაზრდობის შესახებ“, „ვ. ი. ლენინის ბავშვობისა და სკოლის წლები“, „ლენინი და ბავშვები“.

ბიბლიოთეკაში ეწყობა შეხვედრები ძველ ბოლშევიკებთან, სამამულო ომის ვეტერანებთან.

ოლქის შემოქმედებითი და კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებები გულმოდგინეთ ემზადებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლის იუბილესა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავისათვის.

## ქუთაისის სამოქალაქო თეატრი

დოდო ანთაძე,

საქართველოს სსრ სახალხო არტისტი,  
საქართველოს თეატრალური საზოგადოე-  
ბის თავმჯდომარე.

გასული წლის დეკემბრის ბოლო დღეები უდავოდ ბედნიერი იყო ქართული თეატრისა და მუსიკის მოყვარულთათვის, ყოველი ადამიანისათვის, რომელსაც გულით უყვარს ქართული თეატრალური ხელოვნება.

1969 წლის 27 დეკემბერი ქართული კულტურის ისტორიაში დიდი ასოებით ჩაიწერება. ამ დღეს ძველი თეატრალური ტრადიციების ქალაქ ქუთაისში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა თბილისის საოპერო თეატრის ფილიალი. ქუთაისელთა ეს სიხარული მთელმა საქართველომ გაიზიარა. აქ იყვნენ საქართველოს თითქმის ყველა რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგები ე. პ. მუხანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი და სხვები. ეს გარემოება ნათელი გამოხატულება იყო იმისა, თუ რა დიდად ზრუნავენ ჩვენი პარტია და მთავრობა თავისუფალ ხალხთა ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

მე იმედი მაქვს, რომ ქუთაისში ისევე გაიფორმდება საოპერო ხელოვნება, როგორც დრამატული თეატრის ვარსკვლავი მნათობს.

მე მინდა წინასწარმეტყველის ძალა ჰქონდეს ჩემს სიტყვებს, რადგან მჯერა, რომ დასავლეთ საქართველოს გულში არსებული თეატრი ანდამატცივით მიიზიდავს ჰაბუტებსა და ქალიშვილებს, გამოავლენს ახალ სარაჯიშვილებსა და ამირანაშვილებს, მსმენელებში აღზრდის მაღალი ესთეტიკური კულტურისადმი პატივისცემას, ჭეშმარიტი ხელოვნების სიყვარულს.

ქუთაისში ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის გახსნა ორმა გარემოებამ განაპირობა. პირველი, და რაც

მთავარია, — ეს არის საბჭოთა წლებში მოპოვებული მუსიკალური კულტურის უმაღალითო მიღწევები.

ქართულმა საოპერო და საბალეტო ხელოვნებამ ჩვენს დროში წარმოუდგენლად მაღალ დონეს მიაღწია, ჩვენმა სიმღერებმა და ცეკვებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ჩვენი რესპუბლიკა სამართლიანად ამაყობს თავისი მაღალნიჭიერი კომპოზიტორებითა და მომღერლებით. ვახტანგ ჰაბუტიაძე ხომ მთელ კავშირში სახელგანთქმული დიდებული საბალეტო სკოლა შექმნა! მეორე — ქუთაისი ტრადიციულად ისევე მუსიკალური ქალაქია როგორც თეატრალური. ქუთაისში დაიარსა ქართული პროგრესული მუსიკის ფუძემდებელთა და დიდოსტატთა აკადემია. აქ აღიზარდნენ გენიალური ზაქარია ფალიაშვილი და მელიტონ ბაღანიანი. ამათ გარდა ქუთაისმა ქართულ მუსიკალურ ხელოვნებას ბევრი ამაგდარი გაუზარდა. აქ აიღვა ფეხი არა ერთმა მომღერალმა, მუსიკოსმა და პედაგოგმა. ეს პროცესი დღესაც გრძელდება. და, უდაოა, თბილისის საოპერო თეატრის ფილიალის გახსნა კიდევ უფრო ხელს შეუწყობს ქართული მუსიკალური ხელოვნების შემდგომ აყვავებას.

მე, როგორც ქართველ ხელოვანთა ერთ-ერთი წარმომადგენელი, დიდმა მღელვარებამ შემიპყრო, როცა ამ ბედნიერ დღეს, სავარდო და სამაისო ქუთაისის მთავარ ბაღში, იქ, სადაც გენიალური აკაკის მონუმენტური ფიგურაა აღმართული, საფუძველი ჩაუყარეს ზაქარია ფალიაშვილის ძეგლს. ძეგლის საფუძვლის ჩაყრას დაესწრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის



პირველი მდივანი ე. ბ. მუჯანაძე და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი.

ყველას გულს სიხარულის გრძობით ავსებენ ქვაზე ამოკვეთილი სიტყვები: „აქ დიდგმება ზ. ფალიაშვილის ძეგლი“.

დადგა საღამო. ქუთაისის მცხოვრებთა და სტუმართა სასიხარულო გრძობებს ფილიალის პირველი სპექტაკლის — ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“ უკვდავი პანგები შეეხმიანა.

ახალმა თეატრმა სიცოცხლე დაიწყო! სპექტაკლმა წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა და თავიდან ბოლომდე იშვიათი აღმავლობით ჩატარდა.

მთელი შემოქმედებითი შთაგონებით მღეროდნენ სოლოს ჩვენი ცნობილი ოსტატები — ზურაბ ანჯაფარიძე, პეტრე ამირანაშვილი, მედეა ამირანაშვილი, ნათელა ტულუში, გივი ტორონაძე და სხვები. ჩინებული იყო დირიჟორი თეიმურაზ კობახიძე.

მე არასოდეს დამავიწყდება ამ საღამოს სიტბოსა და სიხარულის მადლი. ეს ამალღებული განცდები ქუთაისიდან თან გამომყვანა და ისინი ჩემში არასოდეს განელდება.

„აბესალომ და ეთერის“ პრემიერის

დღიდან დიდი დრო არ გასულა, რომ ფილიალმა დადგა ვიქტორ დოლიძის „ქეთო და კოტე“. ამ კომიკურმა ოპერამ დიდად გაახარა ქუთაისელი მაყურებელი. თეატრის ხელმძღვანელობამ არც ნორჩი მაყურებელი დაივიწყა და მისთვის წარმოადგინა ვანო გოციელის „წითელქუდა“.

დღეს ქუთაისელი მაყურებელი „აბესალომ და ეთერთან“, „ქეთო და კოტესთან“ ერთად თავის ქალაქში იამენს მელიტონ ბალანჩივაძის „დარეჯან ცბიერს“, ოთარ თაქთაქიშვილის „მინდიას“.

ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელობამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ეს ჩინებული წამოწყება კეთილად დაგვირგვინებულიყო. ახლა ქუთაისელთა გულისყურზეა საქმე. თბილისის საოპერო თეატრის ქუთაისის ფილიალის შემდგომი წინსვლა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ზრუნვითა და სიყვარულით მოეკიდება მას ქუთაისელი მაყურებელი.

გაუმარჯოს ქუთაისის საოპერო თეატრს!

ვისურვებ, რომ რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული ქალაქი მეორე მძლავრ მუსიკალურ ქალაქად გადაქცეულიყოს. ხელოვნების ამ დარგში სასახელო ტრადიციები შეექმნას.





„საქართველოს  
დღიანუხული“

საქართველოს

თეატრალური აზიონოსი

თეატრალური

...საქართველო უჩვეულოდ იწყება. სცენაზეა ქართული ლიტერატურის კლასიკოსის დავით კლდიაშვილის სახლ-მუზეუმის ერთ-ერთი დარბაზი. აქ გამოფენილია იმდროინდელი ყოფაცხოვრების დამახასიათებელი სამუზეუმო ექსპონატები, რომელშიც ცხოვრობდა და წერდა დიდი მწერალი, — გალატაკებული აზნაურის ოჯახის დეტალები, ჰურბლუელი, ტანსაცმელი, მწერლის თხზულებათა კრებულები, ძველი, 1908 წლის თეატრალური აფიშა, რომელიც ვაუწყებს „საქართველოს დღიანუხულს“ ცალკეული ეპიზოდების პირველი სცენური გახზვების შესახებ, და მის თანამედროვეთა პორტრეტები, — მოკლედ, ყოველივე ის, რასაც გამოჰყვანენ ხოლმე მემორიალურ მუზეუმებში. არაფერი ზედმეტი. არაფერი იმაზე მეტი ან ნაკლები, რაც საჭიროა.

სახლ-მუზეუმში აუჩქარებლად შემოდიან მნახველები. ისინი ჩვენი თანამედროვენი არიან. ისინი მოვიდნენ აქ იმისათვის, რომ პატივი სცენ მწერლის ხსოვნას. აი მომოიფანტნენ კიდევ დარბაზში, ათვალერებენ ექსპონატებს, კითხულობენ დროისაგან გაუყოლებულ დოკუმენტებს, ასეა! ეს მუზეუმი, როგორც ყოველი სხვა მუზეუმი, სავსებით განაწყობს მოსულს იმისათვის, რომ ჩაუფიქრდეს გარდასულ ყაშითა ამბებს, შეეცეს მოგონებებს და სარქივო მასალებიდან რაიმე ახალი შეიძინოს... მუზეუმი, არქივები, დოკუმენტები! ამ „არათეატრალურ“ ცნებებს თითქოს არაფერი აქვთ საერთო თეატრთან — მის ცოცხალ და მოქმედ ორგანიზმთან. მას რამ აიძულა დამდგმელები — ახალგაზრდა რეჟისორები თ. ჩხეიძე და რ. სტურუა — აერჩიათ ეს თავისებური გზა მაყურებლის გულისაკენ — გზა „უეკუსლისა“?

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მათ მართლაც განზრახეს სცენური თხრობა გადაეციონ საარქივო მასალების ერთგვარ დემონსტრირებად და თავიანთ განაცხადს საფუძვლად დაუდეს სურვილი ბოლომდე ტრადიციული ყოფილიყვნენ, არ დასცილებოდნენ ფაქტობრივს.

მაგრამ საქმეც ის არის, რომ განაცხადის არც ფაქტობრივად და არც „დოკუმენტობა“ სრულიად არ უქმნის საფრთხეს სპექტაკლის თეატრალურ ხატოვანებას. ამ „უეკუსლის“ გზას მიჰყავს მისი შემოქმედები (აქ უნდა მოვიხსენიოთ

ახალგაზრდა მხატვრებიც — ა. რამიშვილი და მ. ჰეგუცაძე) სწორედ თეატრისაკენ, მისი სტიქიისაკენ! წუთის შემდეგ „განაცხადი“ თეატრალურ ხერხად შემოტრიალდება და მოხდება მუზეუმის მნახველთა ჯადოსნური გარდასახვა კლდიაშვილის მოთხრობის გმირებად. კიდევ ერთი წუთი და სცენაზე „თამაშდებიან“ ნიუთებიც! — ისინი როგორც, მაგალითად, თოფი, რომელიც „თუ სცენაზე ჰქიდა, — მასასადაზე უთუოდ უნდა გაისროლოს“, — უცებ სამუზეუმო ლიტერატურისაგან იქცევიან, თავის ახრობრივ და ქმედების დახიზნულებას იძენენ! — „თამაშობს“ თოფი, რომელიც კედელზე ჰქიდა — იგი მართლაც იჭექებს მოქმედების მსვლელობის დროს სიტყვამოსწრებელი მოქვიფე-წამებელი კირილი მიმინოშვილის ხელში (ამ როლს დაღუშრეტელი ონავრობით, ფერიულად, ლაღად და ბრწყინვალე ისტაობით თამაშობს რ. ჩხეიძე): „თამაშობენ“ კედელზე ჩამოკიდებული ყაბლახები, რომლებსაც მწარადღ მხარზე მოიგდება სპექტაკლის გმირები; „თამაშობენ“ თვით მკავე ლავაშები და ჩურჩხელებიც კი, რომლებიც გამოფენილია „მუზეუმში“ როგორც ყოფაცხოვრების დამახასიათებელი დეტალები, — ისინი სასურველ სასუსნავად გადაიქცევიან ფემშივე დღიანუხლისათვის (ლ. ძიგრაშვილი); „თამაშობს“ მუზეუმში გამოფენილი ავეჯიც — იგი ხდება სპექტაკლის საჭირო ავეჯად.

ყველა გარდასახვათა წამომწყებლად გამოდის გ. გეგუცაძე. თითქოს უცაბედად იგი მიდის თაროსთან და წიგნს უდმოიღებს. გადფურცლავს პირველ გვერდს. გეგუცაძე კითხულობს მოთხრობის პირველ სტრიქონებს, რომლებსაც ყოველი მოსწავლე იცნობს: „რა თქმა უნდა, ბეკინა სამინიშვილი ღარიბი აზნაურია, ძალიან ღარიბი“. მთხრობელს შეეყვარათ მარტვი და, ცოტა არ იყოს, ოდიოზური ისტორიის სფეროში იმის შესახებ, თუ დაქვრივებულმა მოხუცმა ბეკინამ როგორ გადაწყვიტა კვლავ ცოლის შეერთვა, როგორ შეაშფოთა ამ გადაწყვეტილებამ მისი ერთადერთი ვაჟი პლატონი, თუ როგორ შეუდგა პლატონი მამისათვის ხანში შესული, ორჯერ დაქვრივებული და უშვილო საცოლის ძებნას, რათა მას, პლატონს, სხვა მემკვიდრე —



კონკურენტი არ გასჩენოდა. რაღა თქმა უნდა, — კომიუტორი სიტუაცია, მაგრამ ჩვენ სრულიად არ აღვიქვამთ ამას, როგორც სასაცილო და ფარულ სიტუაციას. თავის დროზე კლდიაშვილის შემოქმედების ეს თავისებურება კლდე შარანის-შვილმა შეინიშნა თავის გამჭრიახი თვალთ, როდესაც წერდა, რომ მწერლის ქმნილებანი ანგელოტური ვოდვეილები კი არ არის, არამედ ისინი გამსჭვალული არიან ნამდვილი ტრანზიციით და „სიცილისა და ცრემლის ზღვარზე დგანან“.

შეატრის ეს ასოვდა. შემდგომი მოქმედების მსვლელობის დროს ჩვენ შევიტყობთ, რომ ყველაფერი სასაცილოდმე პირუტყ მოხდა: ბეკინას გაუჩნდა ვაჟი, პლატონს კი — ძმა! ოჯახურმა არევე-დარევემ სავალალო შედეგი გამოიღო...

„შენ ჩემი დღეუკა გინდა, ძამა!“ — კითხულობს გეგეკეკორი — მთხრობელი, მაგრამ ამ ფრაზას იგი კითხულობს უკვე პლატონის სახელით. მოთხრობის ექსპოზიცია ხდება სექტაკელის ექსპოზიციად. აქტიორის გარდასახვა მოხდა აქვე, აი ამ წუთში, ჩვენს თვალწინ. კოსტიუმიაა და გრომის შეუცვლად. იგი შედის იმ ამბების სფეროში, რომლებიც გარს ახვევია პლატონს, შედის მისი განცდების სამყაროში.

სექტაკელის მსვლელობის დროს გეგეკეკორი კიდევ რამდენჯერმე „გამოეთიშება“ პლატონის სახეს იმისათვის, რომ მოუახლოვდეს რამას, უშუალო კონტაქტი დაამყაროს მაყურებელთან და თავს იცვას არა მარტო სიტუეტური მოქმედების ლოგიკური დამსაბუთებლის მისია, არამედ გადაშლის მის წინაშე რეჟისორული ჩანაფიქრის მთელი იდეურ-ემოციური კონცეფცია. და მაყურებელს, რომელმაც კონტაქტი დაამყარა სექტაკელის სტილისტიკასთან, — უკვე აღარ ეჩიოთრება, როცა პლატონის შემდეგ დანარჩენი მოქმედნი პირნიც შედიან „სახეში“, როცა ისინიც, თითქოს ტექსტის მომხიბველობის ზეგავლენით, ტრადიციული ჩოხების ჩაუცმელად ერთბაშად შედიან მოთხრობის ატმოსფეროში და აქვე, მუხუტეში, იწყებენ მის გათამამებას. ასეთი აქტიორული ტრანსფორმაციის სახიფათობა (საცხებით კანონზომიერი ყოველნაირი ინსცენირების დროს) ამ შემთხვევაში უფრო მძაფრია ხდება იმ უჩვეულო ხერხის გამო, რომელიც არ ითვალისწინებს კოსტიუმებისა და გრომის რაიმე ცვლილებას. აღბათ, აქტიორის შინაგანად უნდა უღრმესად სჯეროდეს ქეშმარიტება ყოველზე იმისა, რაც ხდება, — უნდა ჰქონდეს ნიჭი და ძალა დააყეროს მაყურებელი იმაში, რომ მოთხრობის ასეთი წაკითხვა — ერთადერთი სწორი გზაა იმისათვის, რომ ასე გაბედულად და დაყრებულად გაიაროს „ორმაგი“ გარდასახვის გზა: საკუთარი „მე“-დან მუხუტემის ექსპურსანტების ნეიტრალურ ფიგურებამდე და მათგან კლდიაშვილის მოთხრობის გმირებამდე.

ამ გზას აქტიორები მსუბუქად, შინაგანად თავისთავად და ძალდაუტანებლად გადიან. გეგეკეკორი სრულად მსუბუქე არსად არ გადადის ზერელობაში. მრავალმხრივად, დაფიქრებით და მრავალმხიანი ინტონაციური ვაშთ თამაშობს თავის ბეკინას საბჭოთა თეატრის შესანიშნავი ოსტატი სერგო ზაქარიაძე. ჩინებულადაა შედუღებული სექტაკელის აქტიორული ანსამბლი (კ. საყარდელიძე, ლ. ძივარაშვილი, ელ. საყარდელიძე, ლ. ჩხეიძე, გ. საღარაძე, ნ. მგალობლიშვილი, რომ აღარაფერი ვთქვათ ორი ცენტრალური პერსონაჟის შემსრულებლებზე გ. გეგეკეკორსა და რ. ჩხიკვაძეზე).

აქტიორები ხერხი, რომელიც გამოყენებულა სექტაკელის დასაწყისიდანვე, საშუალებას აძლევს რეჟისორებს თავისუფლად და მსუბუქად გადავიდნენ მოთხრობის ნამდვილი, რეალური სიტუაციებზე პირობითსა და სტილიზებულ ხერხებზე, რაც ხაზს უსვამს რეჟისორის სათანადო დამოკიდებულებას ამა თუ იმ მოვლენისადმი, — ირონიისა და იუმორიდან ნაღვლისა და დრამატუზმის ინტონაციებზე. ამ გადასვლათა ტევად „ფაქტურაში“ მოთავსებულია უძრავი რეჟისორული მინავენები, — უფრო სწორად, — გამოგონებანი! და ეს გამოგონებანი ისეთივე ოდიოზური და ახირებულია, როგორც თვით მოთხრობის ამბები (მართლაც და ქეშმარიტად ფორმა კანონზომიერად მისდევს შინაარსს). ამ გამოგონებათა კასკადი თავის სცენიურ მწყობრ აღნაგობას, იქნეს და არსად არ აღდევს სექტაკელის კომპოზიციისა და სტილის მთლიანობას. მისი საერთო განწყობის შესაბამისად გამოიყურება, მაგალითად, საცოლ-დენიანაცლის საძებნელად წასული პლატონის მოგზაურობის სცენა. როგორ გადავიტანოთ თეატრის პირობებში ამ ეპიზოდის პროზული თხრობის მომხიბველობა და სურნელება, რომელიც აღსავსეა იუმორითაც და ნაღვლითაც? რეჟისორები გვათავაზობენ უჩვეულოს: წესიდან გაკეთებულ ცხენს, რაღაც ფიტულის მსგავსს. იგი საბარლოდ და საცოლავად გამოიყურება. პირველად ვერც კი მიხვდებით, რომ ეს წნულები შეიძლება ცხენად გადაიქცეს! და უტყვო მათარხის ერთი აქნევა ცხენზე-მგდომის დამახსიათებელი მოძრაობა და ჩვენს წარმოდგენა, თითქოს ღირიერის წყებალის აქნევიით, იწყებს რეალური სურათის შექმნას. ის, რაც იგულისხმებოდა ზელშესახებ სინამდვილედ იქცევა. იქმნება სრული ილუზია, რომ კაცი ცხენზე ზის და მიდის. ან და რად ღირს თუნდაც საცოლის მოტაცების სცენა! მოტაცებისათვის გამზადებული გავაშვებულნი და საღერლელ-აშლილი ქვირივი პანკვიოი ეკერის კედლის და მოუთმენლად ელის მომტაცებელთა თავდასხმას. ან და ელენესა და ბეკინას დაქორწინების სცენა



ყველა ტრადიციული ჩვეულების დაცვით, რომლებსაც რევოსტრა თავისი ირონიის ობიექტად ხდის! ან და პლატონის შიშის ზრდა, — რისხვის გამოვლინებანი, როცა იგი რწმუნდებოდა, რომ მომხდარი უბედურების გამოსწორება შეუძლებელია, და ამ გამჭინვარებულ ვნებათა სტიქიადან ლოგიკურად გამომდინარე ახლად-დაბადებულ მემკვიდრის დაბადების სცენას გადწყვეტა როგორც ტრადიციული სამოქალაქო პანაშვიდისა, როგორც ოჯახური უბედურებისა. მძიმედ და მწუხარე მოძრაობის რიტმში მოდიან სპექტაკლის მონაწილენი ბეკინასა და ელენესთან, ხელს ართმევენ თავის დაბლა დახრით და უსიტყვოდ უტყაბდებ მათ თავიანთ სოლიდარობას — თითქმის და თან უსამძიმრებენ კიდევ!

და აი თითქმის ტრაგიკული, თითქმის გამოუვლი ფინალი! — გეგუპკორი, რომელიც ჯერ კიდევ პლატონია, მაგრამ უკვე „შორდება“ პლატონს, კვლავ წიგნს მიმართავს. ახლა მან მისი უკანასკნელი გვერდი გადაფურცლა და დაიწყო კითხვა თავისი გმირის არა გაიციხვის, არამედ მისდამი თანაგრძნობის ტონით: იგი გვაუწყებს

იმას, თუ რამდენი მწუხარება ხედავდა წილად სპანაშვილის ოჯახს, რა მართლაც და გამოუსწორებელ უბედურებად მოეწონა მას ყველაზე ბედნიერი ამბავი ადამიანის ცხოვრებაში. შავსივნიანი გაჩენა ოჯახში განხეთქილება შეიტანა და სიკვდილი მოუტანა ახლობელს. ტრაგიკულმა შეუსაბამობამ ადამიანის სიხარულსა და ადამიანის მწუხარებას შორის გამოხატა ეპოქის ტრაგიკული წინააღმდეგობანი ორი საუკუნის მიჯნაზე, ვინაა ახლა უმეორესეულთა თვალაზრების გახრწნასთან დაკავშირებულ საზოგადოებრივ საკითხებს. ხოლო რუსთაველთა სპექტაკლმა, — შეითვისა რა ყველა ეს სირთულე და შესაბამობა, — გეჩვენა ამავ დროს შემოქმედებითი კოლექტივის ღრმად გააზრებული და ფაქიზი დამოკიდებულება კლასიკური მემკვიდრეობისა და მისი ტრადიციებისადმი, კოლექტივის უნარი — გაიაზროს ყველა ეს პრობლემა უჩვეულო სიახლით. თანამედროულად, ახალგაზრდულად — ამ სიტყვის კარგი გაგებით და, რაც მთავარია, მაღალი პროფესიონალიზმის დონეზე.

## საკეზაქლი რომლემს კამათი გამოიწვია რუთა ბეროძე

ყოველი ახალი სპექტაკლი მაყურებელს წინასწარ უჭმის გარკვეულ განწყობილებას, მაგრამ ამ განწყობილებას განსაუხრებელი მოლოდინი ემატება, როცა დამატარებელი მასალას ჩვენს ცხოვრებაში ღრმად გაჭედნარი ნაწარმოების ინსცენირებას წარმოადგენს.

იშვითა და ბედნიერ შემთხვევას გაუმართლებია ეს მოლოდინი, ვინაიდან ინსცენირებაზე გახარულ შრომას იშვითად მოჰყოლია შემოქმედებითი სიხარული.

ამიტომ სასევტო კანონზომიერია აზრთა ის სხვადასხვაობა, რომელიც გამოიწვია მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრში გრ. კოსტავას ინსცენირების მიხედვით დადგმულმა „მთვარის მოტაცებამ“. ჩვენ შორსა ვართ იმ სპექტაკლებისაგან, რომლებიც ხელაღებით წუნს სდებენ ყველას და ყველაფერს რევისორთ. მესხის მიერ უჭმნილ ამ სპექტაკლში, მაგრამ არც იმას დავმალოვ, რომ კ. გამსახურდიას რომანის ეპოქური ზემოქმედების ძალა იმდენად ძლიერი და მყარი აღმოჩნდა, რომ ძალაუხებურად გვიხდება პარალელის გაკლება სპექტაკლსა და ნაწარმოებს შორის. ეს ხდება უმძიმესად იმტომ, რომ ინსცენირების იმ ვარიანტში, რომელიც ქუთაისში განხორციელდა, სათანადოდ ვერ აისახა გმირთა ფსიქოლოგიური ურთიერთობა და ის სიტუაციები, რომელთა გამო რომანში თარაშ ემხვარის ტრაგიკული პიროვნება წინა პლანზეა წამოწეული და მკვეთრად ნაჩვენებია მისი გარეგანი.

ლ. მესხიშვილის თეატრში ინსცენირებიდან ამოღებული პასაჟებისა და ზოგიერთი გმირის (კაროლინა) „გაუქმების“ გამო, ჩვენს აზრით,

რევისორის განზრახული ჰქონდა წინ დაეყენებინა იმდენად არა თარაშ ემხვარის ტრაგიკული პიროვნება, რამდენადაც ახალი ცხოვრების დამკვიდრებით გამოიწვეული ურთიერთობა სხვადასხვა ორიენტიაციის ადამიანთა შორის, მაგრამ ამ მიზანს მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია.

თარაშ ემხვარი მსახიობ ა. ხერხაძის შესრულებით წარმოვიდგა ცხოვრებისგან განზე გამდვარ, უხამსობამდე მისულ კონსერვატორად. ა. ხერხაძის გარეგანი მოხდენილობა ხელს უწყობს ციცილოზაციით თავგზობურებული კაცის სიკუნურ წარმოსახვაში. კარგად ახერხებს იგი გვაჩვენოს ადამიანი, რომელმაც ძველი დაკარგა და ახალ ვერ მიეღვლია, ადამიანი, რომელსაც შეუძლია ტრადიციით მომდინარე რაიმე უმნიშვნელო ნორმის დარღვევის გამო უსაყვარლესი არსებაც კი გასწიროს. ა. ხერხაძის თამაში „შამბეტადია“ წინაპართა პორტრეტთან განმარტოვების, დედის ცარიელ სავარძელთან დამხობის, ლამარის მიერ გაწმობის და მომავლადი თამარის ნახვის გადაწყვეტილების მიღების სცენებში. აქ ყველაგან ხსზგასმულია თარაშ ემხვარის დიდი სულიერი სიმარტოვე და განწითარელობა.

ვიტყვით იმასაც, რომ ა. ხერხაძე თამართან შეგვედრების დროს ყოველთვის ვერ ახერხებს მოხლოებასა და მისი შესატყვისი მოქმედების ერთ ყალიბში მოქცევას, სწრაფად მონაცვლელ სულიერი განწყობილების გადაციემას სტილური მრავალფეროვნებით, რის გამოც მის მეტყველებაში ზოგჯერ ჭარბობს მონოტონურობა. თამარ შარვაშიე ახალბედა მსახიობის ნ. ყორაქოლიანის შესრულებით წარმოვიდგა ეფემ-





რულ, ნახ არხებდა, თარიანს უერთგულს მიჯნურად, რომელიც ამ ფრიად განათლებულ კაცის განძობის სიტლანქეს დაუტყობის კარამდე მიჰყავდა, მაგრამ მინც მასზე მლოცველი რჩება. სპექტაკლში თამარს, უმეტესად თარაშთან ურთიერთობაში, ცალმხრივად ვხედავთ, შევეციონია მისი მოქმედების არე, სიტყვიერი მასალაც, იქნებ ამიტომაც ზავად გვეჩვენება მსახიობი ნ. ჟორჯოლიანის გამომსახველობითი თერების ნიუანსები, და დასაშლია, რომ მსახიობს ავლია შინაგანი სიღრმე. იგი ცდილობს სრულყოფი თაგის სცენური გმირი და ჭირაც არ დაუშთაგრებანა ძიება. ამას ისიც, მოწმობს, რომ სიკვდილის სცენას ნ. ჟორჯოლიანმა დღემდე (სპექტაკლი 12 ჯერ ვავიდა) სამი სხვადასხვაგვარი წარტილი მოუმუშავა, თუმცა ჭრჭერიობით მათგან მხოლოდ ერთი დაუახლოვდა ბუნებრიობას. აქვე შეგინშნავთ, რომ გადაშეცემით სურსკული თამარი-ორჯოლიანი მიერ თერააში — ანთიკური სანთლით სტუქმართაგან განცალკევებით მჯდა თარაშს რომ ამოუდგება გვერდში მუნჯურად.

კლავინდებურად დიდი სხაარული განაცდევინა მაყურებელს საჭ. სსრ დამსახურებულმა არტისტმა მარი გელაშვილმა თარაშის დღიის როლში. გულის სიღრმემდე ჩამწვდომია მსახიობის მადლიანი ქართული სიტყვა, რომელიც მისი გმირის არსებობად მიიღის. მ. გელაშვილს ფსიქოლოგიურად სწორად აქვს გააზრებული მალალი წოდების კიბიდან ჩამოქვიებული ამაცი ჭალის განცდები, ამიტომაც ძალზე უშუალო და შთამბეჭდავია მისი ყოველი დეტალი.

საწმუხბაროდ. ცირქუნას როლი იმდენათ შიკვიცილია, რომ რაიმე განსაუთრებელი ნიშნაოგისებით მისი წარმოსახვა შეუძლებელი ხანდა რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის თიკო დღიანაშვილისათვის.

ახალი ცხოვრების დამციდრებით გაბორტკებული, კაიკე და დმერთზე გამწყრალი, ბოხოონა და მუდად უკმაყოფილო ჭარილების დასამახსოვრებელი სახე შექმნა საჭ. სსრ სხაახლო არტისტმა ვ. მერგელიშვილმა. ისიც უნდა ითქვას, რომ თ. ორჯოლიანის სიკვდილის ბოლო ვარიანტმა (ნომოადიდა ვარბის სცენიდან) გაუუგებარი ახალა მძიენარეუ ხუციისი მიერ ღვთისა და ხატის გმობის სცენა.

თანდათან იხიგვიანა ნ. წიკლაურის არხაყანი, რომელშიც თავდაპირველად ჭარბობდა ჭირიკოგის მსგავსი ინტონაციები, სიტლანქე და დაქაულებდა. ახლა თორთ იერაობდა მსახიობის პახლხისმარებლობა იმ გმირის სწორად წარმოსახვაში, რომელიც კოლექტივიზაციის მძიმე წლოში უნდა ანალოგობოთა შინაური მოწინააღმდეგისაყ და მხად ყოფილიყო ამჟამო მტერთან მოსაშილად. არადა ჩანს ნ. წიკლაურის — არხაყანის იდიური სიმტკიცე. შინაგანი ბობოქრობით დაოხატავს იგი პრტისტის მორჩილომდღერაია მიმართ და აიღონს თიდ ინიარტის, რომელიც მას მოქმეობისდასაყენ. ახალი მოკლუნების შუაგოლისდაცნ თიოწყლიდებს. არ არის დამაჭერლობას მოკოე-ბული თამარის წინაზე არხაყანის მიერ იმ მო-რძალბის თაძილა, რომელიც „სსსსლოში დაჩჩენოდა ზეამბაიას შარვაშიძის ჭალის მიმართ“, სა-მაგიეროდ ყალბად გაისმის ინსცენირების ავტო-რისეული მონოლოგი არხაყანისა თავადის ჭა-ლებთან ძველი ანგარომების გასწურების და მათი უხეშად დამორჩილების თაობაზე. არხაყანს მხოლოდ მამაკაცური ჭინი უნდა ამოქმედდებდეს თამარის მიმართ და არა შურისძიების გრძნობა...

ალბათ, მსახიობიც ვერ ერკვევა კარვად — თამარის გაქცევის შედეგ რაბომ ისტის მახუხე-რიდან ან რატომ წაოტრიალებდა ფიკარხეზე. ჩვენი შეხედულებით ეს არასთეიტერი, ხერის თუნდაც ქალზე გამაჯრეველი კაცის ქვეანა გრძნობის გამოსახატავად, არაფერს მატებს ნ. წიკლაურს არხაყანის სახის განხასნაში.

მეტად შეუხედული სამოქმედო ასპარეზი დარჩა ინსცენირებაში ძაბულის, რომელსაც მსახიობი ლაბრა ვაშკიძე განსახიერებს. იქნებ ამიტომ მაყურებელი თინალობდ ვერ ერკვევა, ვინ არის ძაბული და რამ გამოიწვია მისი ყოფნა კაც ზეამბაიას სახლში. მსახიობი შესაძლებლობის ფარგლებში მინც არაფერი დაუკლია თავისი გმირის წარმოდგენისათვის. განსაკუთრებით კარგა ძაბული — ვაშკიძე, როცა ვახუშტაძეს არხაყანს თამარის ავადმყოფობის მიხეზს. ამ სცენაში არხაყანი — წიკლაურიც მშვენივრად გამოხატავს ანახლად მიღებულ გადაწყვეტილებას და თარაშისთვის გზის დთმობის აუცილებლობას.

ემოციურად მკვეთრი და ცხოვრებისეული რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ალექსებაიანის კაც ზეამბაია. მსახიობი სპექტაკლიდან სპექტაკლში ამდღერებს თავის გმირს ახალი ფერებით, სულ უფრო მტ ბუნებრიობის აღწევს მტყვევლებსა და მოძროხეში. ტაქტიკა ატარებს ალ. ქელბაიანი მეოთხე სურაში ცხოვრებულ გაბორტკებული კაცის ბოღმას, როცა ნახავს ლესავს, და ვგავრძობინებს ავი ზრახვის სისრულეში მოყვანის საშაადის. ვიტყვი იმასაც, რომ ამ სცენაზე რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ქეთო კოხიციღის (ხათუნა), აგრეთვე მ. ჩიქოვანის (ქელეში) და დ. გულუდანიის (ჯამუ) სახით მას მშვენიერი პარტნიორები ჰყავს. ხათუნას შეფუთებული კოლოთი წარმთქმული: „სადღისს დროა ბატონო“, აზრზე მისული ქელეშის რებლკა — „არხაყანის მოხვერს ქელორას ბოსტანი გაურღვევია“ ან და ჭამუს შეპარებით ნათქვამი „ქელეშმა წვერა დაიჭირა, ბაბა“ — იმ საბედისწერიო დუმილში საავდრო ღრტულის გასაფანტავ ნიავის ქროლას ჰყავს.

უსიტყუოდ მა რავალმეტყველია კაც ზეამბაია — ქელბაიანი პირტყვის დახოცივის სცენაში, რომელიც საძულველი სოციალური წყობილების მიმართ კულაეთა დამოკიდებულების ჩვენებას უნდა იმსახურებოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სცენა სპექტაკლი მეტისმეტად სენტიმენტალურად აუღერდა და მიჩქმალა მთავარი.

ფსიქოლოგიური სიღრმით და ფიქიხლად გაითამაშა რესპუბლიკის სახალო არტისტმა შ. პირველმა „ღვთისა და კაცისაგან მოძულეული“ ლტყაია, რომელსაც „ლხენა გამოლოდა ამ ქვეყნად, არც არავის უყვარდა, არც არავინ აფასებდა და მეწყერს წყელო მისი წილი მიწის ნაჭერი“. არხაყანთან დიალოგში (მეორე სურათი) ლტყაია — შ. პირველი მთელი სიმწყეობა ვგავრძინობინებს ფსიქოლოგიას მონად ქეცული კაციისა, რომელიც შეეჩვია აუთხად ავღბნას და ცემატყუვას, რომ შეურაცხყოფად მიიჩნევის დამამცებრებელი მდგომარეობით თავის დღეწევის, ახალ დროში ძველი წყმების განუცდველობას. მსახიობისათვის დამახასიათებელია დიდი ტაქტიკა და ზომიერება, რამაც აბსოლუტურად მოხსნა ლტყაიას გროტესკულ სახეში გადაზარდის საშიშროება. მსახიობს ბევრი უფიქრია თავისი გმირის გარეგნობაზე, რათა ჩვენს წარმოდ-



ლადაც დამსგავსებოდა. აშკარად უნდა ითქვას, რომ შ. პირველი ამასაც მიიღწია. ლუკაია — შ. პირველი მაყურებელში სიბრძნელსაც იწვევს, თანაგრძობასაც, მაგრამ სცილს არასოდეს. ეს უჩვეულად მსახიობის დიდ ღირსებაზე მიტყვევებს. ავკაციონით განთქმული, გველით გატენილი გვანჯ აფაქიძე წარმოგვიდგინა რესპუბლიკის დამსახურებულმა არისტოკრატმა ვ. გვენცაძემ. განსაკუთრებით მოსაწონია მსახიობის თამაში ანკესობის სცენაში, მაგრამ ეს სურათი გაქონიერებული ჩანს, ამასთან თეთრი ჩაბალახის ფრიალის შედეგი გაუგებარი რჩება მაყურებლისათვის ისევე, როგორც აფხაზური დღეის „ხინტიკრიას“ მიხანდასახულობა.

მსახიობ რ. ბოკუჩავას სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი კარგად ჩაწვდა ბიოგრაფიით სავსე ჭოროს სულს, ამიტომაც დავაბასსოფრა კლასობრივ მტერზე ფინისაყვით აღდგენული პატრია კაცუნა, რომელიც ვაქაცაოდ თავის მოჩვენებას ცდილობს.

მოსაწონია ჯ. ფაჩუაშვილის მხატვრობა, მიუხედავად იმისა, რომ უადრესად ყოფითი დეტალობრივი გვერდით (კაც ზეამბისას სამხალი) ვხედავთ უკიდურეს პირობათობას (შეშველი თიქაინავი). შევნიშნავთ იმასაც, რომ კოსტუმბი, რომელსაც თარაში ლუკაიას აძლევს საჩუქრად, არ შეიძლება ოდესმე ცმოლდეს ემხვარისთანა

კულაბზიკა კაცს. გარდა ამისა, ზოგიერთი სცენები (ტარილის სააღვრგომო სუფრა, კაც ზეამბისას სახლი და სხვ.) ერთნაირად მუქ ფერზე წარმოგვიდგება. თუ ეს სიმბოლური მინიშნებაა, მაშინ კარგია, მაგრამ სასურველი იყო საღადაც კონტრასტიც ყოფილიყო თვალსაჩინო.

სპექტაკლში ბევრია კარგად მიგნებული და გააზრებული მოხანსცენა (წინაბარათა ეგება პორტრეტთან განმარტებული თარაში, მახვშის კოშთან ემხვარის შერისძიების განზარაბება, სენაების „ფუი, ლამარის“ და თარაშის მიერ რეალური ლამარის ძაგების ამოძახლის დამოხვევა). ეს ძალიან კარგია, მაგრამ არ ვეთანხმებით რეჟისორს სენაური ცეკვის ნიღბებით წარმოდგენაში. ძალზე ბუნდოვანია არზაყანის და კაც ზეამბისას შეჯახება, არ ჩანს, რომ კაც ზეამბია ტარტებმა მოკლეს, ამიტომაც სენი მოცეკვაეების შემოფოთებამაც დაკარგა მნიშვნელობა.

სპექტაკლი არ არის მოკლებული იდეურობას, აქვს გარკვეული მხატვრული ღირსებები, მაგრამ იგნორირებულია ნაწარმოების სიღრმე. ვფიქრობთ, მაინც იჩინა თავი ინსცენირების ტიპიურმა ხარვეზმა — ცალკეულ ეპიზოდებად ექსპოზიციის გავლა გამოყვანა სპექტაკლი მწყობარი კომპოზიციის ჩარჩოებიდან და მას სისხლსავსე ხასიათებაც დაუკარგა.

## რევოლუციური სპექტაკლი რუხან ჩათითი

**იხსენება** ფარდა. სცენაზე გამოჩნდა მთის აული, წინა პლანზე მოქცეულია სარმათის\* სახლ-კარია.

სარმათის პირველი გამოჩენა სცენაზე ნაპერწყლია მაღწყებელია. იგი აღგზნებული ხედება შინა-მოსამსახურებებს, ყველა მოწინააღმდეგეს, სურს, რომ ხელის ერთი მოქნევით მოსპოს ყველა ის, ვინც ხმას იღებს ძალაუფლების მოსაპოვებლად. სარმათმა თავის გარშემო შეკრიბა სუსტი ნებისყოფანი, მაგრამ დიდი თანამდებობის პირები: მეფის პოლკოვნიკი, საკუთარი შვილი ბათრამი და სხვები. მის ატმოსფეროში მოხეცდრილი უსუსური ადამიანები ებღაუჭებიან ძველ ზნე-ჩვეულებას, სურთ ისარტებლონ უსაფუძვლო აზრებით და მაღლა დააყენონ პირადი ინტერესები. ძალაუფლება, იარაღი და ყველა ის, რითაც შეიძლება ადამიანების მოსპობა, სწორად იმ არამზადებს ჰქონდათ ხელთ, რომლებიც კაცის სისხლის სმაზე უფარს წუთითაც არ იტყოდნენ, მაგრამ მათ აკლდათ სის, რაც აუცილებელია კაცობრიობის არსებობისათვის — ადამი-

ნობა, სიმართლე. სწორად სიმართლის მაძიებლები შეხვდნენ პირისპირ გაბატონებულ კლასს და გაუშარათეს სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ორგანიზებულ შრომელთა ბრძოლას თავისუფლებისათვის სათავეში უდგანან ხეთაგი და სერგო ორჯონიკიძე. ხეთაგი მიღღარი სარმათის შვილია, მაგრამ მან შეიგნო, რომ მისი მამა და ძმები მცდარი გზით მიდიან, ამიტომ დაგმო ისინი და ბრძოლა გამოუტყადა საკუთარ ოჯახს.

ხეთაგის როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ალიხან თედიტი, რომელმაც ხუთი წლის წინათ დაამთავრა მოსკოვის სამხატვრო აკადემიური თეატრის სტუდია, კარგად ჩაწვდა პიესის ავტორის ჩანაფიქრს, შეისისხლობრა როლის ყველა განცდა, ყველა ტკივილი და სიხარული და საკუთარს შეუერთა, ცოცხალი სული ჩაჰპერა სცენურ სახეს, დახვეწილი მეტყველებითა და ბუნებრივი მოძრაობით წარსდგა მაყურებლის წინაშე. მთაში აღზრდილი ჭაბუკი თავისი სიფიცხით მრავალ წინააღმდეგობას წააწყდება და სწორედ მის დასახმარებლად ავტორს ნაწარმოებში შემოჰყავს დიდი ლენინის მოწაფე, კომუნისტური პარტიის ერთგული მებრძოლი სერგო ორჯონიკიძე, რომელმაც სწორ გზაზე დააყენა ყველა მებრძოლი რევოლუციონერი.

\* სარმათი კოლია საღამოს ოთხმოქმედებიანი დრამა „სარმათი და მისი შვილები“-ს მთავარი მოქმედი პირია. პიესა დაიდგა სამხრეთ-ოსეთის სახელმწიფო თეატრის ოსური დასის სცენაზე.

სერგოს სახეს ანახიერებს რესპუბლიკის დამ-



სახურებელი არტისტი გავრილ თავგაზთი. მსახიობმა თუ ბეგრჯელ მოიგო ოსი მასყურებლის გული, ამჯერად, ჩემის აზრით, ვერ შეძლო დი-რამო რევოლუციონერის დამაჯერებელი სახის დახატვა. ვფიქრობ, აქ თავი დამდგმელ რეჟისორს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს გეორგუათის მიუძღვის ბრალი. როგორც სჩანს, ისტორიული პიროვნება მისთვის უცნობია და ამის გამო როლი მიანდო ფიზიკურად სუსტ მსახიობს, მაშინ, როცა შეიძლებოდა სერგოს როლი ეთამაშა სხვა მსახიობს, რომელიც ფიზიკურადეც და ხასიათითაც სულ ახლოს დგას ამ სახესთან.

წარსულიდან ვიცი, რომ რევოლუციურ ქარცეცხლის პერიოდში სერგო ორჯონიკიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა და ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო ჩრდილო კავკასიის რევოლუციური მოძრაობებისა და კერძოდ დიდხანს დაიწა ძაუჯიაუში (ახლანდელ ორჯონიკიძეში), სადაც მრავალი აჯანყების სულისჩამდგმელი და მონაწილე იყო. ამიტომ ოსმა ხალხმა მის საპატივებულად თავიანთ დედაქალაქს უწოდა ორჯონიკიძე.

სპექტაკლში სარმათის როლს ასრულებს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ბორის ცხურბათი. რა მიზნები აქვს სარმათს და როგორ შეძლო ცხურბათიმ მათი ვადმოცემა სცენაზე? სიმღირით გონებადარღვებულთ, ეგოისტი სარმათი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს, თავისი ავი და ბოროტი ზრახვების განხორციელებისას ყოველგვარ ვერავობას სჩადის. იგი ამაყია და თავი უძლეველად წარმოუდგენს, მაგრამ რევოლუციის ნაებრწყალმა მოულოდნელად შეარყია და ძირფესვიანად მოგლიჯა დახავსებული ადგილიდან. სწორედ ასეთად წარმოგვიდგა სცენაზე ბორის ცხურბათი, რომელმაც სარმათის მხატვრულად სრულყოფილი სახე შექმნა და ბოლომდე რეალისტურად გაჰყვა ავტორის ჩანაფიქრს.

პიესაში მაისი კვალს მიჰყვება უფროსი შვილი ბათრამი. იგი მეფის რუსეთის ოფიცერია. მამსავით მასაც საზოგადოებრივ ინტერესებზე პირადი უფრო მაღლა უყენია და, შეიძლება ითქვას, გარდა საკუთარი თავისა, სხვას ვერავის ხედავს, ღონინ თვითონ სახელი მიიპოვოს, დიდებას მიადწიოს, ჩინ-მედლები მიიღოს და მზად არის გასწიროს თავისი სისხლ-ბორცი უმცროსი ძმაც კი.

ბათრამის სახე სცენაზე განახორციელა ახალგაზრდა ნიკიერმა მსახიობმა არტისტმა ძალითიმ. ჩემის აზრით რუსლანიც თავის ამოცანას ღრმად ვწაღება და შემოქმედებითად წყვეტს, თუ მხედრობაში არ მივიღებთ ალაგ-ალაგ ზემდებ მოძრაობებს, რომელიც როლისათვის დამახასიათებელი არ არის.

რა შეიძლება ითქვას სარმათის უმცროს შვილ კაძახზე? სპექტაკლის ავტორმა იგი მსუბუქი კუისის პატრონად გამოიყვანა, ალბათ იმიტომ, რომ მასყურებელში სიცილი გამოიწვევია. ხოლო ბოლო მოქმედებაში რევოლუციონერად გვევლინება. ჩემის აზრით ამ სცენურ სახეს შინაგანი კანონზომიერება აკლია და დამაჯერებელი არ არის, მასყურებელიც ინერტულად ხვდება მას.

ოსურ ლეგენდებში, ზეპირსიტყვიერებაში თუ მხატვრულ ლიტერატურაში, ყველა ნაწარმოებში, სადაც ძმებია გამოყვანილი, ყველგან უმცროსი ძმა გმირად გვევლინება. კოლა სალამთის დრამაშიც უმცროსი კაძახია, მაგრამ ის ყველა ბავშვია (14—15 წლის), თუმც ხეთათის ყველა დავალებს პირნათლად ასრულებს. კაძახის როლის შემსრულებელი ფედია ხარებათის სახსიათი სახეების განსახიერებაში ამ თეატრის კოლექტივში ბადალი არა ჰყავს, მაგრამ ამჯერად ავტორის ჩანაფიქრი სწორად ვერ მოიტანა მასყურებლამდე. თუმც მისი გამოჩენა მასყურებელთა დიდ გამოცოცხლებას იწვევს.

დრამაში რეალისტური სახეები შექმნეს რესპუბლიკის სახალხო არტისტებმა ნინა ცაბითი და ზინაიდა ვაგულთიმ, რესპ. დამსახურებულმა არტისტმა ვახტანგ ენალდიმ და მსახიობებმა ეკელინა გუქათიმ, ვანია ჭიქათიმ, გიორგი ბეკითიმ, რაია ვასრითიმ, კაძახით ცოცითიმ და სხვებმა.

სპექტაკლის დასადგმელად სპეციალურად მოიწვიეს ჩრდილო ოსეთის მუსიკალურ-დრამატული თეატრის მთავარი რეჟისორი, რსფსრ დამსახურებული არტისტი გეორგ ხუვათი. ზემოდ აღნიშნული შენიშვნების მიუხედავად სპექტაკლი რეჟისორისათვისაც და თეატრის კოლექტივისათვისაც დიდი გამარჯვებაა, ეს სპექტაკლი საპატიო ადგილს დაიჭერს ოსური თეატრის ისტორიაში.

სპექტაკლში მუსიკა კარგად არის შერწყმული მოქმედებასა და მსახიობთა თამაშთან. რსუსრ ხელოვნების დამსახურებულმა არტისტმა, ცნობილმა კომპოზიტორმა ილია გაბარათიმ ბრწყინვალედ გადმოგვცა პიესის ამაღლებული განწყობილება.

სპექტაკლის მხატვრული გაფორმება ეყუთვნის ჩრდილო ოსეთის და საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ტატა ვაგლითის.

სპექტაკლი, რომელიც მიძღვნილია დიდი ბეულადის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი, დიდი წარმატებით მიდის სამხრეთ ოსეთის დრამატული თეატრის სცენაზე.

სპექტაკლის თბილისელი მასყურებელი ჩვენს დედაქალაქის თეატრების სცენებზე ნახავს 1970 წლის ოქტომბერში, სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის დროს.





**კართულ** საბალეტო ხელოვნებას თავისი კლასიკური ნიმუშები აქვს. მათ შორის დ. თორაძის ბალეტმა „გორდამ“ გმირების სისლასავსე ადამიანური ხასიათების ქორეოგრაფიული ტექსტის გამომსახველობით და ძლიერი ემოციურობით განსაკუთრებული ადგილი მოიპოვა. მან მრავალი ქართველი მოცეკვავის არტისტილი ნიკი და პროფესიონალიზმი გამოსცადა.

ახლანან ამ ბალეტში ორი დებიუტი შესდგა. ირემას პარტიავი გამოვლდა ცისკარა ბლანჩივაძე, ხოლო ჯავარას პარტიავი — ნატალია პაპინაშვილი.

ცისკარა ბლანჩივაძისთვის ეს მეორე დებიუტია ამ სეზონში (მთავარ პარტიავში) და სიამოვნებით უნდა აღინაშნოს, რომ მან სცენური ქორეოგრაფიული სახეების თავისებურად დახანხის უნარი გამოიჩინა.

ბლანჩივაძის მეფის ასული, მონადირეთა ამალით, ჯიქურად შემოიქროლებს სცენაზე. შევარდენი განსაცდელში ჰყავს. ამ აზრით შეპყრობილს, ამ დროს სხვა არაფერი ახსოვს. აფორიაქებული, სატყორცნელად მოზიდული მშვილდისგორთ სცენის კედლებს აყუდება და როდესაც გორდას ისრით განგვირული არწივი მის ფეხებში ჩამოვარდება, მხოლოდ მაშინ შეპყრობის ეაქცავს და წაშს შეჩერდება. — ფიქსირებული პოზა დაგვემოწმება, რომ სიყვარული ერთი შეხედვით დაბნადა. იწყება გამოსული ლირიკული დუეტო, რომელიც მეფის ასულის გრძნობას, ჯერ შემპარავად, შემდეგ კი უფრო თამამად ამცხადვენებს. მაგრამ ბლანჩივაძის ირემას ქცევის ხასიათი გრძნობაშიაც მეფურ ღირსებას ინარჩუნებს. მისი შინაგანი განწყობა-დამოკიდებულების გამომხატველი პლასტიკა თავის რჩეულ რანდთან თუ გარემოსთან, ფეოდალური ყოფის ტიპური წარჩინებულის, დიდგვაროვანი ძალის სცენურ სახეს წარმოქმნის.

შემდგომ სცენებში, ახალ სიტუაციებთან დაკავშირებით, ამ მთავარ დახასიათებას ბალერისა შესაფერ ნიუანსებს უმატებს. მე-2 მოქმედების ქორეოგრაფიულ ფრაგმენტში — მოსიყვარულე ქმარშვილთან, ირემას პლასტიკას მორჩილებისა და სათნოების ნაკეთები დაეტყობა. ფინალში

კი დებიუტანტმა სულიერი დაძაბვის ძალა და მუსიკის ემოციური ტალღების მძაფრად გადმოცემის უნარი დაგვანახა, თუმცა მას უკანასკნელი მიზანსცენის უეკეთესად გამოყენება შეეძლო.

გამარჯვებული გორდას გამოჩენას მყუდრობელი ინტენსიური გრძნობით განიცდის და ირემას სიხარულის მოჭარბებულად გამოხატვას ვადაძე-

ტებულად არ მიიჩნევს. მუსიკაც ამასვე მოითხოვს.

ამიტომ, კარგი იქნება, რომ დებიუტანტი, გორდასა და ბავშვის დამაგვირგვინებელ სკულპტურულ ანსამბლს პლასტიკურად გამოვლენებული, რელიეფური ბოზით შეუერთდეს, რითაც მთელ ჯგუფს სახვითი სიხეობველე მიეცემა. ბალერინამ უნდა გაითვალისწინოს ლირიკული ადგილებს ნებისთი შესრულებაც (ლირიკულ-მუსიკალურ ადგილებში ცეკვას თავისუფლად მიუხეობდეს).

ყველა ეს უმნიშვნელო შემჩნევა ადვილად დასაძლევია, მით უმეტეს, რომ ბლანჩივაძემ მუშაობის ინტელექტუალურობა გამოავლინა, რაც უკვე თავისთავად პროფესიის დაუფლების განუსაზღვრელ საშუალებებს გულისხმობს.

ბლანჩივაძის დაკვირვებული მუშაობა განსაკუთრებით ქორეოგრაფიული ტექსტის სტილისტიკურ გამართულობაში გამოჩნდა. ამ ქართულ რომანტიკულ ბალეტში ცისკარამ ნაციონალური კოლორიტით შეამკო კლასიკური მოძრაობები და მათი მკაფიო მონახაზი საერთო ჯამში ქართული ორნამენტებით გადაბმულ და წმინდად მონატური გამოიყურებოდა, რამაც ძალიან საინტერესო იერი მისცა მის ნამუშევარს.

ჯავარას დრამატიული როლის (სახის) ქორეოგრაფიული ტექსტი მკაფიოდ გამოხატავს შეყვარებული ქალის სულიერ ტანჯვას. მასში უხვად ჩართული ვანცდის გამომხატველი პანტომიმური საშუალებანი და ექსტი ქორეოგრაფიულ ილეთებს გამომსახველ ძალას მატებს. გარდა ამისა, ასეთი პირობა ყოველ ახალ შემსრულებელს ქორეოგრაფიული ინტერპრეტაციის იმპროვიზაციულ თავისუფლებას აძლევს.

სწორედ ეს გვიანდა ვერძილით მეორე დებიუტანტს ნატალია პაპინაშვილს. მისი ცეკვის კარგი ტექნიკური შესაძლებლობანი, პირუტეტების სიზუსტე და სისწრაფე, სხეულის თანდაყოლილი სიმსუბუქე უფრო მეტად გამობრწყინდება თუ კი პაპინაშვილი თავის ნამდვილად წრფელსა და უშუალო განცდებს მოთქვრებული, მოზომილი თამაშით მრავალსახიერი ნიუანსებით გადიტანს პლასტიკაში.

პაპინაშვილის მეორე გამოსვლამ უკვე დავკარწმუნა, რომ მას შესწევს უნარი მონახოს თავისი ტემპერამენტის დონის შესაფერი გამომსახველი ხერხები.

მესამე დებიუტს საინტერესო ისტორია აქვს.

სოფის სოპერო თეატრის პრიმა ბალერინამ, ცეკვა ჯუმალევამ პირველად შესარულა ჩელი-



ტას პარტია (მინუსის „დონ-კიხოტში“) თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ამ უჩვეულო დებიუტს წინ უსწრებდა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ვ. ჭაბუკიანის სტუმრობა ბულვარებში, სადაც მიწვეული იყო მინუსის ბალეტ „დონ-კიხოტ“-ის დასადგმელად. ვ. ჭაბუკიანმა სოლისტებთან მეცადინეობის დროს შეამჩნია, რომ ჯუმალაიევა ვატაციებით აკვირდებოდა მის მუშაობას. დიდებუნი ბოვანი ხელოვანი დაეხმარა ახალგაზრდას დაეინებულ სწრაფების განხორციელებაში, მოიპატარა თბილისში და ოცნება სინამდვილედ გადაუქცია.

საღბიუტო სექტაკლმა დაგვანახა, რომ მოცეკვავის განსაკუთრებულად საინტერესო მონა-

ცემები არა აქვს, მაგრამ გამოსვლამ თბილისის კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

თუ კი რამ კარგი ჰქონდა ბალერინას (ჩქარო ტემპის გატანის ღონე, უშუალობა, სიხალსე), ყველას თავი მოუყარა ვახტ. ჭაბუკიანმა და საცეკვაო კომპოზიციების წამყვან ნიშნად გამოიყენა.

მაყურებელმა გულთბილად მიიღო სტუმარი. ჯუმალაიევამ, პრესის საშუალებით, მადლობა გადაუხადა ჩვენი ბალეტის დასს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს ვერა წიგნაძეს.

ლეგენდარული ვახტანგ ჭაბუკიანის დახმარება კი ჩემი შემოქმედებით გამარჯვების საწინდარია, — სიქვა მან.

## „ეშმაკის სამკუთხელი“ გიორგი მაყუბაძე

ამ რამდენიმე წლის წინათ გიორგი სანადირაძის დრამატურგიული ნათლობა რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე სცენაზე შედგა. მაშინ მიხეილ თუმანიშვილის მიერ დადგმულ „პოეზიის საღამოში“ წარმოდგენილი იქნა ნოველა „აკედელი“. ახალ წლის წინა დღეებში ვალერიან გუნის სახელობის ფილის სახელმწიფო თეატრში შედგა გიორგი სანადირაძის პირველი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სრულფლებიანი პიესის „ეშმაკის სამკუთხელის“ პრემიერა (დამდგმელი თეატრის მთავარი რეჟისორი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი ს. ახალაძე. მხატვარი — გ. ვახისონია, მუსიკა — ვ. მარიაძის, კინოოპერატორი — ოთ. ჯაფარიძე).

რით იპყრობს ეს პიესა მაყურებელს? უპირველესად თავისი საინტერესო, ორიგინალური გადაწყვეტით. აქვე უნდა აღნიშნათ, რომ ჩვენი მაყურებელი არ არის განებეზრებული დეტექტიურ თემაზე შექმნილი ნაწარმოებებით. პიესის ავტორისა და დამდგმელი კოლექტივის სასახელოდ, მაყურებელმა მიიღო მეტად შთაბეჭდილი სექსუალური, რომელიც გამსჭვალულია ამ დღემიწასავით ძველი და მარად ახალი რწმენით — ბოროტებას არ უწერია დიდი დღე, იგი დასაღუპავადა განწირული.

საინტერესოა პიესის ქარგა — მთის ერთ-ერთ სოფელში მოხდა დანაშაული. ახალდაქორწინებულების ბედნიერება ხანმოკლე აღმოჩნდა, დიკარგა მომავალი ოჯახის მეფუძნე — დისახლისი...

დრამატულმა ხლორთებმა, მომხდარი ამბის სხვადასხვა კუთხით გაშუქებამ და სიუჟეტის მრავალბლანაობამ განაპირობა პიესის წარმატება. ჩვენ არ მოგვეებით პიესის ღირსება-ნაკლოვანების გარჩევას, ვიტყვი მხოლოდ, რომ

„ეშმაკის სამკუთხელის“ სახით ჩვენმა მაყურებელმა მიიღო მწვავე, ორიგინალურად დაწერილი დეტექტივი, რომელიც კომედიის ელემენტებსაც არ არის მოკლებული და ამასთანავე რთული, ფსიქოლოგიური ნაწარმოების პრეტენზიაც გააჩნია. სწორედ ამ თვისებებმა სინთეზმა მიიყარო ფილის თეატრის კოლექტივის ყურადღება.

პიესის მიზლოდ ექვსი აცია დაკავებული და მოქმედება მაღალ მთათა ფონზე, ერთ პატარა ოთახში ხდება. მაგრამ უცვლელი დეკორაცია სულაც არ ანელებს ინტერესს მომხდარი ამბების მიმართ.

საინტერესოა ვახტანგის, რაიონული მილიციის სამმებრო განყოფილების უფროსის სახემის როლში ჩვენ ვნახეთ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გიგა ებრალიძე.

როგორ გაართვა თავი გ. ებრალიძემ მასწავლისრებულ ამოცანას? გ. ებრალიძე თავისი დახვეწილი და აზრიანი ოსტატობით ხიბლავს მაყურებელს.

გაბედულება და დეტექტივის ალღო, კარგად აწონ-დაწონილი დანაშაულის უშეცდომოდ გახსნა — აი, რა ღირსებითაა დაჯილდოებული ვახტანგი. იგი თანამედროვე ადამიანია. მან იცის — რამდენადაც ახლართულ-ჩახლართულია დანაშაულის გორგალი, მით უფრო მეტი სიმამაცე და საზრიანობა საჭირო. საჭიროა რაღაც სხვა, ხერხი ახალი, განუმეორებელი. დანაშავეთავისთვის უნდა გაეხას მის მიერ დაგებულ ხაფანგში... ვახტანგს თავიდან ბოლომდე დაძაბულ მდგომარეობაში ჰყავს მაყურებელი, და უკანასკნელ, სწორედ გადაწყვეტ წმის ფარდას ხდის ყოველივეს. გ. ებრალიძის თამიშ უშუალოა, ყოველგვარ დაბნულობასა და სიყალბეს მოკლებული. მისი ვახტანგი იმარჯვებს. იგი რა-

11358





ინდია, იგი ჩვენი ზვალინდელი დღეა. სწორედ მისი სინდისისა და ნამუსის სასწორზეა დადებული ჩვენი ცხოვრების უშფოთველობა. ადამიანი, რომელმაც ეს სპექტაკლი ნახა, დარბაზიდან მიდის რწმენით — მის ძილს, მის უქალაქობრივ უფლებას იცავს ვახტანგისთანავე უბრალოდ, მაგრამ საოცრად ენერგიული და გაბედული ადამიანი. და ეს გვაშიყვება.

ცალკე გამოყოფის ღირსია მთავარი როლის შემსრულებელი ახალგაზრდა მსახიობი ნოდარ მახარაძე. პიესის წარმატება უპირველეს ყოვლისა მასზე ბევრად იყო დამოკიდებული. მან კარგად დაგვიხატა ჯაბა ბუყაძე, საოცრად შენიღბული რეციდივისტის სახე. პიესის მიხედვით, ნ. მახარაძე ბოლომდე ძალზე უცოდველი, თითქოს პატიოსანი ახალგაზრდა კაცის სახეს ასრულებს, უკანასკნელ წამამდე მაყურებელს სჯერა მისი, მაყურებელი მის მხარეა. ოდნავი

სიყალბე, ოდნავ დაუპკირებელი ფრაზა და ყველაფერი ჯანდაბისაყენ გადაქანდება.

ამიტომ „ემმაკის სამკუთხედი“ უფრო მეტად მსახიობის პიესად უნდა ჩაითვალოს. მისი წარმატება ბევრად არის დამოკიდებული ვახტანგის, ჯაბასა და ნანას (ყუყუა ჩხეიძე) თამაშზე.

ყუყუა ჩხეიძეს ბევრი საინტერესო როლი განუხორციელებია ფოთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე. მისი ნანა, კიორგი სანადირაძის „ემმაკის სამკუთხედი“ კიდევ ერთი დადასტურებაა მისი ტალანტისა.

აღსანიშნავია ოთარ ცერაძის მიერ განსახიერებული კობა იმედაძე და მერცია ურუშაძის თინა.

სპექტაკლში ერთ-ერთ საინტერესო სახეს ქმნის ბიძინა ქუთათელაძე (ნიკა). ამ აქტიორმა თავისი შინაგანი თუმორითა და ალლოთი წარმოგვიდგინა ტყისმცველის მეტად თავისებური და რთული ხასიათი.

## პეპარების საყვარელი სპექტაკლი მზია უნგავლია

**პატარა** მაყურებელი ყოველთვის მოუთმენლად ელოდება დათუნია-ბაგბაჯას გამოჩენას სცენაზე, მისი სასაცილო და დაუღვივარი იონების ხილვას... დათუნას უმნიშვნელო ბუზღნიც კი გულიანად აცინებს თოჯინების მოყვარულთ. იქნებ სწორედ ამიტომ შეიარჩია თავისი პიესის თემად ეთერ ყორყოლიანმა პატარა დათუნისა თიანეშა ე. ყორყოლიანის „ბაგბაჯა“ სულ ახლახან განახორციელა ქუთაისის თოჯინების სახელმწიფო თეატრის (დირექტორი შ. ცხადაძე) კოლექტივმა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ სპექტაკლს წარმატება ხვდა.

პატარები ალტაცებულები ეხმაურებიან ბაგბაჯასა და მის ცულულტ მეგობარს ბაჭიკოს...

ავტორი ყურადღებას ამახვილებს პიონერების ინტერესით აღსავსე ცხოვრებაზე, პიონერულ ბანაკში მათ შრომის მოყვარობაზე, პიონერები ყოველდღიურად თავს ეგლებიან, უგლიან კომბოსტოს რიგებს, ევედრებიან მზეს თავისი სხივები არ მოაკლოს კომბოსტოს, მზეც ხალისით ეხმარება. მაგრამ აი, ერთ დღით ლიამ და ნუგზარმა შეამჩნიეს, რომ ვიღაცას კომბოსტო გადაუთელია და შეუჭამია... გაჯავრდა მზეც და თვალს მოეფარა, ძალი ბროლია თავქუდმოგლეჯილი დაეძებს დამნაშავეს...

სპექტაკლში ბაგბაჯას ნოდარ კემულარია თამაშობს, მისი თოჯინა მეტად ორიგინალური და ცოტა უემმაკო დათუნია, ლამაზად და მოხდენილად ამოძრავებს ხელებს, ცოტა გადაჭარბებულად მიგვიჩინა დათუნის პირიდან წყლის გადმოქცევა, იგი რამდენჯერმე იმეორებს ამ აქტს.

თავისებური და დარბაისელი დათუნია რესპუბლიკის დამახორებული არტისტის შურა ჭაგუანიძის მიერ შესრულებული ბაგბაჯას დედა.

მეტყველი თეალებით, სხარტი თათებით და სახის ნაკეთების გასაოცარი მოძრაობით გამოირჩევა ბაჭია — მსახიობი შურა ბარჭია. ეს გაქნოლი, მატყუარა, ცულულტი ონავარი და, რაც თიანეშა, პიონერების წინაშე დამნაშავე, ისეთი დამაჯერებელი ტონით ლაპარაკობს, რომ, უნებურად, მაყურებელსაც კი აიყოლიებს.

თავისთავად ლამაზად და დამაჯერებლად მოქმედებენ თოჯინები: ლია (მსახიობი ნუცა ჭაჭაია), ნუგზარი (ანდრო ფანცხავა), ბროლია (ავაკი ყურაშვილი), ფუტკრები (ოლია კობიძე და პელო გაბუნია).

ცალკე უნდა აღინიშნოს მზე — ნუცა ჭაჭაია, რომელიც მეტად შთამბეჭდავად ამოძრავებს ტუჩებს, თვალებს.

მხატვარ გ. ბერეჩიციძეს დიდი მუშაობა ჩატარებია სპექტაკლისათვის ორიგინალური ფერების უსარჩევად, განსაკუთრებით მომხიბლელ ეხმარება — წითელი დიდი მზე, რომელიც ორიგინალური ფერებითა და მხატვრულბით გამოირჩევა.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის ვახტანგ ქუთათელაძეს. რეჟისორის გამარჯვებულ უნდა ჩაითვალოს ის აქტიორული ანსამბლურობა, მოქმედებასთან მუსიკისა და მხატვრობის მშვენიერი შერწყმა. მასთან ერთად, საინტერესოა გამოყენებული კინოკადრები „ბაგბაჯას“ ფინალურ სცენაში.



## ოთარ მამფორია

### ქ ა რ ი ს ქ ა ხ ი

მასოვს ჭაღარა მოხუცი ერთი,  
იღვა თეატრის ცისფერ კარებთან.  
ის იყო ჩემთვის ნამდვილი ღმერთი,  
თუ უბილეთოდ გამატარებდა,  
და ქანდაკაზე ვინ გრძნობდა დაღლას,  
ვიდექი, ნახულს ვპერეტლი მესად.  
სასოწარკვეთით ვღელავდი ბაღლი,  
იმედაშვილი ქუნდა სცენაზე...  
ისევ მომენტო იმ წლები ის ალი,  
თითქოს ის ხმები ისევ ირწყვია.

ისევ ღიაა თეატრის კარი,  
სპექტაკლი ისევ ისე იწყება.  
შენ კი არ ჩანხარ, მოხუცო კაცო,  
წასულხარ შენც და ჩემი ბავშვობაც,  
წასულა ისიც, ვინაც აქ, მასოვს,  
შეშლილი ღირის ბედს თამაშობდა,  
და ამ კედლებთან გიგონებ ოდეს,  
გულს ეწვევება უთქმელი დარდი.  
ძველი თეატრის უხუცეს ლოდზე,  
მიმჭანარა შენი კეთილი ლანი...

## მორის ფოცნიშვილი

### მომაკვლავი გელი

ეთერ ჭაბუკიანს

სარკოვან ტბაზე

ეშვება გელი, —  
არის იმედი მარტო დარჩენის,  
ფრთამოტეხილი ფართხალებს ბედი,  
კიდევ ირხევა ფრთა — ყავარჯენი.  
დანისლულია განვლილი ზვები,  
კვლავ გადასაფრენ გზებზეც ნისლია,  
თუმც ლერწმებივით შრიალა წლები  
კვლავ შრიალებენ...

საკმარისია...

შენც მომაკვლავი გელივით კვლები,  
კვლები ლამაზად,

კვლები ზღაპრულად,  
დიდი მაკრატლით დაჭრილი ფრთებით  
პატარა ცრემლის ტბაზე დასცურავ:  
ტრიალებს სცენა — საწუთრო კუშტი,  
ნიღბების ჩრდილით ვადაბურთული  
და კულისების ფერადი ბუშტი  
ქარს მიაქვს, როგორც თივის ბულული.

## კომედიანტების ბალადა

ბელი ბურთივით მინდვრად დაგორავს,  
ბელს ფეხებს ურტყამს,

ვისაც ბელი აქვს,  
მე კი ვჩურჩულებ შენს გასაგონად:  
— როდის დასრულდება ეს კომედია?!  
ხეები ჩნდებიან მიწაზე ჯვრებივით,  
მღერიან ესტრადაზე

ახალ სიმღერებს,  
ძველ კასრში ჯდება ვიღაც დებილი  
და ბრძენ დიოგენს ანსახიერებს.  
ქარი კი ცაზე რეკლამებს აკრავს  
და ღრუბლებს, როგორც

პარიკებს იცვლის...  
ღია ბარათზე დაკრული მარკა  
ირეკლავს ღია კოსმოსის სიცილს.  
ირეკლავს უცხო საწუთროს ქეითინს,  
სიცილის გრიმით დაფარულ სევდას  
და სარკე, როგორც ბრჭყვილა ნივთი  
ნივთების გარდა ვერაფერს ხედავს.  
და კვლავ იცინის ჯამბაზი ძველი,  
იცინის, რადგან მოწყვეტა ელის,  
ცირკის თაღიდან მოწყვეტა ელის  
აღრე თუ გვიან, ვისაც ფრთები აქვს, —

„როდის დასრულდება,

როდის დასრულდება,  
როდის დასრულდება ეს კომედია?!“  
შეხედე, წამლად

შხამს გეაწვდის გველი,  
თან მკერდზე გვაბნევის  
მშვიდობის ყვავილს, —  
თეატრში შედის პირველი მკვლელი  
და უკანასკნელ კრავივით ბლავის:  
— სიცოცხლე მაინც ძალზე ტკბილია!  
მზე კი იწვის და

გზადაგზა თეთრად  
მხრებზე ფიფქივით ფერფლი გვეყრება...  
„რომ შეიძლებოდეს

სცენაზე ერთად  
კომედიანტების შეკრება, —  
ბეკრი დარჩებოდა დარბაზში, ნეტა?!“ —  
ეშმა ქილიკობს და ღმერთებთან

თამაშობს,  
ნიღბების ხავსი

გზებს მოღებია...

შენ მაინც მითხარი, ლამაზო,  
როდის დასრულდება ეს კომედია?!

## ქართული ლინგვისტიკის ისტორიის სურათი

### ამირან კალაძე

თბილისის შ. რუსთაველის სახელობის  
თეატრალური ინსტიტუტის III კურსის სტუდენტი.

**ბასული** წლის ზაფხულში, ესტონეთის ქალაქ რავერეში ჩემი ყურადღება შემთხვევით ერთმა თეატრალურმა აფიშამ მიიქცია. იგი იტყობინებოდა, რომ 1969 წლის 30 ივნისს სახელმწიფო თეატრში შედგებოდა პრემიერა სპექტაკლისა „ცა და მიწა“ ქართველი დრამატურგის გ. ხუხაშვილის პიესის მიხედვით...

სპექტაკლი დიდი წარმატება ხვდა (დამდგმელი რეჟისორი რენე ოლმარუ), რის შემდეგაც ის შეტანილი იქნა ამ თეატრის საგასტროლო რეპერტუარში ესტონეთის სხვადასხვა ქალაქებში საჩვენებლად. სპექტაკლის წარმატებას ფართოდ გამოეხმაურა ადგილობრივი პრესა და ტელევიზია. რესპუბლიკური გაზეთი „სირბ ია ვასარ“ აღნიშნავდა, რომ „ცა და მიწა“ ძალზე საინტერესო, თანამედროვე ლირიკული პიესაა.

მათელი ერთი წელი ქალაქ ტალინში უნდა გამეტარებინა და მიზნად დავისახე უფრო დაწვრილებით გამეგო თუ რა კეთდებოდა ქართული დრამატურგიისა და ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის ესტონეთის რესპუბლიკაში, ვინ იღებდა აქტიურ მონაწილეობას ამ საპატიო საქმიანობაში და სხვ.

მალე გამომცემლობა „ეესტი რამატში“ პირადად გავეცანი ჩვენი ხალხისა და ლიტერატურის მოყვარული ორი ადამიანი. ისინი გახლავთ ქართულიდან ესტონურ ენაზე მთარგმნელები პატიცემული **მერტიკე პაუ და უნო უსისო**. ჩვენ სწრაფად დაემეგობრდით. მე სოციალ სიამაყესა და სიხარულს ვგრძნობდი, როცა ისინი ქართულ ენაზე მესაუბრებოდნენ. ისინი მოცუბდნენ არა მარტო ჩვენი ძველი და ახალი ლიტერატურის ღრმა ცოდნით, არამედ ჩვენი ხალხის ისტორიის, ტრადიციების და, თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენი ნაციონალური კერძების ცოდნითაც კი.

გამოაცა მათმა პირადმა ბიბლიოთეკამ, რომელშიაც სხვადასხვა წიგნებთან ერთად იმდენი ქართული წიგნი ვნახე, რომ სიხარული ვერ დავფარე და მშურს-მეთქი, წამოვიცა.

პატიცემული უნოსა და მერიკეს დახმარებით მე გავეცანი ესტონეთის ლიტერატურას. მათ

უნდა ვემადლოდე იმასაც, რომ ესტონური ენა შევესწავლე, არც თუ ისე ბრწყინვალედ, მაგრამ უნდა გენახათ მათი აღფრთოვანება და სიხარულით სახე თვალები, როცა მათსავე ენაზე გავესაუბრებოდი ხოლმე.

წამოსვლის წინ მე მათ პირობა მომიცეს, რომ დამეხმარებოდნენ, თუკი მე ესტონურიდან თარგმნას შევძლებდი. ჩემის მხრივ მათ დავპირდი დახმარებას ყველაფერში, რაც ჩემს შესაძლებლობებს არ გასცილებოდა.

ორიოდე სიტყვა პატ. უნოსა და მერიკეს ბიოგრაფიის შესახებ.

მერიკე პაუს, როგორც თვითონ მიამბო, ლიტერატურა თავიდანვე იტაცებდა. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტში, რუსული ენის განყოფილებაზე. უნივერსიტეტი 1967 წელს დაამთავრა.

უნო უსისო დაიბადა 1920 წელს ქალაქ ტალინში. ტარტუს სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ერთ ხანს მასწავლებლად მუშაობდა, ხოლო 1964 წლიდან მუშაობს გამომცემლობაში, ესტონეთის საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარ რედაქციაში.

გამომგზავრებისას ერთი თხოვნაც შემისრულეს და რამდენიმე კითხვაზე მიპასუხეს.

— პატიცემულო უნო, რამ გამოიწვია თქვენი დაინტერესება ქართული ენითა და ლიტერატურით?

— ქართული ენით ჯერ კიდევ სტუდენტობის პერიოდში დავეინტერესდი. თქვენი ენის თავისებურებამ იმთავითვე მიიქცია ჩემი ყურადღება. რადგან ძალზე გატაცებული ვიყავი ენათმეცოდნეობით, სპირიტუალურ და სასარგებლოდ ჩავთვალე შემესწავლა ესოდენ ორიგინალური სტრუქტურის მქონე ენა.

— თქვენ რას მიპასუხებდით ამავე კითხვაზე, პატიცემულო მერიკე?

— მეც უთუოდ სტუდენტობის წლებში დამებადა ინტერესი ქართული ენისადმი. თუმცა ეს

კია, რომ მაშინ საქართველოს შესახებ მხოლოდ ის ვიცოდა და ვამეგონა, რომ საქართველო მაღალმოთხანი, ეგზოტიკური ქვეყანაა.

— პატივცემული უნო, ვინ გავიწიათ დანახარება, ან რამ შეგიწყობთ ხელი ქართული ენის შესწავლაში?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტ კოტე ჯავრიშვილთან მეგობრობამ შესაძლებელი გახადა დამეწყო ქართული ენის შესწავლა. ხოლო ენის სწავლის პერიოდში, თავისთავად ცხადია, უფრო ახლოს გავეცანი უმდიდრესი ქართული ლიტერატურის ნიმუშებს.

— თქვენ, პატივცემული მერიკე?

— მე კი უფრო მეტად გამიღმა ბედმა. ესტონეთის კულტურის სამინისტრომ ჩემი თხოვნა დააქმავიფილა და წელიწადნახევარი ვიმყოფებოდი თბილისში, სადაც მე ვასდაუღებელი ამავე დამდეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და მეგობარმა სტუდენტებმა შემესწავლა ქართული ენა.

— პატ. უნო, რა ნაწარმოებები გადათარგმნე დღემდე?

— თავდაპირველად მე ვთარგმნიდი პატარა მოთხრობებს საბავშვო ჟურნალებისათვის.

დაიბეჭდა ჩემს მიერ თარგმნილი ორი წიგნი: ო. იოსელიანის ნოველებს კრებული და მისივე მოთხრობა „ცხრა მთას იქით“.

დიდი შოთას საიუბილეო დღეებში მე ვთარგმნე რამდენიმე ნაწყვეტი „მეფისტიქანიდან“ ჟურნალ-გაზეთებისათვის, აგრეთვე რადიო და ტელეგადაცემებისათვის. სხვათაშორის, ეს პირველი თარგმანია ესტონურ ენაზე უშუალოდ ქართულიდან.

საერთოდ კი, მერიკე პაუ ჩემზე უფრო მეტს თარგმნის. მისი თარგმანები უფრო მრავალფეროვანი და საინტერესოა.

სიტყვა მერიკე პაუმ ჩამოშორთვა:

— მე არც თუ ისე დიდი ხანია, მხოლოდ 1967 წლიდან ვთარგმნი. ვთარგმნე ნ. დუმბაძის „მე ვებედავ მზეს“, „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, დ. ჭონჭაძის „სურამის ციხე“, გ. შატბერაშვილის „მკვდრის მზე“.

ჟურნალ-გაზეთებისათვის ვთარგმნე სერგო კლდიაშვილის, რევაზ ინანიშვილის, გურამ რჩეულიშვილის, თამაზ ჭილაძისა და მირონ ხერგიაშვილის მოთხრობები.

ვთარგმნე აგრეთვე ანა კალანდაძის, მუხრან

მაჭავარიანის, ოთარ ჭილაძისა და აბესაძის ლექსები.

— პატ. უნო, რა აზრისა ხართ ჩვენი ქართული ლიტერატურის შესახებ?

— ქართული ლიტერატურა ძალზედ საინტერესო და ძლიერია, განსაკუთრებით პოეზიაში. მე ბედნიერი ვარ დავტკებ რუსთაველისა და გურამიშვილის ლექსების კითხვით. გულს მხოლოდ ის მტკენს, რომ უქანსკენლ ხანებში ძალზედ ცოტა დრო მრჩება სათარგმნელად. ჩემს გეგმებს სახელოდ გადადების სენი შეეპარათ. აი, რა ხანია ვცენტებ ვთარგმნი კლასიკოსი მწერლები: სულხან-საბა ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე და სხვები, აგრეთვე თანამედროვე ქართველი პოეტები. იმედა, უახლოეს ხანებში შევძლებ ჩემი ძალები მოვსინჯო ამ მიზნის განსახორციელებლად.

— პატ. მერიკე, რაზედ მუშაობთ ამჟამად და რა შედის თქვენს უახლოეს გეგმაში?

— ამჟამად მე ვმუშაობ ისეთ რთულ და საინტერესო ნაწარმოებზე, როგორცაა კ. გამსახურდიას ისტორიული რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“. მე რა თქმა უნდა, მეტად საპასუხისმგებლო საქმეს მოვიკვდე ხელი, მაგრამ მიუხედავად დიდი სიმძნელებისა, დიდ შემოქმედებით სიხარულსაც განვიციდი.

ესტონელი მკითხველი 1970 წლისათვის მიიღებს ამ შესანიშნავ ნაწარმოებს.

ჩემი მიზანია უახლოეს ხანებში ვთარგმნი ანა კალანდაძის ლექსთა კრებული. შემდეგ უკვდავი გალაკტიონი. მერე კი მართლაც მთასავით ბუმბერაზი ვაჟა.



**ამ დღეებში** ტალინიდან საინტერესო ცნობა მივიღე. პატ. მერიკე მატყობინებს, რომ ესტონეთის კულტურის სამინისტროს სარეპერტუარო საუბეაქციო კოლეგიის თხოვნით (მთავარი რედაქტორი ს. გ. ლევინი) საქართველოდან მიიღეს და დასადგმელად ამზადებენ პიესებს: „შინაღამის“, „ჩვენ მისი უდიდებულესობას“, „ყარამან ყანთელაძეს“ და ახალგაზრდა დრამატურგის ელუარდ ყვიანის პიესა „კაენის ცოდვის“.

ამჟამად მერიკე პაუ სწორედ „კაენის ცოდვის“ თარგმნითა დაკავებული. ამ პიესას დაღვამს რაკერეს სახელმწიფო თეატრი.



# საქართველოს განსვენება

## ზურაბ ანტონოვი ილინა კვიციანი

**ზურაბ** ანტონოვის პირადი ცხოვრება თავიდანვე არც თუ კეთილად წარიმართა. გორის სამაზრო სასწავლებლის ორი კლასის დასრულების შემდეგ მამამ არ ისურვა შვილისათვის მეტი განათლება მიეცა.

„გიყვები ხომ არა ხართ? სად უნდა გავგზავნო, ვინდათ შვილი დამაკარგვინოთ?..“ — უპასუხა ნიჭიერი მოწაფით დაინტერესებულ მასწავლებლებს.

ამ ფაქტმა ზურაბზე იმდენად იმოქმედა, რომ 18 წლამდე შინიდან გარეთ არ გამოსულა, სახლში იჯდა და სხვადასხვა წიგნებს კითხულობდა, თვითგანვითარებას ეწაფებოდა. თერამეტი წლისა გორის სამაზრო სამმართველოს მოხელე გახდა. მაგრამ ბედმა აქაც არ გაუღიმა, მალე იძულებული გახდა სამსახურისათვის თავი დაეხებებია. ისევ შინ დამჯდარიყო და კვლავ თვითგანვითარებისათვის მოეკიდა ხელი, კითხულობდა ბევრსა და ყველაფერს, რაც კი ხელში ჩაუვარდებოდა. მამის სიკვდილის შემდეგ მალე გორი მიატოვა და თბილისში გადასახლდა. მეტისმეტად ხელმოკლედ ცხოვრობდა. ამის მიუხედავად გიორგი ერისთავის თეატრით დაინტერესდა, ნაცნობი გორელი მსახიობების დახმარებით კულისებში, შვევილია ხოლმე და იქიდან უყურებდა წარმოდგენებს.

ბოლოს ანტონოვმა გ. ერისთავის სთხოვა მსახიობად მიეღო თეატრში. გ. ერისთავმა თვეში 15 მან. დაუნიშნა. „ვაყრამი“ მივირტუე გასპარიჩის როლი დაევიწყა. ვაჭრის როლი რიგინად არ გამოუვიდა. ეგონა პირველ ამიკის როლს უკეთ შეასრულებდა, მაგრამ აქაც მარცხი განიცადა. ამან გული არ გაუტეხა, პიესების წერა დაიწყო. პირველსავე თავის პიესაში („მე მინდა კნინა გავხდე“) ვაჭართა კლასის მიმართ თავისი ანტიპათიური დამოკიდებულება გამოამჟღავნა, სამაგიეროდ გულთბილად, თანაგრძნობით დაგვიხატა ვაჭრის

მოსამსახურე, რომელიც თავის ბატონზე ყოველმხრივად მაღლა დგას, ჰუმანურ გრძნობებს ამჟღავნებს.

ზურაბ ანტონოვის მეორე პიესა: „ქმარი ხუთი ცოლისა“ რუსული ვოდევილიდან არის გადმოკეთებული. ამ პიესის ორიგინალს არაავთარი სოციალური სიმძაფრე არ ახასიათებს, გადმოკეთების შემდეგ კი ნაწარმოებმა სულ სხვა ქლერა შეიძინა. ანტონოვმა პიესის პირველი მოქმედება დამოუკიდებლად დაწერა, სადაც ფართოდ გაშალა არსებული ხელიუფლების კრიტიკა. პიესაში ასახულია ის უსამართლობანი და მექრთამეობა, რაც ავტორმა თვითონ ნახა და განიცადა გორის სამაზრო სამმართველოში მუშაობის დროს. პიესის პერსონაჟები სახელმწიფო აპარატის მოხელენი არიან, რომლებიც უჭრთამოდ არაფერს აკეთებენ. ცენზურის თვალის ასახვევად ანტონოვმა მოქმედება წარსულში გადაიტანა, სახეები და მდგომარეობა კი ტიპიური თანაბროული შექმნა. ამ პიესაშიც ავტორის თანაგრძნობა მიმართულია ღარიბებისა და ჩაგრული ხალხისადმი. დრამატურგი ნათლად გვიჩვენებს თუ როგორი მძიმე ტვირთად აწევს თავზედ გლეხს ცარიზმის მოხელეთა უსამართლობა და მექრთამეობა: პიესაში გლეხს ქრთამს ართმევენ და მათრახითაც უმსახინძლებიან.

ზ. ანტონოვის დემოკრატიული იდეები ასევე თანმიმდევრულ გამოხატულებას პოულობს მის მომდევნო პიესაში „ქორწილი ხევსურთა“. აქაც ის ღარიბ გლეხობას „უდგას მხარში“. ვაჭარი მთაში ამოსულა და ლამობს გულმართალ ხევსურთა მოტყუილებას. მაგრამ ავტორი ვაჭარს ტოვებს დაზარალებულს, გლეხს კი მოულოდნელად აჯილდოებს.

ზ. ანტონოვს არ უყვარდა რეალური სინამდვილის გვერდის ახვევა, უმეტეს შემთხვევაში ცდილობდა ტიპიური მოვ-



ლენები ტიპიურ მდგომარეობაში გადმოეცა. ხალხის მჩაგვრელთ მიმართ ულმობელი განაჩენი გამოაქვს, დიდ სიფაქიზეს და სიყვარულს იჩენს სამართლიანობისათვის მებრძოლთა და ვაჭირებულთა დამხმარე პერსონაჟების მიმართ. ჩაგრულთა დამხმარე ქოროლი მას იდეალურად ყავს ასახული პიესა „ქოროლიში“. მიუხედავად იმისა, რომ ლეგენის მიხედვით ქოროლი მარცხდება და კვდება, დრამატურგმა გამარჯვებული და უვნებელი დატოვა იგი.

ზ. ანტონოვის პიესებში თანდათან ძლიერდება და ღრმავდება ცხოვრების სინამდვილის ღრმა ასახვა, მოვლენების რეალისტური, კრიტიკული თვალსაზრისით გაშუქება. ამ მხრივ ყველაზე მნიშვნელოვანია მისი 1853 წელს დაწერილი „მზის დაბნელება საქართველოში“. ეს პიესა თავისი მხატვრული სიძლიერითაც და აზრის სითამამით მე-19 საუკუნის დრამატურგიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი ქმნილებაა და მან ქართულ სცენაზე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, ქართული სასცენო ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო როლი შეასრულა. პიესაში ძლიერია კრიტიკული, მამხილებელი პათოსი. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს თავისი დასრულებული კომედიური ხასიათებით, ცოცხალი და მოსწრებული დიალოგით. ზ. ანტონოვის დრამატურგიულმა ოსტატობამ ამ კომედიაში ისეთ ღონეს მიიღწია, მისი გამოსახვის საშუალებანი ისე მართალია, ზომიერების გრძნობით აღბეჭდილი, რომ ინტერესი და მნიშვნელობა მან დღემდე შეინარჩუნა. „მზის დაბნელება“ თითქმის მთელი საუკუნის მან-

ძილზე სცენიდან არ ჩამოსულა და მისდამი მაყურებლის ინტერესი არ შემცლებულა.

ამ პიესაშიც ისევე, როგორც ადრე განხილულ პიესებში ზ. ანტონოვის დადებით პერსონაჟად ჩაგრულთა წოდების წარმომადგენელი ჰყავს გამოყვანული. მზის დაბნელების დროს ყველა შიშით არის შეპყრობილი, მარტო გლეხ ბერუასავან ვისმენენ გამამხნეველ სიტყვებს: „ჭირსა შიგან გამაგრება ასე უნდა, ვით ქვიტიკრასა“. ასევე უშიშარი და ლაღი ბუნებისა არის პიესაში მეორე გლეხიც. მზის დაბნელების წინ ის მხნედ შემოდის მოედანზე, რუსთაველის შემდეგი აფორიზმით: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“. და ასე შემდეგ.

მრავალმხრივ საინტერესოა მისივე პიესა „ლიტერატორთა ტივით მოგზაურობა“. ამ პიესაში ანტონოვს სასტიკად ჰყავს გაეციხული როგორც „გაჩინოვნაკებული“ თავად-აზნაურობა, ისე ის გაკულაკებული გლეხები, რომელნიც მეფის სამსახურში არიან და გლეხების ღარიბ ფენებს პარაზიტულად ყვლეფენ.

ცარიზმის მოხელეების მიერ გლეხაკობისა და ქვრივობლების ჩაჩაგვრა ზ. ანტონოვს აუსახავს აგრეთვე თავის უკანასკნელ პიესაში „კოზირიოკი“. პიესას ჩვენამდე არ მოუღწევია. ის დაიკარგა იმ მომენტში, როდესაც ზ. ანტონოვი ცოფიანმა ძაღლმა დაკბინა. ამ ტრაგიკულ შემთხვევის შემდეგ მას პიესის მოძებნის თავი, რა თქმა უნდა, არ ჰქონდა. რამოდენიმე კვირის შემდეგ ანტონოვი საშინელი წამებით გარდაიცვალა.

## ბ ი ო რ ბ ი ა რ ა დ ე ლ ი - ი მ ხ ნ ე ლ ი

### ნიკო გოჩაყვილი

ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის  
კულტურის განყოფილების გამგე

50 წლის წინათ ვარდაიეცალა გამოჩენილი ქართველი მსახიობი გიორგი ნიკოლოზის ძე იშხნელი. დიდი მსახიობების ალ. სუმბათაშვილი-იუფინისა და ლადო ალექსი-მესხიშვილის, ნუცა ჩხეიძისა და ვალერიან გუნაის, ალექსანდრე იმედაშვილისა და ელისაბედ ჩერქეზიშვილის თანამეგობარბი.

გიორგი იშხნელი 1882 წლის 20 ივნისს დაიბადა ქარელის რაიონის სოფელ არადეთში.

სწავლა სოფლის სკოლაში დაიწყო, თავისი ნიჭით მაშინვე მიიქცია ყურადღება. მასწავლებლების რჩევით მშობლებმა ბიჭუნა სასწავლებლად თბილისში გადაიყვანეს. აქ გიორგიმ სწავლა გაავრძელა მეორე გიმნაზიაში.

გიორგიმ გიმნაზიაში ყურადღება მიიქცია კარგი ხმით, დახვეწილი მეტყველებითა და სპორტით. იგი ყველასათვის — ამზანაგებისათვისაც



და მასწავლებლებისთვისაც საყვარელი ახალგაზრდა იყო.

პირველი სასცენო ნათლობაც გიორგი იშხნელმა გიმნაზიაში მიიღო. 1900 წელს გიმნაზიის სალიტერატურო საღამოზე ა. ოსტროვსკის პეისაში („ტყე“) გენადი ნენჩასტლიცევის როლი შეასრულა. გიმნაზიაშივე შეასრულა ოსისის როლი გოგოლის „რევიზორში“. კეთილის მსურველები იშვიითი ხმის პატრონს ურჩევდნენ კონსერვატორიაში გადასვლას, მაგრამ მამა წაივლიდა წინააღმდეგობა: მე ნასწავლი შვილი მინდა და არა მომადრეგო. 1903 წელს გიორგიმ გიმნაზია დაამთავრა და ოდესის უნივერსიტეტში ჩაირიცხა იურიდიულ ფაკულტეტზე. ეს იყო პირველი სტუდენტი სოფელ არადეთიდან და მამა ამით ამაყოფიდა კიდევც.

სტუდენტობის ახსნაგები გიორგის ახასიათებდნენ როგორც გულმართალ ადამიანს, ერთგულ მეგობარს.

ოდესა ამ დროს რუსეთის ერთ-ერთი კულტურული ცენტრი იყო. ოდესის თეატრი ხშირად თამაშობდნენ ცნობილი რუსი მსახიობები, ცენონის გამოჩენილი ოსტატები. გიორგის აქ საბოლოოდ შეუყვარდა თეატრი. მის გატაცებას იზანაც შეუწყო ხელი, რომ იმ დროს ოდესაში ჩამოვიდა მსახიობი ა. დოლინოვი და დრამატული კურსები გაჭსნა. მეგობრების რჩევით გიორგიც აქ კურსებზე შევიდა. გიორგის გამოცდებზე ორი ლექსი წაუკითხავს, შემდეგ შეუხსრულებია ანტონოვის მონოლოგი „უღიუხს კეისრიდან“. დოლინოვს ისე მოსწონებია ახალგაზრდა, რომ უთქვამს — შენგან არავითარი სწავლის ფული არ მინდა, მიღებული ხარო.

კურსების დაამთავრებულ სპექტაკლს დასწრებია დიდი მსახიობი ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუენი და გიორგი იშხნელის თამაშით

აღტაცებულს უთქვამს: „იქ ქართველი, რომელიც სიც სიამყარი მივიწვევ მცირე თეატრში“. გიორგი წაივლიდა კიდევ მოსკოვის მცირე თეატრში, სადაც ა. ოსტროვსკის „ტყეში“ ითამაშა. მაგრამ ეს რომ მამამ გაიფიქრა, — მე შვილისგან უნივერსიტეტის დამთავრება მინდა და არა კლოუნობა. გიორგიმ მამას არ აწყენინა და ოდესის უნივერსიტეტში დაბრუნდა.

უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი გიორგი 1908 წელს თბილისში ჩამოვიდა და იმ დღიდან ფართო შემოქმედებით მუშაობას შეუდგა. პირველ როლში (ლევან ხიმშიაშვილი) განსაკუთრებული წარმატება არა ჰქონია, მაგრამ შემდეგ ბრწყინვალედ შეუხსრულებია გიგო ტუტიაშვილი გედევანაშვილის „მსხვერპლში“, ანანია სუმბათაშვილის „ლალატში“, ონოფრე ანდრეევის პეისაში „დღენი ჩვენი ცხოვრებისა“, შავი ბერი ჩხოვის ამავე სახელწოდების პეისაში და სხვ. სულ 80 როლი აქვს შესრულებული. იგი გამოდიოდა თბილისის, ქუთაისის, ბათუმის, გორისა და სხვა თეატრების სცენაზე, აწყობდა წარმოდგენებს ქართლისა და გორის ახლო-მახლო სოფლებში.

1920 წლის 21 იანვარს გიორგი არადელი-იშხნელს გორში უნდა ეთამაშა ანანის როლი „ლალატში“. იმ ხანად იგი მშობლიურ სოფელში ყოფილა. არადელიდან ქარელში მტკვარზე ბორნით უნდა გასულიყო, მაგრამ ბორანი არ მუშაობდა, ბავირს გაჰყოლია, ყინვისაგან ხელები გათოშია, დაღლილა და მტკვარში ჩაჯარდნილა. სველი და გაყინული გიორგი მაინც წასულა გორში, იმ დამეს გაციებულსა და სიცხიანს მანაც უთამაშოა, მიუღია მონაწილეობა სპექტაკლში, ფილტვების ანთებით გამხდარა ავად და ცხრა დღის შემდეგ, პირველ თებერვალს გარდაიცვალა.

## მ ს ი ა ნ მ მ ბ რ ნ ე ბ ა

### ს ა ს ა ა მ ი რ ა ჯ ი ა ბ ი

**მმ** და გიორგი იშხნელი ერთ წელიწადს მივედით ქართულ თეატრში სამუშაოდ. როგორც მასხოვს, გიორგის ოდესის დრამატული სტუდია ჰქონდა განვლული და უკვე დასრულებულ მსახიობად ითვლებოდა. ტრადიციის მიხედვით ჩვეულებრივ სეზონი იხსნებოდა ისტორიული პიესით „სამშობლოთი“, რომელიც დიდ პატრიოტულ გრძნობებს უღვიძებდა ქართველ ხალხს თვითმპყრობელობის დროს... როლები ვიანაწილეს და ახლად მოსულ ახალგაზრდებს მთავარი როლები მოგვეცეს, გიორგის — ლევან ხიმშიაშვილი, მე — ქეთევანი. მე შევეკითი, სისხარულის მაგივრად მეწყინა, გიორგიც უკმაყოფილო იყო, ერთმანეთს შევჩივდეთ. გიორგი ამბობდა: ლა-

დოს მერე მე ხალხი როგორ მიმიღებსო. მე როლზე უარი ვთქვი და ლადოს მივმართე: — ბ-ნო ლადო, ამ როლის როგორ დავძლევ. ლადო განრისხდა, დაპაჩარიბა ერთი თვის ჯამაგირით, 60 მანეთით... გიორგიმ ითამაშა, მშვენიერი იყო. ის დიდად ნიჭიერი იყო და ახერხებდა როლისათვის შესაფერი გამომსახველობა მიეცა. ესეც რომ არ იყო, მისი მომხიბვლელი ხავერდოვანი ხმა, ქართული კოლორიტული მეტყველება უკვე გამარჯვების საწინდარი იყო. იგი მოწოდებით დრამატული მსახიობი იყო, თუმცა სხვა ხასიათის როლებიც უთამაშანია და უთამაშანია დიდი წარმატებით. მაგალითად, ონოფრე ანდრეევის პეისაში „დღენი ჩვენი ცხოვრე-





ბისა“. ამის შემდეგ შეასრულა სრულიად განსხვავებული როლი — ანანია გლახა „ლაღატში“. ეს ორივე როლი გიორგის შესრულებით ნამდვილი შედეგები გახლდათ. „ოიდიბოს მეფეში“ გიორგი ტირეზის თამაშობდა, ა. იმედაშვილი კი ოიდიბოსს. მათი სცენაზე კამოსკლა ნამდვილი შემოქმედებითი შეჯიბრება იყო. ერთი მეორეზე უკეთესები იყვნენ.

ა. იმედაშვილი უდაოდ დიდი მსახიობი იყო. მეორე თაობაში იმაზე უკეთესი მსახიობი არ გვყოლია. ამას ყველა აღიარებდა. და აი, ეს დიდი მსახიობი ყველაზე მაღალ შეფასებას გიორგის აძლევდა. იგი ყველას გვიყვარდა, მისი გამოჩენა ყოველთვის გვახარებდა. მეგობართა

წრეში მას ხალისი და სიცოცხლე შემოჰქონდა. გიორგი არადელ-იშხნელი უღროოდ ჩვენგან. 37 წლისა გარდაიცვალა და სცენაზე ფაქტიურად 10—12 წელიც არ ჰქონდა გატარებული. ამ შესანიშნავი აქტიორის მგზნებარე შემოქმედებითი გულისცემა სწორედ იმ დროს შეწყდა, როცა მისი არტისტიული აღმადგურება ზენიტს აღწევდა, როცა მსახიობის ნიჭი მთელი ძალით უნდა გამოლიყო და სრულყოფილად გამოემჟღავნებინა თავისი ბრწყინვალება.

გიორგის მოღვაწეობა ხანმოკლე იყო, მაგრამ მისმა დიდმა ნიჭმა მაინც შესწლო ქართული თეატრის ისტორიაში წარუშლელი კვალი დაეტოვებინა.

## სცენაზე და სხოვრებებში შაჰრო გომელაური

**1908 წელს** ქ. თბილისის ქართულმა დრამატულმა დასმა მოიწვია ოდესის უნივერსიტეტის უკანასკნელ კურსის სტუდენტი გიორგი იშხნელი. პირველი სადებიუტო წარმოდგენა, რომელიც იშხნელი წარსდგა საზოგადოების წინაშე, იყო ლევან ხიმშიაშვილის როლი (დ. ერისთავის „სამშობლო“). პირველმავე წარმოდგენამ დანახვა საზოგადოებას, რომ იშხნელის სახით ქართულ თეატრს დიდად ნიჭიერი მსახიობი მოეკლინა. მისი გარეგნობა, ხავერდოვანა ხმა, შინაგანი სითბო, აქტიორული ტექნიკა და, რაც მთავარია, ბუნებრიობა ცხადყოფდა, რომ იშხნელი ქართულ სცენაზე თვალსაჩინო ადგილს დაიჭერდა. ეს ასეც მოხდა. ხანმოკლე იყო მისი მოღვაწეობა, მაგრამ თავის მუშაობის ამ მცირე მანძილზედაც იმდენი სრულყოფილი მხატვრული სახეები შექმნა, რომ ქართული თეატრის ისტორიაში უდავოდ დაიმკვიდრა დიდი ოსტატის სახელი.

პირველი დიდი გამარჯვება იშხნელს წილად ხვდა იოსებ გედევანიშვილის პიესა „მსხვერპლში“. ამ სპექტაკლში გიგო ტუტიაშვილის განსახიერებაში მსახიობმა თავის შემოქმედების უმაღლეს წერტილს მიაღწია და ისეთი ოსტატობით აამტყვევლა სცენაზე, რომ მაყურებელი, თუმცა არ თანუგრძობდა გზა აზნეულ გიგოს, მაგრამ, ამავე დროს, არ შეიძლებოდა მსახიობის დიდ ოსტატობას არ დაეტყველებინა. აქტიორული უბრალოებით, დიდის ტემპერამენტით, შინაგანი სითბოთი, მელოდიური სასიმღერო ხმით, კულტურით გიორგი ხიზლავდა მსმენელს, თავისი არტისტიზმით შესწლო მაშინდელ სცენის დიდ ოსტატებს ამოსდგომოდა გვერდში და ღირსეული ადგილი დაუჭირა მათ შორის. იშხნელი ამ როლით გიგო ტუტიაშვილის პირად ტრაგე-

დიას კი არ სახავდა, არამედ ის უფრო შორის მიდიოდა და მისი სახით გვიხატავდა გლეხობის იმ ნაწილს, რომელმაც ალღო ვერ აუღო მომენტს და რეაქციის ჭაობში მოექცა.

როლის სოციალური არის გამომჟღავნებით ის გიგო ტუტიაშვილს ანზოგადოებდა და მის სრულყოფილ მახინჯ სახეს იძლეოდა. ასეთივე დიდი ოსტატობით იყო გამოთარი ჰენრიხი („დაძირული ზარი“), ანანია („ლაღატი“), ნეორნი, („ვიდრე ხეალ უფალი“), ტირეზი („ოიდიბოს მეფე“), ონუფრი („დღენი ჩვენი ცხოვრებისა“) და მრავალი სხვა... ამ როლებიდან არ შეიძლება არ გამოვყოთ ანანია გლახა, ეს როლი გიორგი იშხნელმა პირველად ოპერის თეატრში ითამაშა. მსახიობი მეტად დელავდა და ეს აღვილად გასაგებიც იყო. მაყურებელთა შორის დარბაზში იჯდა თვით ავტორი ბიესისა — დიდი მსახიობი ა. სუმბათაშვილი. მსახიობს სულ რამდენიმე რეპეტაციით მოუხდა პიესაში გამოსვლა. დაიწყო მეორე მოქმედება. სცენაზე გამოჩნდება ანანია თავისი შეილებით. მსახიობი დელავს, დარბაზიც კი ატყობს ამას, მაგრამ ვაგიდა რამდენიმე წუთი და დელვა შეწყდა. მსახიობმა იპოვნა თავისი თავი და როცა ოთარბეგს მიმართა — ნება მომეცით მოვაგონო, ბატონო, თუ რას განიცდიხარ შენი ერი, — ეს ფრაზა ისეთი ძლიერი ექსპრესიით იყო მსახიობის გულიდან ამოსული, რომ მთელი დარბაზი გაინაბა, ქრუანტელმა დაუარა ყველას და კულისებში მყოფმა მსახიობებმაც ვიგრძენით დიდი ოსტატის შემოქმედების მწვერვალები.

ნეორნი ქართულ თეატრში საუკეთესო განმასახიერებელი ჰყავდა — მსახიობი კოტე მესხი. ძნელი იყო ახალგაზრდა აქტიორისათვის ამ როლის ახლებურად ამტყვევლება, მაგრამ დიდმა



ისტატმა იშვნელმა აქაც შესილო თავისებურების შეტანა და სულ ახალი, უჩვეულო სახის შექმნა. მისი ნერონი — ეს პიროვნების დესპოტიზმი კი არ იყო, არამედ რომის გაბატონებული კლასის დამახინჩებული ტირანის სახის გამოძევადება. ამ როლის შესრულებით იშვნელმა ერთხელ კიდევ ცხადპყო, რომ მისი სახით ქართულ თეატრს დიდი ისტატი შეეძინა.

დღეს მსახიობს ყველა პირობა აქვს შექმნილი შემოქმედებითი მუშაობისათვის. თეატრს დიდის მზრუნველობით ეკიდება ჩვენი ხელისუფლება. მსახიობი მატერიალურად უზრუნველყოფილია. მას დიდი დრო ეძლევა ამა თუ იმ როლის მომზადებისათვის. სულ სხვა პირობებში იყო ჩაყენებული ძველად მსახიობი, ნახევრად მშოიკ მწყურვარი ის ლეკმა პუტის ძებნაში ხშირად ხურდადებოდა. ასეთ პირობებში რაოდენ დიდი ისტატი უნდა ყოფილიყო იშვნელი, რომ წარუძღვლი კვალი დაეტოვებინა ქართულ თეატრის ისტორიაში.

მგონია ინტერეს არ იქნება მოკლებული ორიოდე სიტყვით შევხებით იშვნელს, როგორც მოქალაქეს და ამხანაგს. მსახიობი იშვიათი სიყვარულით სარგებლობდა მეგობრებს შორის. მეტისმეტად თავდაბალი, გულითადი ამხანაგი იყო, უკანასკნელ პერანგს გაიხდიდა მეგობრის გულითათვის. ის ყოველ ზაფხულს მიემგზავრებოდა თავის საყვარელ სოფელ არაღეთში და იქ მუშაობდა როგორც ჩვეულებრივი გლეხი. მისი მეზობლები ამაყობდნენ თავიანთი ნიჭიერი მოძმით, მახსოვს, ქუთაისის დასის ამხანაგების დავალებით ჩავედი მასთან სოფელში, საგასტროლოდ უნდა წამყვანა ქუთაისში. მიუუახლოვდი მის კარ-მიდამოს დავინახე ვიღაც წვერულეაშ

მომშვებული გლეხი, ზორბლით სავსე ტომრებს ეზიდებოდა, ძლივს ვიცანი. ვიდრე სამუშაო დაამთავრა ხეირიანად არც კი შემომხედა და შემდეგ კი გადამიხსნა გული და თავისებური ტკბილი საუბარი გააბა. დავითიანმე ვასტროლზე. შემომჩივლა, ბიჭო, ოჯახში ერთი კაპიკი არა მაქვს და არც უტრემბი მყავს თორემ პუტის ჩავიტანდი ქარელში გასასყიდათო, რომ ცოლ-შვილის ცოტა საზრდოდ დაუტოვო. ჩვენს საუბარს მეზობლები დაესწრნენ. თავიანთ საყვარელ გიორგის შემდეგი სიტყვებით მიმართეს: შე კაი კაცო, ჩვენ აქ არა ვართ, როგორა გგონია, მშვიტის მოეკლავთ შენ ცოლ-შვილს? — აი ასეთი სიყვარულით საზრგებლობდა ის გლეხებს შორის.

გიორგი მთელი თავისი არსებით გლეხობასთან იყო დაკავშირებული. მაღალი წრის ფუქსავატი საზოგადოება მას ეჯავრებოდა, მათთან არც შეეძლო გამოენახა საერთო ენა, თავისუფალ დროს თავის საყვარელ არაღეთს არ შორდებოდა. ეს „ბუნტარი“ მსახიობი დიდ შრომის მოყვარეობას იჩენდა. როცა საჭირო იყო ტომრებს უზიდებოდა, როცა საჭირო იყო მხატვრულ სახეებს ანხორციელებდა სცენაზე, როცა უფრო თოთლი მდგომარეობა ჰქონდა ეტლის კოფოზე ექცეოდა და მეეტრობას არ თაკილობდა. ოდესის უნივერსიტეტის უკანასკნელი კურსის სტუდენტი, დიდი მსახიობი და უბრალო მეეტლი! რა პარადოქსია, რა კონტრასტია. ბევრჯერ გვინახავს მეეტლის ქუჩაში გამოწყობილი თავისი საყვარელი ცხენებით მგზავრებს მიაქროლებდა. ასეთი შრომით ის თავისებურ პროტესტს უცხადებდა ქვეყნის მაშინდელ მესვეურებს, რომლებიც თეატრს ყურადღებას არ აქცევდნენ, და მაღალი წრის საზოგადოებას.

## ს ა რ ი თ ა ლ ო ლ ე ა

დაბადების 50 წლისთავის გამო

### დავით ჩხეიძე

**პარტული** პროვინციული სცენის მოღვაწეთა შორის არეთა ლოლუას თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. იგი ადრევე გაიტაცა თეატრმა და სიკვდილამდე თავდადებათ ემსახურებოდა თავის საყვარელ ხელოვნებას.

არეთა 7 წლისა იყო, როცა ახალსენაის ქალთა ორკლასიან სასწავლებელში მიაბარეს. სკოლაში ბეჭითად სწავლობდა და ნიჭიერ ბავშვს მასწავლებლებიც ყურადღებით ექცეოდნენ. ახალსენაის ორკლასიანი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას ფოთის ქალთა პროგინზაზიაში აგრძელებს, შემდეგ კი ქუთაისში გადადის და წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში შედის. ქუთაისში იმხანად ჩამოსული იყო უკრაინელი დასი. არეთამ პირველად ამ დასის სპექ-

ტაკელი ნახა და ისე გაიტაცა, რომ მის არც ერთ წარმოდგენას არ დაკლებია.

მაგრამ როდესაც ქუთაისის სცენაზე ქართული წარმოდგენა ნახა, ამ წარმოდგენამ ისე ძლიერად იმოქმედა, რომ სულის სიმშვიდე დაკარგა და სწავლაზეც კი გული აუტრუდა. ეს წარმოდგენა იყო „შუბისძიების ღმერთი“ ებრაელების ცხოვრებიდან. სპექტაკლში მონაწილეობდნენ ლადო მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე და ნინო დავითაშვილი. აი ამ სპექტაკლმა გადაწყვიტა არეთას ბედობალი. ამიერიდან თეატრი, სცენა — არეთას საოცნებო საგანი გახდა.

არეთა ლოლუა მერვე კლასის მოწაფე იყო, როდესაც რუსული ენის მასწავლებელმა სკოლაში წარმოდგენა გამართა (დაღვა ფონინიშნის



კომედია „უღლებური“). არეთამ ამ პიესაში ითამაშა მამაკაცის როლი პრავდინი. მასწავლებლებმა არეთა კარგი თამაშისათვის შეაქეს და უთხრეს, — შენ აქტიორული ნიჭი გაქვსო. ამ შექებამ არეთას იმედები აღუძრა.

და აი, ერთ დღეს მასთან ამხანაგი ქალი მივიდა და მიუტანა ზავითი, რომელშიაც თბილისის დრამატული საზოგადოების გამგეობა აცხადებდა, რომ თბილისში იმართება გამოსაცდელი წარმოდგენები ქართულ დასში შემსვლელი ახალ-გაზრდებისათვისო. არეთამ გადაწყვიტა ბედი ეცადა. თუ ვინცობა არ გამოდგებოდა, სცენაზე ოცნებობისათვის თავი დაენებებინა. ეს იყო 1910 წ. აპრილში.

არეთამ გადაწყვეტით კი გადაწყვიტა წასულიყო თბილისში, მაგრამ, რა საბაბით, რისთვის, რა ეთქვა მშობლებისათვის, ან კი გაუშვებდნენ თბილისში მარტოდ, სადაც არასოდეს არ ყოფილა არც არავინ ყავდა ახლობელი? ბევრი ფიქრის შემდეგ მშობლებს უთხრა თითქოს თბილისში სამოსწავლო ოქქის მურუნველისათვის მასწავლებლის ადგილის სათხოველად მიდიოდა.

ჩაიდა თბილისში. დიდი ვაი-ვაღლაბით მოქებნა ოჯახის ნაცნობი ვინმე დოლიძის ბინა ვოგოლის ქუჩაზე. იქ დაბინავდა; მეორე დღეს მივიდა ქართულ თეატრში. გამოცდაზე დასმებული იყო 31 ქალი და ვაჟი, არეთა ისე აღუვლდა, რომ თითქოს ვერც კი გაიგო როგორ დამოჩნდა საგამოცდო ოთახში. მაგიდას უსხდნენ ლადო მესხიშვილი და ვალერიან გუნია, დანარჩენი ხუთი კაცი უცნობი იყო მისთვის. ლ. მესხიშვილმა განცხადება და დიპლომი გადათავადა, შემდეგ წამოაგა, მივიდა ბავშვთან, ჯერ მშობლებს ვინაობა გამოკითხა, შემდეგ დაინტერესდა თანახმანი იყვნენ თუ არა ისინი, რომ შვილი მსახიობი გამოსულიყო. არეთამ ტყუილის თქმა ვერ შეკარდა და მართალიც ვერ გაბედა. ენა ჩაუვარდა. ხმა ვერ ამოიღო. ამ მდგომარეობიდან ისევ ლადომ გამოიყვანა, სთხოვა რომელიმე ლექსი წაეკითხა. წაიკითხა აკაკის ლექსი „ავადმყოფი“. შემდეგ ასეთი ამოცანა შესთავაზეს: ეთქვათ მშობლებთან ერთად ბავშვი საზღვარგარეთ მიემგზავრება და მოულოდნელად მატარებელმა გაასწრო. არეთამ ყველაფერი სწრაფად გაიზარა — სადგურზე დარჩენილი ბავშვი უცბად გონს მოდის, სწრაფად შემოტრიალდება, რათა მატარებელს დასწავლდეს. ეს ისე სწრაფად გააკეთა, რომ კაბის ტრენში გახვება და ლადოს რომ არ დაეჭირა ძირს დაეკეოდა.

გამომცდელებმა სიცილი ვერ შეიკავეს, არეთას სიმწრის ოფლი დაასხა, აბუხუნდა. ლადომ შუბლზე აკოცა და სიცილით უთხრა: „კარგია, შვილო, კარგია“. არეთა დარწმუნებული იყო, რომ სასტიკად დამარცხდა. გამოცდების დამ-

თავრებამდე დარჩენა არც კი უნდოდა, მაგრამ როდესაც გამოუცხადეს მეორე დღეს როდესაც მისაღებად მისულიყო, არეთას განცვიფრებას საზღვარი არა ჰქონდა.

ორ კვირას ამზადებდნენ სხვადასხვა პიესებიდან თითო მოქმედებას. დადგა წარმოდგენის დღეც... ბოლოს გამოუცხადეს, შედეგებს წერილით შევატყობინებთო. იმავე საღამოს ქუთაისში დაღონებული დაბრუნდა, არ იცოდა როგორ ჩააბარა გამოცდები.

არეთა თბილისში 22 დღე დარჩა და თავისი იქ ყოფნის ნამდვილი ამბავი მშობლებს არ გაუახილავა.

ავგისტოს პირველ რიცხვებში არეთამ დრამატული საზოგადოების გამგეობისაგან ხელშეკრულება და ცნობა მიიღო, რომ ის მიღებულია თბილისის ქართულ დასში 1910-11 წლის სეზონში და თეატრი ხელუფასი დაინიშნა 50 მან. არეთას სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. რა დღესაც მიიღო ხელშეკრულება იმ დღესვე ხელი მოაწერა და დაუბრუნდა.

1910 წლიდან იწყება ახალი ხანა არეთას ცხოვრებაში. ამ დღიდან არეთა გახდა სრული ბატონი პატრონი თავისი თავისა. თვითონ მას უნდა გაეკავა თავისი ცხოვრების გზა.

თბილისში ჩამოსულ არეთას ბედმა გაუღიმა. მახლობლების დახმარებით იგი დიდი ქართველი მსახიობის — მაკო საფაროვა-აბაშიძის ოჯახში მოხვდა და ახლა რა გაუჭირდებოდა!

მაკო ვანსაკუთრებული ყურადღებით ექცეოდა. თვითონ გაუწყო ცალკე ოთახში ოაგინი, საჭირო ავეჯით. ხშირად გამოიგონა არეთასაგან — მაკამ დიდი მურზუგალია გამოიწია, ჩემდამი ნამდვილ დედობრივ გრძნობას იჩენდაო. მაკოსთან ცხოვრება ნამდვილი სკოლა იყო არეთასათვის.

16 ავგუსტოს არეთა თვით მაკომ მოიყვანა თეატრში და, ვიდრე დასი შეიკრიბებოდა, თეატრი დაათვალიერებინა და ყველაფერი აუხსნა.

როგორც ვთქვით, გამოცდაზე 31 ქალ-ვაჟი იყო დასმებული. აქედან დასში მხოლოდ არეთა იქნა მიღებული.

ტრადიციულად სეზონი იხსნებოდა დ. ერისთავის პიესა „სამშობლოთ“. მასში საუკეთესო ძალები ღებულობდნენ მონაწილეობას. არეთას, როგორც დამწყებ მსახიობს, ბიჭის როლი მისცეს. არეთას ეშინოდა დებიუტისა. ხუმრობა ხომ არ იყო, გამოჩენილ მსახიობებთან ერთად თამაში! მაგრამ რეჟისორის გამოცდილი ხელის წყალობით და დახმარებით ისე მშვიდობიანად ჩატარდა მისი პირველი გამოსვლა, რომ ყველა ექაყოფილი დარჩა. რეცენზენტები კი წერდა: საჭიროა აღინიშნოს იშვიათი შესრულება ქ-ნ ლულუას მიერ პატარა ბიჭის უმნიშვნელო როლისა. ქართველი პატრიოტების დასჯის სცენაში



როლის შემსრულებელი წამდელი განმხორციელებელი აღმოჩნდა რეალობის და მხატვრული ზომიერების გრძობისა.

შემდეგ არეთამ ითამაშა კურსისტკა სონას როლი შიუტაშვილის პიესაში „სიმინჩე“. როცა რეჟისორმა შალიკაშვილმა არეთა დანიშნა ამ როლზე მთელი დასი შემოვთდა, ყველას აწინებდა პიესის ბედი, მისი წარმატება, თუ დამარცხება სავსებით არეთაზე იყო დამოკიდებული. რეჟისორის დაუღალავმა შრომამ არეთასთან და ამხანაგების თანაგრძნობამ სასურველი შედეგ გამოიღო. პიესამ დადებითი შეფასება მიიღო საზოგადოებისაგან. პრესამაც აღნიშნა ახალგაზრდა მსახიობის გამარჯვება.

სპექტაკლს „სიმინჩე“ აკაიი დასწრებია, პროგრამა რომ წაუკითხავს არ დაუჯერებია, თუ ასეთ რთულ როლს დამწყებ მსახიობს დააკისრებდნენ. არეთა რომ სცენაზე გამოსულა, მაშინვე უცნია.

მეორე დღეს აკაიი თეატრში მისულა, არეთა მოუსვამს გვერდით და დარიგება მიუცია:

„მე კმაყოფილი ვარ წუხანდელი წარმოდგენით... უძველად ნიჭიერი ახალგაზრდა ხარ. ოღონდ საჭიროა, დაუღალავად იმუშაო შენს თავზე. მე კი ხელს შეგიწყობ რითაც შემეძლება“.

გამოთხოვების დროს აკაიმ სიცილით უთხრა: „ჩვენ, იმერლებს, ერთი ცუდი თვისება გვაქვს. თუ კაცმა შეგვაქო — კუდს ყავარზე გავდებთ, შენც ასე არ მოგივიდეს, ჩემმა შექებამ არ გაგადიდგულოს, იცოდე დიდი ხანგრძლივი მუშაობა-მეცადინეობაა საჭირო, თუ გინდა ნამდვილი ხელოვანი გახდე“.

წასვლის წინ ერთხელ კიდევ მოუბრუნდა და ჰკითხა, თუ რითი შემძლია დაგეხმარო. არეთამ გაბედა და თხოვა მშობლებთან შეერიგებინა, რადგან ოჯახში დაბრუნება აკრძალული ჰქონდა და იცოდა, რომ ამ გადაწყვეტილებას მამას აკაის მეტი ვერავინ შეაცვლევინებდა.

აკაის ეწყინა მამის ასეთი საქციელი, დაპირდაუხლოეს ხანში წავიდოდა ქუთაისში და მამამის მოარჩუნებდა. „მერწმუნე თვითონ მას გამოგზავნი შენს წასაყვანადო“, — უთქვამს დიდ პოეტს.

აკაის დარიგება ერთი წუთითაც არ დაეწყებია. 40 წლის მანძილზე არეთა ლოლუა გულმოდგინედ მუშაობდა თავისთავზე და უანგაროდ მოღვაწეობდა. გათხოვების შემდეგ იგი საზნაოში დასახლდა და მისი თაოსნობით იქ ხალხისათვის ბევრი რამ სასარგებლო გააკეთა.

არეთას ამ საინტერესო მოღვაწეობაზე დაწვრილებით მოგვითხრობს სასოფლო საბჭოს ცნობა: „საზნაოს თემსაბჭო ამით დასტურებს, რომ მსახიობ არეთა ლოლუას საზოგადოებრივი და კულტურული მუშაობა დაიწყო რაიონში 1914 წლიდან, მან შეაჯამირა მაშინდელი ადვოკატობრივი კულტურული ძალები და აწყობდა წარმოდგენებს. 1915 წელს პირველად აჩვენა ადგილობრივი გლეხობას წარმოდგენა, რომელშიც ლოლუას გარდა მონაწილეობას იღებდნენ სხვა პროფესიონალი მსახიობებიც. ასეთმა შედარებით მხატვრულმა წარმოდგენამ ხალხს შეაყვარა წარმოდგენები და სიამოვნებით ესწრებოდა მთელი ზაფხულის პერიოდში. მსახიობი ლოლუა არასოდეს არ ღებულობდა გასამრჯელოს, წარმოდგენების შემოსავალი ხმარდებოდა სხვადასხვა კულტურულ საქმეებს. ამ შემოსავლით მან დააარსა ბიბლიოთეკა-სამკითხველო, საექიმო პუნქტი, რომლისთვისაც შეიძინა ყველა საჭირო მოწყობილობა, საფოსტო ყუთი, დააარსა წერილი საკრედიტო ამხანაგობა, სამომხმარებლო საზოგადოება და ყოველკვირეული ბაზრობა. მდინარე ძირულაზე გააკეთა რკინის საურმე ხიდი, თეატრს შესწირა დიდი ფარდა.“

ზედა საზნაოს სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე ჩუბინიძე, მდივანი — ჩაფიძე“.

არეთა ლოლუა უკანასკნელ წლებში მუშაობდა ცხაკაიას კულტურის სახლში და ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდა.

# უ ა ნ გ ა რ ო ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ

## კ ა შ ა ზ ჩ ი ნ ხ ა ლ ა მ ი

**ზ ა მ ა ნ ი ა** არაბიძემ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე უანგაროდ ემსახურებოდა სცენას, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ზესტაფონის თეატრალურ ცხოვრებაში, ხოლო მისმა ოჯახმა კი ჯ. ზესტაფონში მკვიდრი საფუძველი ჩაუყარა თეატრს. რევოლუციამდელ ზესტაფონში (ყვირილში) ოქროპირი, ალექსანდრე, ვასო, ფაცია არაბიძეების ოჯახებში დიდი სამსახური გაუწიეს ეროვნული თეატრალური კულტურის განვითარების საქმეს.

ფაცია არაბიძის ბიძაშვილი — ალექსანდრე იმით რიცხვს უნდა მივაკუთვნოთ, რომელნიც თავისი ქველმოქმედებით, თავდადებული შრომით გზას უკაფადებდნენ ეროვნულ თეატრს.

ვასო არაბიძემ — ფაციას ძმამ კი, რომელსაც დიდმა რუსმა მწერალმა მაქსიმ გორკიმ „გმირული სულისკვეთების რევოლუციონერი“ უწოდა, სამახსოვრო შემოქმედებითი ფურცელი ჩაწერა ქართული თეატრისა და კინოს მატანეში.

ფაციას მშობლები — ოქროპირი და ფოტიე არაბიძეები საკმაოდ შეძლებულად ცხოვრობდნენ. იმდროინდელ ზესტაფონში მათი ოჯახი გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით, ახალგაზრდობისაღმე თანაგრძნობით.

ალექსანდრეს თავდაიწყებამდე უყვარდა თეატრალური ხელოვნება, იგი საკმაოდ განსწავლული ყმაწვილი გახლდათ და ერთ-ერთი მოწინავე ახალგაზრდად ითვლებოდა. იგი ქუთაისის ხშირი სტუმარი იყო. აქ დუაჰლოვმა ქართული თეატრის მოღვაწეებს და ზესტაფონში თეატრის დაარსებისთვის დაიწყო ზრუნვა. მიზანს კიდევაც მიიღწია.

1898 წელს საფუძველი ჩაეყარა ზესტაფონის თეატრს. ამისათვის მან საკუთარი ორი შენობა გააერთიანა, მოაწყო მაყურებელთა დარბაზი ოთხასი კაცისათვის, საკმაოდ დიდი სცენით, კლასიკური და დამხმარე ოთახებით.

ალექსანდრემ შემოიკრიბა სცენისმოყვარეთა პირველი ჯგუფი და შეუდგა სპექტაკლების გამართვას. ესენი გახლდათ: ა. არაბიძე, კ. მოლდობაძე, მ. ჰანკვეტაძე, კ. ა. და ვ. საყვარელიძეები, ს. იაშვილი, დ. ყიფიანი, აქვე იყო ქუთაისელი მსახიობი ვ. ბალანჩივაძე, რომელიც ბრწყინვალედ ასახიერებდა იმერლის როლებს. სცენის ტექნიკურ მოწყობაში სრულიად უსასყიდლოდ

ეხმარებოდნენ ვ. არდიშვილი, მ. გაჩეჩილაძე, ი. მაღლაკელიძე და სხვ. პირველ სპექტაკლად დაუდგამთ „ოთხი იმერელი“. მათ პირველ ხანებში გაძნელებილია ქალის როლის შემსრულებლის გამოჩვენება და ისეთი პიესები შეურჩევიათ, რომლებშიც მხოლოდ კაცებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ბოლოს გამოუნახავთ ო. ბაქრაძე და მისი მონაწილეობით დაუდგამთ „დაძმა“.

ა. არაბიძის თაოსნობით ზესტაფონში ჩამოდიოდნენ და სპექტაკლებს მართავდნენ ქუთაისის თეატრის მსახიობები, მათ შორის: ლ. მესხიშვილი, ნ. ჩხეიძე, შ. დადიანი, ვ. ბალანჩივაძე, დ. გამყრელიძე (აწყურელი), დ. ჩარკვიანი, დ. ივანიძე. სტუმრებს ყოველთვის არაბიძეების ოჯახები მასპინძლობდნენ. აი, ამგვარ ვარემოში იზრდებოდა ფ. არაბიძე, მაშინ 11 წლის ვაგონა.

„მე და ჩემ ბიძაშვილს კატის — იგონებს ფ. არაბიძე — გვანებოვებდნენ, განსაკუთრებით შ. დადიანი. როდესაც დედა თეატრში წასვლაზე უარს მეტყუოდა ხოლმე, ბატონი შალვა გამომესარჩლებოდა, ამა მას ვინ ეტყოდა უარს. შალვა ჩვენს ოჯახში ყველაისთვის საყვარელი აღამიანი იყო“.

ქუთაისის დასს იმხანად ნ. ჩხეიძის მონაწილეობით დაუდგამს სპექტაკლი „უბედური ნაზიკა“, რომელსაც პატარა ფაცია დასწრებია და მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოუხდენია. „სპექტაკლიდან შინ ვაოცებული დავბრუნდი, მთელი ღამე მოუხვენრად მეძინა, — იგონებს იგი, — გათენებას მოუთმენლად ველოდი, რომ დილით მეხილა მსახიობები, რომლებიც ბიძაჩემის სახლში ისვენებდნენ. როგორც იქნა ვათენდა. ტანს ჩავიცვი და ბიძაჩემის სახლისაკენ გავეშურე. აივანზე უკვე სუფრა გაეშალათ, საუზმეს შეექცეოდნენ. მეც ეს მიხლოდა. მსურდა ნ. ჩხეიძეს კარგად დაკვირვებოდი. უცბად გამოვტრიალდა, შევედი ოთახში, კედლიდან დიდი სურათი ჩამოვხსენი, დავიდგი წინ, გავიშალე ლოკონები და მოთქმა დავიწყე.“

თვლებიდან ცრემლები დაბა-ღუბით ჩამოდიოდა. ამ დროს, თურმე, მსახიობები ფანჯარასთან მოსულყვენენ და სულღანაბლული ყურს მიგდებდნენ. დავამთავრე თუ არა მოთქმა, ჩემს წინ აღმართა ღვთაება კაცი — ლადო მესხიშვილი, გულში ჩამიკრა და მსახიობებს მიმართა: „მთქვენ ნახათ, ჩვენ ვაგონას რა ბრწყინვალე



მომავალი ექნესო“. — გვითხრა ქალბატონმა ფაცია და მოკრძალებით დასძინა: „მართალია მე მისი წინაწარმეტყველება მილიანად ვერ გავამართლე, მაგრამ ერთი უდაოა, როგორც შემძლო საყვარელ თეატრს მთელი ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე უნაგაროდ ვემსახურე“.

ფ. არაბიძის პირველი სცენური ზიარება 1907 წელს მოხდა. შ. დადიანმა დადგა „თამარ ცბიერი“. თამარის როლს ასრულებდა დ. ჩიხლაძე, ცირასას — ფ. არაბიძე.

შ. დადიანი ამავე წელს დგამს „პარიზელ ბეუს“. პარიზელი ბეუსის როლის შემსრულებლად მოუწვევიათ მკო საფაროვა-აბაშიძისა. სპექტაკლში ფაციასაც მიუღია მონაწილეობა. იგი მოგვიხსრობს: „თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რა სასიხარულო იყო ჩემთვის ბუმბერაზ მსახიობთან პარტიორობა. დიდი მსახიობი ისე უბრალოდ და თავაზიანად მოგვექცა, რომ მღელვარება მაშინვე გავიქრა, მისი მაღალი ნიჭიერებით მოხბილური ვატაცებით ჩაგებით მოქმედების საერთო გარემოში. ეს სპექტაკლი სამუდამოდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში. აღტაცებული მაყურებელი ტაშით შეეგება მაკოს, შ. დადიანი კი უღრმეს ნეტარებას განიცდიდა“.

გატყდა „ნანესი“, თეატრს თანდათანობით მოემატა სცენისმოყვარი ქალები — გ. ჩხეიძე, ნ. კელენჯერიძე. ვაეები: ნ. ასათიანი, ნ. ცერცვაძე, ესენი ერთგულად ჩაებნენ თეატრალურ ფერხულში და მნიშვნელოვან წარმატებებსაც აღწვიდნენ.

1910 წელს ჭიათურის თეატრში სამუშაოდ მოუწვევიათ იმ დროს უკვე ცნობილი რეჟისორი ა. წუწუნავა. იმხანად ჭიათურის თეატრი საკმაოდ კარგად ყოფილა დაკომპლექტებული მსახიობთა ძალით. იქ მუშაობდა აგრეთვე ა. წუწუნავას და — მსახიობი ვევილია. ვევილია კარგი მეგობარი ყოფილა ფაციასი და წერილით შეუთვლია ჩასულიყო ჭიათურაში სპექტაკლში მონაწილეობისათვის. ა. წუწუნავას ფაცია მოსწონებოდა და „ქრისტინეში“ მარიაკას როლი მიუცია. პრემიერის დღეს მარიაკას როლის შემსრულებელი რეჟისორს შეუქია, ხოლო ვევილიანს იმდენად დამაჯერებლად განუხორციელებია ქრისტინის როლი, რომ მას მაყურებელი სცენიდან დიდხანს აღარ უშეებდა.

1912 წ. ზესტაფონში ჩასულა ვ. ურუშაძე მეუღლით — მ. მიღვინით. ამ დროს დასის ხელმძღვანელი იყო ვ. არაბიძე, მას ვ. ურუშაძესთან ერთად გაუჩაღებია მუშაობა. მოუწმალდებით არაღენიებ პიესა და მახლობელი სოფლები შემოკვლიათ. საგულისხმოა, რომ ამ მოგზაურობის დროს „ქეთევან წამებულში“ ფ. არაბიძე ქეთევანის როლს ასრულებდა. ა. წუწუნავა იმავე ზაფხულს ზესტაფონში სწვევია არაბიძეების

ოჯახს და მათი თხოვნით აქ დაუდგამს შ. დადიანის „გულმოდელი“. ვ. არაბიძეს ამ სპექტაკლში პრწყინვალედ შეუჩრულებია ჭიობის როლი, ხოლო არა ნაკლებ საინტერესო ყოფილა ფოფოდიას როლის შემსრულებელი ფ. არაბიძე. აღფრთოვანებით მიუღიათ აგრეთვე ა. წუწუნავას რეჟისორობით დადგმული „ქრისტინე“. მაყურებელი მოუხიბლავს ვასო არაბიძის დათიას და ფ. არაბიძის მარიკას.

1913 წელს ფ. არაბიძე ჩაირიცხა თბილისის საბებიო ორწლიან ინსტიტუტში, რომელსაც წარჩინებით ამთავრებს 1914 წელს. 1917 წლამდე მსახურობს ექიმის თანაშემწედ თბილისის საავადმყოფოში.

1914 წელს ა. წუწუნავა მიიწვიეს თბილისის სახალხო სახლში რეჟისორად, მან, სხვა ნიჭიერ სცენისმოყვარულეთან ერთად, ფ. არაბიძეც მიიწვია დასში. ა. წუწუნავას დაუდგამს „დღენი ჩემნი სიცოცხლისა“. ფაციას უთამაშინა ოლოლის დედა. შემდეგ დაუდგამთ „რევიზორი“, რომელიც თბილისის თეატრალურ საზოგადოებრობას აღტაცებით მიუღია, განსაკუთრებით მოსწონებიათ ვ. ნინიძის ხლესტაკოვი, ფაციას კი დომჩინსკის ცოლის როლი შეუსრულებია.

„ქრისტინეში“ ფაციას სონკა უთამაშინა. 1917 წლიდან ფაცია მშობლიურ ზესტაფონში, მუშაობს თავისი პროფესიის მიხედვით. პარალელურად კი თავის საყვარელ თეატრს ემსახურება.

ღეაწმობილი მსახიობი ფ. არაბიძე ახლა 30 წელსაა გადაცილებული და სიყვარულით იგონებს ვანელია დღეებს: „1919 წელს თბილისიდან მშობლიურ ზესტაფონში ჩამოვიდნენ მსახიობები: უ. ჩხეიძე, შ. დამბაშიძე, დ. ანთაძე, ვ. არაბიძე, ც. ამირეჯიბი (ჩემი რძალი), შ. ხონელი, შ. მამალაძე (მხატვარი), დ. დისამიძე (მოკარანახე). ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, აღფრთოვანებით შევეგებეთ ადგილობრივ სცენისმოყვარულნი. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ დროისათვის სათეატრო შენობა არა გვექონდა. დიდის ვივაგლახიტი, როგორც იქნა იქნას მიკლწვით. გამოგვიყვეს ადგილი — იქ, სადაც ახლა ზესტაფონის სამხედრო კომისარიატა და ძველი კინოთეატრის შენობა იყო, 26 კომისარის ქუჩაზე“.

დატრიალდნენ მსახიობები, გვერდში ამოგვიდგა ხალხი და ჩვენვე ხელით ავაგეთ თეატრის შენობა, რასაკვირველია, უბრალო, გაურანდავი ფიცრებით, დაგხურეთ მარსელის კრამიტით, მოვასწორეთ მიწა, სკამების მაგივრად ფიცრები განვალაგეთ დაბალ საყრდენებზე, საკმაოდ კარგად მოვაწყვეთ სცენა. დარბაზი ექვსას კაცს იტევდა. ხსენებულმა სეზონმა ამ შემადგენლობით რამდენიმე თვეს გასტანა.





გუშინდელით მახსოვს, „ღალატი“ იდგე-  
ბოდა, ზღვა ხალხი მოაწყდა პრემიერის დღეს  
თეატრს, ხალხი ფეხზე დასადგომად ბილეთებს  
მოითხოვდა. მაშინ აფანსენაზე დ. ანთაძე გამო-  
ვიდა და მაყურებელს დაპირდა, რომ მეორე  
დღესაც გაიმეორებდნენ სპექტაკლს. ამ სპექ-  
ტაკლში ისახარის როლს ვასრულებდი. ვზვიარ  
აფანსენაზე და გავეყურებ სივრცეს და თან  
ყურს ვუვლებ ზეინაბის (ც. ამირჯიანი) და სო-  
ლომონის (უ. ჩხეიძე) დიალოგს.

უცერად ჩემი ყურადღება მიიპყრო ჰერზე  
მოძრავმა ორმა მრგვალმა ჩრდილმა, მეგონა ცუ-  
დად გავხდი, თვალებს არ ვუყურებდი... თურმე  
ყმაწვილებს სცენის სახურავი ახებადა, თავები  
გამოეყოთ და სულგანაბლნი გვისმენდნენ.  
შესვენებზე დ. ანთაძემ და ვ. არაბიძემ სხო-  
ვეს ქვევით ჩამოსულიყენენ, დაპირდნენ რომ  
მეორე დღეს უბილეთად შემოუშვებდნენ. ეს  
დაპირებაც შეუსრულდა.

რამდენიმე პიესა დავდგი... სათეატრო სეზო-  
ნი მიიწურა. ძვირფასი მსახიობები ისევ თბი-  
ლისს დაუბრუნდნენ, ჩვენი კი ფრთამოტეხილნი  
დავრჩით ჩვენს კოპოზა ზესტაფონში და ჩვეუ-  
ლებრივად განვაგრძოთ მუშაობა. ჩვენს დასში  
ერთი სანდომიანი გატეგნობის ყმაწვილი ირი-  
ცხებოდა, რომელიც დიდ იმედებს იძლეოდა. მას  
პირველად „სინათლენი“ ავთანდილის როლი  
დააკისრეს. ხსენებული როლი იმდენად ისტა-  
ტურად შესასრულა, რომ სპექტაკლის მონაწილე-  
ებმა სიხარულსა და აღტაცებას ვვღარა ვფარა-  
ვდით. ჩვენი აღტაცება მაყურებელმაც გაიზიარა.  
ეს ყმაწვილი ს. ზაქარაიძე გახლდათ...“

ზესტაფონში, მდინარე ყვირილის პირას მდებ-  
არე არაბიძეების ეზოს ვებერთელა აკაცის ხე  
ამშვენებდა, მის ჩრდილქვეშ ხშირად იმართებო-  
და ქართული კულტურის მოღვაწეთა შეხვედ-  
რები, აქ ამ დაყოფილ, ფესვმაგარ ხის ქვეშ  
ზაფხულის პაანაქება სიცხიან დღეებში საქმიან  
საღამოებს არაერთი გამოჩენილი მოღვაწე დას-  
წერბია, მათ შორის ხშირად ყოფილან შ. დადი-  
ანი, ი. გრიშაშვილი, პ. იაშვილი, გ. ლეონიძე,  
ლ. ქიჩხელი, გ. ქუჩიშვილი, გ. ქიქოძე. აქ არა-  
ერთხელ აუღერებია „სული“ ვ. წერეთელს,  
შთაგონებით უმღერიათ — ს. კავსაძეს, ს. ინა-  
შვილს და სხვ. არც სინთ მევლოდ გამოკლებია  
თავისი დასტით, ნუცა, უშანგი და დავით ჩხეი-  
ძეებს, შ. დამბაშიძეს, ს. ზაქარაიძეს არა ერ-  
თხელ მოუხიბლავთ მსმენელი სულში ჩამწვლო-  
ში მხატვრული კითხვით.

1926 წლის ზაფხულს ქართული კინოს ვარ-  
სკვლავი ნ. ვანანაძე სწევია ფ. არაბიძის ოჯახს.  
ნატას სწორედ იმ დღეებში შესრულდება 21 წე-  
ლი. მასპინძელს არ გამოპარვია მხედველობიდან  
ეს ბედნიერი დღეც. მას შემდეგ ნატა არა ერ-  
თხელ სწევია თავის შვილებთან ზესტაფონს.

„ზესტაფონის რეინჯის სადგურის მახლობ-  
ლად ამშენეს საკმაოდ დიდი კლუბი. — ნენებს ფაცია. — 1938 წლიდან დავიწყეთ იქ მუ-  
შაობა. კლუბის გამგეობა გვეხმარებოდა, მაგრამ  
სპექტაკლების გასამართავად საკმაო თანხა არ  
გააჩნდათ. არც რეჟისორი გვეყავა. დეკორაცი-  
სა და ტრანსაცემის დამზადებაზე ლაპარაკიც  
ზედმეტი იყო. სცენაზე მხოლოდ ფარდა ეკიდა.  
დავიწყეთ მუშაობა, ავირჩიეთ ვ. გაბესკორიას  
„მათი ამბები“. იმ ხანად ქუთაისის თეატრი ხან-  
ძარბა დაახანა, თეატრის საქმის გამოსასწო-  
რებლად თბილისიდან მოაველინეს დ. ანთაძე.  
წვევდი მასთან, მივედი, რას ვხედავ, ჩვენი  
დღოდი ხალხით გარშემორტყმული, უპირავე საქ-  
მით დატვირთული იყო. ამა, რაა უნდა მე-  
თხოვნა, რამე. დავებრუნდი უკან. ორი-სამი დღის  
შემდეგ კაცის ხელით ბარათი გავუგზავნი და  
ავუხსენი ჩვენი გაუბრუნება. თანაც უმორჩილე-  
სად ვთხოვდი „მათი ამბებისათვის“ საქირო  
ტრანსაცემლი და რეკვიზიტი ეთხოვებინა და ორ  
დღეს — ბლო რეპეტიციებს პირადლ დას-  
წერბოდა.

თ. არაბიძე და ნ. ოყროშიძე გახარებულნი  
დაბრუნდნენ ქუთაისიდან, დღოდ მათ ყოველ-  
გვარი დახმარება აღმოუჩინა და ტრანსაცემლთან  
ერთად წერილიც გამომიგზავნა. გვეწერა: თუ  
რამე დაკვირდეთ, არ მომერიდოთ, ყველაფერს  
გამოგზავნითო. რაც შეეხება რეჟისორს, გიგ-  
ზავნით ნ. ოყროშიძეს, რამდენი ხანიც ვინდათ,  
დავეხმარებათო. რეჟისორი ჩამოვიდა 10 დღით.  
დადგმის ორი დღით ადრე ჩამოვიდა პირადლ  
დღოდც, შეგვისწორა ზოგი რამ, რის შემდეგ  
პრემიერად სანაქებოდ ჩაიბარა. არ გასულა ორი  
კვირა; ერთ საღამოს რეპეტიციაზე მოულოდ-  
ნელად გვეახლნენ დ. ანთაძე, უ. ჩხეიძე, შ. დამ-  
ბაშიძე. ამ მოულოდნელობამ დიდად გავგახარა.  
დღოდმ გვითხრა, ჩამოვედი რომ თქვენთან ერ-  
თად დავდავთ სპექტაკლიო. პიესა ამორჩეული  
მაქვს, როლებიც გავანაწილეო. ეს პიესა იყო  
ნ. ნაკაშიძის „ვიც არის დამნაშავე“.

როლები ასე ჰქონდა განაწილებული: უშან-  
გი — სიკო, შალვა — არსენა, ფატი — ლ. ალ-  
ფაიძე, სასოსე — ფ. არაბიძე, ყარამანი —  
ნ. ასათიანი. ბაბუა დარჩა ოდოდს. სპექტაკლმა  
მიზიარა მაყურებელი, არანახული წარმატება  
ხვდა წილად. მახსოვს, უკანასკნელ მოქმედებაში,  
როდესაც სიკო — უშანგი ჩხეიძე გაიგებს ფა-  
ტის მოკვლის ამბავს, იგი იმგვარად გარდისახა,  
რომ შემზარავი შესახედი იყო და როდესაც  
ღრიალი მორთო — ნენას მოგვლავ, ნენას მოვ-  
კლავ — მე შემოვტრიალდი, შევხვედი უშანგის,  
გული შემქინდა, მისი სახე, თვალეგი, სასოწარ-  
კვეთილნი სიძულელით იყო აღსავსე. თავის  
დასაღწევად უნებლიეთ შევიკვლე:



— არა ნენა, არაა ჩემი ბრალი...

მაყურებელი თითქოს აღარ სუნთქავდა, უეცრად მოწყდა ტაში, ხალხი ფეხზე იდგა და წასვლას არ ფიქრობდა. განუმეორებელნი იყვნენ შალვა და დოდო.

ერთ წელსაც არ გაუვლია, რომ 1939 წელს აღვითმობიე ხელმძღვანელი ამხანაგებისა და დ. ანთაძის დახმარებით დასწრე ღოტაცია დაენიშნა. ამიერიდან საკითხი დადგა ზესტაფონის თეატრისათვის შესაფერი შენობა გამოენახათ. ქალაქის ცენტრში საკმაოდ დიდი სამი შენობა გააერთიანეს, საფუძვლიანად გადააკეთეს. მალე

ზესტაფონის მშრომლებმა მიიღეს საკმაოდ კარგად მოწყობილი სათეატრო შენობა.

1940 წლიდან ზესტაფონის სახელმწიფო თეატრმა დაიწყო თავისი საპატიო მოვალეობის შესრულება, მან ნაყოფიერად იმუშავა 1949 წლამდე. ფაცია არაბიძე ყოველთვის დედბოძი იყო თეატრსა და მის სცენაზე 90-მდე როლი შეუსრულებია

1960 წლიდან თეატრის შენობა კულტურის სარიონო სახლს გადაეცა. თეატრალური კოლექტივის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი იყო ფ. არაბიძე, რომელმაც სათანადო წვლილი შეიტანა თვითმოქმედი თეატრალური კულტურისათვის ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

## ლ ვ ა ნ ლ მ ო ს ი ლ ი ს ა რ გ ო ც ა ბ ა რ ი ი შ ვ ი ლ ი

**16 წლის** იყო ჭიჭიკო გელიეშვილი, როცა იოსებ იმედაშვილმა მიიყვანა „ფეკლის აუდიტორიაში“. იოსები მაშინ იქ რეჟისორობდა. ჭიჭიკო მოკარნახის ჯიხურაში ჩასვა და გვერდით მოუსვა მასსავით ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილ სოსოს (შემდეგ ჩვენი ხალხის საამაყო პოეტს იოსებ გროსმანს).

ამ წელს პირველად იგემა სცენის მტვერი დღეს უკვე 80 წელს მიტანებულმა მიხუცმა პაულე (ჭიჭიკო) სევფს ძე გელიეშვილმა.

ტყუილად როდია ნათქვამი, ვინც ერთხელ იგემებს სცენის მტვერს, მას ვერასოდეს დათმობს. ასე დაემართა ჩვენი წერილის გამოსაც. 1911 წელს ის გადადის იმხანად არსებულ „ნაძალადევის მუშათა კლუბში“ სცენარიუსის თანამდებობაზე.

1914 წელს მას იწვევენ ზუბალაშვილის სახელთან არსებულ მუშათა თეატრში ტექნიკურ რეჟისორად. აქ მან პირველად მოკიდა კალამს ხელი — გაასცენიურა ეგვატე ნინოშვილის მოთხრობა „გოგია უიშვილი“ და თვითონვე განახორციელა მისი დადგმა. ამის შემდეგ მას ლიტერატურულ საქმიანობისთვის არ უღალატებია, გასცენიურა „ჯანყი გურიაში“ და სხვ.

იმ ხანად როგორც „ფეკლის აუდიტორიაში“, ისე ნაძალადევის მუშათა კლუბში იდგებოდა სეროტოული პიესები: „და-მამა“, „სამშობლო“, „დალბტი“, „რაც გინახავს ველარ ნახავ“, ვოლდეიეები: „ჭერ დაიხორცენ მერე იქორწინეს“ და სხვ.

1921 წელს მიწვეულ იქნა თბილისის „წითელ თეატრში“ რეჟისორად. აქ მან განახორციელა ვერპარნის „ზორის“ დადგმა. სპექტაკლს წილად ხვდა წარმატება. პეისის მსვლელობის ეფექტიანობას ხელი შეუწყვეს ისეთმა ნიჭიერმა ახალგაზრდა მსახიობებმა, როგორც იყვნენ უშანგი ჩხეიძე, გიორგი თაზიშვილი და სხვ.

1924-25 და 1925-26 წლებს თეატრალურ სეზონებში გელიეშვილი ქუთაისის დრამატული თეატრის ხელმძღვანელმა და რეჟისორმა იუსე თარდალიშვილმა მიიწვია ტექნიკურ რეჟისორად

და რეჟისორ-დამდგმელად. აქ მან დადგა „სამანოშვილის დედინაცვალი“ და „სტუმარ მასპინძლობა“.

1926-29 წლებში გელიეშვილი ამიერკავკასიის რეჟისორის „გავანავიტი თეატრის“ ტექნიკური რეჟისორია.

1930 წელს რეჟისორ დ. ანთაძემ კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიიწვია ტექნიკურ რეჟისორად. მან იქ გაასცენიურა და კლდეშვილის „სამანოშვილის დედინაცვალი“. სპექტაკლი დადგა შ. აბაშიაძემ 1936 წელს.

1940 წელს ჭიჭიკო გელიეშვილს ჩვენ ვხვდებით ზ. ფალაშვილის სახელობის თეატრისა და ბალეტის თეატრში რეჟისორ-ასისტენტად. თავის ოფიციალურ საქმიანობას მან აქაც შესანიშნავად შეუთავსა ლიტერატურული შემოქმედება — დაწერა რამოდენიმე საოპერო ლიბრეტო: „ბაში აჩუკი“ (მუსიკა კერესელიძისა), „ხვევის ბერი გოჩა“ (მუსიკა შ. აბაშიაძისა), მისი „ელენორის“ ლიბრეტო ამჟამად მუსიკალურ ხორცესხმის პროექტშია.

დ. კლდეშვილის მოთხოვნის მიხედვით დაწერა პიესა „ბაკულას ღორები“ თოჭინების თეატრისათვის.

რადიოსათვის გაასცენიურა „სოლომონ მორბელაძე“. მას რადიო ახლაც ხშირად გადმოსცემს ხოლმე.

თბილისის 1500 წლისთვის საიუბილეოდ დაწერა ორ მოქმედებრიანი ლიბრეტო „ღვინდა თბილისზე“ (მუსიკა ოთარ თევდორაძის).

ასე გულმოდგინედ და უპრეტენზიოდ ემსახურებოდა ქართულ თეატრალურ ხელოვნებას პავლე (ჭიჭიკო) გელიეშვილი.

1948 წელს ჭიჭიკოს 60 წელი შეუსრულდა. მას შემდეგ იგი პენსიაზეა, მაგრამ თეატრისადმი ინტერესი ოდნავდაც არ განიწეობა, გულმოდგინედ ადივენებს თვალს ჩვენი თეატრების წარმატებებს და ახალგაზრდათა გამარჯვებებს გულს უხარებს.

უესურვებთ მას ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას!

## ზიგე გეორგიანელი აკაკი დავითი

მარტინი ბიოგრაფია აქვს ტ. გაფრინდა-შვილს. იგი დაიბადა 1914 წლის იანვარში ჭიათურის რაიონის სოფელ ზედა რგანში. 9 წლისამ სწავლა დაიწყო რგანის მეზობელ სოფელ საქველეთუნის რვაწლიან სკოლაში.

1935 წელს ტიტე ამთავრებს მუშაყას და იმავე წელს მუშაობას იწყებს ჭიათურის სახელმწიფო თეატრში მსახიობად და მხატვრის თანამშემდეგად.

ხუთი წელი დაყო ტიტემ ჭიათურის სახელმწიფო თეატრში და 1940 წელს მუშაობა დაიწყო ვოროშილოვის სახელობის მალაროთა სამმართველოს მუშათა კლუბის გამგედ. ორი წლის შემდეგ იმავე თანამდებობაზე გადაწყვიტოვრჯონიკიძის სახელობის მალაროთა სამმართველოში, ხოლო ერთი წლის შემდეგ ი. სტალინის სახელობის მალაროთა სასამართლოს მუშათა კლუბის გამგედ ინიშნება, სადაც 1959 წლამდე დაყო. 1959 წლიდან დღემდე კი იგი უწევს სახ. მალაროთა სამმართველოს მუშათა კლუბის რეჟისორია.

ტიტეს შემოქმედება სათავეს იღებს მშობლიური სოფლიდან, სადაც პირველად სცადა თავისი რეჟისორული ძალა და იმერული ოდების აივნებზე განახორციელა გ. ბუნიაკიშვილის „შეშინებული ანთიმოზი“, პ. ირეელის „ციხანა“, დ. აწყურელის „ორი მშვიდი ჩანჩურა“ და სხვა. ცხადია, ეს იყო გულბრყვიული ნაშეყვარში, მაგრამ ამან ბიძგი მისცა ტ. გაფრინდაშვილს ეფიქრა თეატრალური ხელოვნების უფრო მაღალი მწვერვალების დაუფლებასზე.

ტ. გაფრინდაშვილმა, როგორც მსახიობმა, სცენური ნათლობა 1935 წელს მიიღო. ამ წელს მან მედუნის ბიჭის როლი შეასრულა ი. გმდევანიშვილის პიესა „მსხვერპლი“, რომელიც ვ. რუსიამ დადგა № 36 მალაროს კლუბში. ბედნიერი გამოდგა ეს სცენური ნათლობაც. ამან კიდევ უფრო განუმტკიცა ტ. გაფრინდაშვილს სცენაზე მოღვაწეობის სურვილი. და აი, ამ დაუოკებელმა სურვილმა იმავე წელს იგი ჭიათურის სახელმწიფო თეატრში მიიყვანა.

ჭიათურის სახელმწიფო თეატრი მისთვის ნამდვილი პროფესიულ სკოლად იქცა. ტ. გაფრინდაშვილს სპეციალური თეატრალური განათლება არ მიუღია, მაგრამ თეატრალური ანბანი ჭიათურის სახელმწიფო თეატრში ისწავლა. მისი პირველი მასწავლებლებიც ამ თეატრის მხატვრები არჩილ ყორანია და შალვა სიღამონერისთავი იყვნენ: ისინი ტიტეს დიდი სიყვარულით ასწავლიდნენ თუ როგორ უნდა შეხამებოდა დეკორაციები მოქმედ გმირთა ხასიათებს, პიესის დედაზარს და როგორ უნდა დახმარებოდა მაყურებელს ყოველივე ამის აღ-

ქმაში. ტიტეც ხარბად ეწაფებოდა მისთვის ესოდენ საოცნებო თეატრალურ სამყაროს.

1935 წლიდან იგი დამოუკიდებელ რეჟისორულ მოღვაწეობას ეწევა, რომელ კლუბშიაც არ მივიდოდა სამუშაოდ, იქ სწრაფად იწყებდა გამოცოცხლებას თეატრალური ცხოვრება. მზადდებოდა ახალი სპექტაკლები, იყრებოდა ახალი კოსტიუმები, კეთდებოდა დეკორაციები, რეჟისიბიტი და ყოველივე ამის ორგანიზატორი ტ. გაფრინდაშვილი იყო.

1937 წელს ტიტე ვოროშილოვის სახელობის მალაროს კლუბში დავამ ა. წერეთლის „პატარა კახს“. ამ სპექტაკლს განსაკუთრებული წარმატება ხვდა წილად. დიდძალი მაყურებელი, რომელიც მის ყოველ წარმოდგენას ჰყავდა, ცხოველი ინტერესით უსმენდა მას და დაღდალ კმაყოფილი ტოვებდა დარბაზს. ამ პიესის დადგმის შემდეგ იგი გაზაფხულს თბილისში, ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მიერ მოწყობილ კურსებზე, რომლის დამთავრების შემდეგ მას თვითმოქმედი თეატრალური კოლექტივის ხელმძღვანელის კვალიაფიკაცია მიენიჭა.

გადიოდა წლები... გამოცდილებას ემატებოდა გამოცდილება, გამარჯვებას, გამარჯვება. იზრდებოდა ტ. გაფრინდაშვილის როგორც რეჟისორისა და თეატრალური მოღვაწის ავტორიტეტი. იზრდებოდა ჭიათურის მაყურებლის გემოვნებაც, მოთხოვნილებაც და დამოკიდებულებაც თეატრის მიმართ. ყოველივე ამას ანგარიშს უწევდა იგი. ახლა უფრო მეტი დაცვივებით და გემოვნებით აღდგა რეპერტუარის და სპექტაკლების საშუალებით პასუხის აძლევდა იმ აქტუალურ საკითხებს, რომლებსაც გზადგა აყენებდა ცხოვრება. ამის ნათელი დადასტურებაა გაფრინდაშვილის მიერ დადგმული ისეთი სპექტაკლები, როგორც „დ. დიდიანის „გეგეჰეჰე“, ვ. კატევის „თორდალ ფრაზებს აფრეული“, გ. მდივნის „სამშობლო“, ს. მოვარაძის „სახსოვარი“ და სხვა.

ტიტე გაფრინდაშვილმა ბევრი ახალგაზრდა აზიარა ქართულ თეატრს და სცენაზე აადგმინა ფეხი, გაუღვიძა თეატრისა და ხელოვნებისადმი სიყვარული და თაყვანისცემა. ზოგი მისი ყოფილი სცენისმოყვარე პროფესიული მსახიობის გზას დაადგა. მათ შორის როდამ ჩაჩანიძე, ლევან ხვედელიძე და სოსო ჩაჩანიძე



წამყვან მსახიობებად ითვლებოდნენ ჰიათურას სახელმწიფო თეატრში.

ჩვენ დაწვრილებით ვერ შევიჩერდებით იმ სახეების შესახებ, რომლებიც ქართულ სცენაზე შეიქმნა ტ. გაფრინდაშვილის მიერ. იგი ცალკე თემა და ყოველ როლში ტიტე აღწევს სრულ გარდასახვას და თავის გმირს სრულყოფილად დახატისათვის მრავალფეროვან საღებავებს იშველიებს და ასე სისხლზორცეულად წარუდგენს მას მაყურებელს.

როგორც ვხედავთ, ტ. გაფრინდაშვილის სახით ჩვენ საქმე გვაქვს დიდი შესაძლებლობას მქონე მრავალფეროვან თვისანსწავლ თეატრალურ მოღვაწესთან, რომელმაც თავისი ენერჯიული და ერუდირებული შრომით ბევრი რამ გააკეთა ქართული თეატრისათვის. მან შემოქმედებით სიმწიფეს მიადგწია უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში, როდესაც სათავეში ჩაუდგა ვ. ი. კლენინის სახ. კლუბთან არსებულ თეატრალურ კოლექტივს. ტიტემ ამ კოლექტივში მოიტანა თავისი დიდი გამოცდილება და ის ენთუზიაზმი, რომლითაც ყოველთვის გამოიარჩეოდა იგი. ტ. გაფრინდაშვილი დიდ დროსა და ენერჯიას ახმარს რეპერტუარის ფორმირებას, დასის შემოქმედებითი ძალების სწორ განწილებას, მის ზრდას და დაოსტატებას.

## მსახიობის ხსოვნის სლამო

**საპარტიველო** თეატრალურმა საზოგადოებამ და გიორგი არადელ-იშხნელის სახელობის ქარელის კულტურის სახლმა 2 თებერვას დაბა ქარელში ფართოდ აღნიშნეს გამოჩენილი ქართველი მსახიობის გიორგი არადელ-იშხნელის გარდაცვალების 50 წლისთავი.

დღის 3 საათზე თბილისიდან ჩასულმა სტუმრებმა და ქარელის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა სოფ. არადელში ყვავილებით შეამკეს მსახიობის საფლავი.

5 საათზე ქარელის კულტურის სახლში გაიმართა მსახიობის ხსოვნის დიდი საღამო. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დებუტატების ქარელის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. კობაქემ. მოხსენება გიორგი არადელ-იშხნელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე გააკეთა მწიკრალმა ე. ქარელშვილმა. სიტყვებითა და მოგონებებით გამოვიდნენ საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე დ. ანთაძე, პროფესორი დ. ჯანელიძე, აკადემი-

ტ. გაფრინდაშვილის მიერ დადგმული სახეობის ტაკლების ღირსება არაერთხელ აღუნიშნავს პრესას. მათ შესახებ ხშირად ათავსებს წერილებს, სტატეებს თუ ინფორმაციას გაზეთი „ქომუნისტი“, „ზარია ვოსტოკა“, „წინსვლა“, „ქიათურელი მაღაროელი“. და სხვა. ყველა გაზეთი ხაზს უსვამს იმ ცხოველყოფილ გავლენას, რასაც მაყურებელზე ახდენს ტ. გაფრინდაშვილის შემოქმედება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 2 იანვრის ბრძანებულებით. კულტურის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის ტიტე გაფრინდაშვილის საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა. ახლახან კი საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და საქართველოს პროფკავშირების მხატვრული თვითმომქმედების რესპუბლიკურმა სახლმა ტ. გაფრინდაშვილის მშობლიურ ქვათურაში შემოქმედებითი საღამო მოუწყო. ეს იყო მისი ნაყოფიერი შრომის საყოველთაო აღიარება, დადასტურება და დაფასება. ამ მაღალმა დაფასებამ კვლავ ახალი შემოქმედებითი ენერჯიით აღავსო იგი. ვუსურვებთ ამ ჩუმს და უპრეტენზიო მუშაკს ახალ გამარჯვებებს და წარმატებებს თავის შემოქმედებით მუშაობაში.

კოსი ს. ყაუხჩიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. გომიაშვილი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, პოეტი ვ. გორგანელი, სოფ. არადელის კოლმეურნე, მსახიობის თანამედროვე ი. აბაიძე, ქარელის მცირე საშუალო სკოლის დირექტორი ნ. კობაძე, ახალგაზრდა პოეტი რ. ყანჩაველი და სხვ.

თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, კულტურის დამსახურებულმა მუშაკმა გ. იაკაშვილმა წაიკითხა რესპუბლიკის სახალხო არტისტის ც. ამირჯიბის მოგონება. საღამოს ესრუბოდა ქარელის პარტიკომის პირველი მდივანი ი. ტოლაშვილი.

ადგილობრივი ძალებით გაიმართა მხატვრული განყოფილება.

დასასრულს რესპუბლიკის სახალხო არტისტის შალვა ხერხეულიძისა და რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტის შოთა კეცხაძის მოწაწილებით წარმოდგენილ იქნა სცენები „ლატინდან“.

# გვენი კუგლიკაცია

**მამისხველს ვთავაზობთ რეჟისორ მიხეილ ქორელის მიერ აკაკი ფაღავასადმი მიწერილ წერილს. წერილი დაწერილია 1918 წლის აგვისტოში. მიხ. ქორელი იმ დროს ქუთაისის დრამატული საზოგადოების დანს ხელმძღვანელობდა.**

თბილისის თეატრალური ცხოვრებისაგან განსხვავებით, სადაც ქართული დრამატული დასას მუშაობის ორგანიზაცია ვერ მოხერხდა (თბილისში იმ პერიოდში მუშაობდა გ. ჯაბაძარის სტუდია და ცალკეულ მსახიობთა ჯგუფები), ქუთაისის დასი, ეკონომიური ხელშეწყობის მიუხედავად, მიხ. ქორელის ხელმძღვანელობით სისტემატურად მართავდა სპექტაკლებს.

წერილი მოგვარწოდა და შენიშვნები დაუბრუნა თბილისის თეატრალური მუზეუმის მეცნიერთანამებრძოლმა ლ. კაპანაძემ.

**ძმად პაპაი!** გამორჩევა! კარგი ხანა ამგვარ წერილით მინდოდა მომიმართა, მაგრამ ვიცდილი, თვალს ვადევნებდი საქმეს, და თანაც ერთგვარი მორიდებისებური გრძნობა — დაბეზღებასავით ან გამოვიდეს მეოთხე — მაკავებდა. საქმე, რა თქმა უნდა, ჩვენს თეატრს შეეხება — უცილებურეს ყოფაში ჩავარდა. აი, რაშია საქმე: 5 დღის წინათ ქალაქის სათეატრო კომისიაში და წუხელ ქალაქის ხმოსანთა საზოგადო კრებაზე თეატრი ჩამოართვეს დრამატულ საზოგადოებას. გუცა ფარქოსაძემ წაიკითხა მოხსენება, რომლითაც დაუმტკიცა კრებას აუცილებლობა ამნაირი საქციელის. ქალაქს მაინც და მაინც არ ვამტყუნებ — მისი ქონებაა და უნდა დაეპატრონოს. მაგრამ დრამატულ საზოგადოებას ხელიდან იცლება მისი სულდგმოლობის ერთი მთავარი წყაროთავადი. და სამწუხაროდ არავის არ უზრუნვია, ან თითქმის არ უზრუნვია, რომ საქმე გამოაკეთოს. კარგი, ამას თავი დავანებოთ. — ვთქვათ, რომ შეუძლებელი იყო რაიმეს მოხერხება. თუნდ რომ ეგრე უნდა, — საქმე ხომ საქმეთ რჩება და მას ვადილობა უნდა. წარმოება; გაძლივას და წარმოებას — გამძლივდა და მწარმოებელი. სწორედ ეს აკლია დღეს ჩვენს თეატრს ქუთაისში და საქმე წახებება, თუ ეხლავე არ ვუწამლოთ. დაახლოვებით ერთი თვის წინათ გაძვირების კრებაზე საციოხი ირჩეოდა მომავალ სეზონის შესახებ. ჩემი გეგმა იყო — რამდენიმე ძვილი მსახიობი, დიდი შერჩევით, დანარჩენები ახალგაზრდა, თუნდ გამოცდილები, ინტელიგენტი; მხატვრული მხარის ბეჯითად დაცვა — საფუძვლიანი, არაჩქარებით მუშაობა ბოქისსათვის, დეკორაციები, ვანათება და სხვა, სარეპერტუარო კომისიის წინასწარი მუშაობა. თან გვაფრთხილევ გამეგობა, რომ ამნაირად დაყენებული საქმე, თუნდ ვიწრო ფარგლებშიც იყოს, ლეფიცენტ მოიტანს, დაახლოვებით 20—25 ათასს. ჩემდამოულოდნელად და სასიხარულოდ გამეგობამ მიიღო ჩემი წინადადება და დამავალა დასის მოწვევა. ახლა კი, ამ ერთი კვირის წინათ, გამეგობა თავის კრებაზე სულ სხვა გზას დადგა — ზარბალს ვერ ვიკისრებოთ. საქმე როგორც წინათ წავგიყვანია, ისე წავგიყვანოთ და თუ რამე დეკორაცია ან მისდამავარი საჭირო იქნება, ვნახოთო, თუ შეეძლებთ გავაკეთებოთ. მიკვირს და ვერ გამიგია, რატომ არ აქვს ჩვენს

საზოგადოებას ნამდილი საქმიანობის უნარი, რატომ არ გრძნობენ, რომ თეატრი დიდი და ქვეყნისათვის საჭირო კულტურული საქმეა? მე თითს არ გავანარევე, სხვამ კასაში ფული შემოაჯრავოს, და მერე ამ ფულიდან წამაიკრებს დავარჩებ — ეს განა საქმის გაკეთება? მე მგონია, ამაში ერთგვარი უხერხულობა უნდა იყოს. კარგი, ლორიკას თავი დავანებოთ.

დღეს უფრო მწელი მდგომარეობაა — თეატრის ექსპლუატაცია ჩამორთმეულია. ჩანს მეტი ინერგიაა საჭირო, რომ სათეატრო საქმე ქუთაისში ყველა ვეინდარას არ ჩაუვარდეს ხელში. ესიც არ იყოს — დღეს თამამად ვაცხადებთ პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და თეატრის გაუმჯობესება, გამოკეთება არ გვინდა. თბილისში ორი თეატრი იქნება, აქ კი არც ერთი. სწორედ ინერგია არ აქვს ეხლა ჩვენს გაძვირებას; თითქმის ეზარებათ, არ უნდათ არაფერი. ოღონდ კი ვინმემ აცაილოს დავალუბოთ საქმე, ყველას გაეზარდება. ნამდვილად კი სამუალოება არის ოღონდ კი სიტყვიერად და შრომის უნარი იყოს. და აი რანაირი საშუალება. უწინარეს ყოვლისა ფულია საჭირო ხომ?

სარაჯიშვილის 25 ათასი.  
კასაში ნაღდი 7 ათასი.  
ერთი სეირნობა და ერთი სალამო 15 — 20 ათასი.

სამხედრო გადასახადი (შეიძლება დროებით ისარგებლო ვალად) 10 ათასი.

მთავრობისაგან სუფსილია შეიძლება 15 — 20 ათასი.

სულ 72 — 82 ათასი.

სარაჯიშვილის ფული ჯერ არ შეიძლება? სხვისად ისესხონ სარაჯიშვილის ანგარიშში.

თბილ. დრ. საზოგ. ამნაირად იშოვა სულ 30 ათასი და კიდევ შოულობს.

სეირნობა-სალამოება თუ სხვებს ამაზე მეტი მისცა, ჩვენ რა? დღვის გლახები ვართ? შეგვიძლია მოგვეწყობოთ. თუკი კერძო საპროფესიო სკოლა (10 ათასი) და ბევრი სხვა დაწესებულება სუფსილიას დღებს, ჩვენი შეგვიძლია, უნდა შევძლოთ და მოვახერხოთ. ერთი სიტყვით, ფული არის, ასე ვფიქრობ. უკეთესს გეტყვით — ჩვენს ქონებას დეკორაციის, გაძლივების და ვანათების მხრივ ბევრი ფული უნდა, მით უმეტეს ეხლა რომ სიძვირება; თითქმის ყველაფერი — ბუტა-



ფორია, ელექტრონის ლამფები, პატარა პროექტორები, ფერადები დეკორაციისათვის, ვრცობის მასალა, . . . . ., თითქმის ავეჯი და სახატავი ტილო (ჯაბადარმა უყვე გამოიწერა), — იშოვება გერმანიაში და რა ფასად, თქვენ თვითონ წარმოიღვენეთ. მეტრეც შეიძლება თუ მიონდომეთ. ჩვენს სიძვირესთან — უფასოდ არის თითქმის. მერე, თქვენ რომ ზედმეტ ელექტრონის ლამფები იყიდოთ თითო 2 მარკად, და სასოვალყოფას მიაწოდოთ, მისთვის შეღავათიან ფასებში (აქ ერთი ცალი ღირს 40 — 50 მანეთი), ყველა მაღლობელი დაგრჩებათ და თქვენც თითქმის მთელ ხარჯს ამოიღებთ და სცენის მოწყობასაც ხელს შეუწყობთ. ამისათვის საჭიროა რამდენიმე ათასი მანეთი, რომელიც ნაღდას აქვს გამგებობას, და აღმინაი, რომელიც იყისრებს წასვლას. რა თქმა უნდა, ისეთი, რომ იცოდეს რა იყიდოს და რა აარჩიოს, სცენის მცოდნე. იქისრე, წალი აჯაქი ან მე შევძლო, შეიძლება. ვანა ჩვენი მთავრობა გერმანიასთან ვერ იშუამდგომლებს, რომ ყვიღის და გამოტანის ნება გვექნეს, თუ კი ძნელი შეიქმნა ეს საქმე? აი რამდენი გზა და საშუალება არის იმისათვის, რომ ქუთაისის საქმე მოეწყვით. ნურავინ იტყვიან — შეუძლებელი იყოფო და იმითმ ვერაფერს გავხდით. ვერ სცადე, ყოველი ღონე იხმარე და მეტი იხმარ შეიძლება. ყველაფერი ეს არა ერთხელ მითქვამს გამგებობისათვის, მაგრამ თუ სარეპერტუარო კომისიამ თავისი საქმის გაკეთებაც ვერ მოახერხა, სხვა რა მოვთხოვო. გამოსაცდელი წარმოდგენა იყო გადაწყვეტილი — ერთი კვირაზე მეტი მდივანს დავეძებდი განცხადება გადაეწერა და გაზეთებში მოეთავსებინა — სოფელში წარმადნებულა და ეხლაც იქ არის. ერთი სიტყვით, რომ მოვეყვებ აქაურ ამბებს ბოლო არ ექნება. ისევ პრაქტიკულ მხარეს გადავიდეთ. თქვენ იმითმ კი არ გწერთ, აჯაქი, რომ გული მოვიფხანო, არა — საქმე მინდა გამოვაკეთო. თქვენ გაქვთ ენერჯია, ცოდნა და სიყვარული ამ საქმის. გარდა ამისა, რაც დიდმნიშვნელოვანია, თქვენ ხართ თავმჯდომარე დრამ. საზოგადოების გამგეობა. თქვენს ენერჯიას, ცოდნას და თავმჯდომარეობას ანგარიშს გაუწევინ (სიყვარულს კი არა). თქვენი მოვალეობაა (მაშატივთ ეს ამხანაგური მტკიცე სიტყვა) მოხვიდეთ და: ან დააყენოთ სწორ გზაზე, გამოაკეთოთ, სული ჩაბეჭდოთ და ასულდგმულთ, ან თუ დაინახებთ, რომ ყოველად შეუძლებელია რაიმეს მოხერხება, თქვენზეც ხელით დახუროთ. თუ სულ არა, დრო-

ებით მიინც მოლით და, რაც შეიძლება, მოაწყვეთ. ერთი კიდევ ვიტყვი, თუ მცა არ მიწოდდა ამის თქმა ვერაფერით: თუ მე სხვა საქმეებს თავი დავანებებ, მივატოვებ და თქვენს ძახილს გავყვივ; რა თქმა უნდა, ერთის მხრეს საქმის, სიყვარული მამოქმედება; მეორეს მხრე თქვენმა მოწოდებამ და წინადადებამ. სწორედ, პირადად თქვენმა: მე გიცნობდი და გიცნობ ადამიანად, რომელთანაც ხელოვნების სფეროში მუშაობა და საქმიანობა ჩემთვის შესაძლებელია არის და სასურველიც. რაკი მომიწყვეთ, ან მამუშავეთ ისე, რომ არ ვწითლდებოდე, რას ჩავდებარე მეტი, ან თქვენვე გამანათავისუფლო. მართლა, აჯაქი, ძალიან მინდა თქვენთანვე მონღის საქმე ეხლაც, ისე დარჩენა ქუჩაში ვერაფერი სიკეთე იქნება ჩემი თავმოყვარეობისათვის. აჯაქი, გეულოდებით მოუთმინლად და სარქართო. დრო მიდის და რაც მეტი ხანი გალის, უფრო ძნელია გასწორება საქმის.

**თქვენი მიზა ქორელი**

ნუცამ მოგვიტოხოთ. თუ მოახერხო წამოსვლა, აჯაქი, მიშა ჭიაურელი და მისი მეუღლე ნახე. მიშასაცან გვაქვს პრინციპული თანხმობა; ამ კვირაში უნდა გადაეწყვიტა საბოლოოთ, დარჩება ჯაბადართან თუ არა. გარდა ამისა, გაიგეთ, როგორ რეჟისორი უნდა გამოდგეს ანმეტელი. ნ. შიუკაშვილიც გამოდგებოდა რეჟისორად, მე გგონია. შენც რომ აქ მოხვდებოდე, როგორც ვინღოდა, რეჟისურას გასწევდი, თუნდ რამდენიმე პიესაში და სხვადასხვა და სხვა... ჯაბადარის<sup>1</sup> საქმეები ამ ბოლო დღეებში ძალიან აწვიწილ-დაწვიწილი იყო; ნეტავი როგორ მოეწყო?


**8. ქორელი**

<sup>1</sup> მიხ. ქორელი გულისხმობს გადაწყვეტილებას, რომელიც მიიღო თბილისის დრამატული საზოგადოების გამგეობამ და ქართველ მხანობთა საპროფესიო კავშირმა, ორი თეატრალური დასის ორგანიზაციის შესახებ. მაგრამ მთავრობამ დანაპირები თანხა არ გამოჰყო და გადაწყვეტილება განუხორციელებელი დარჩა.

<sup>2</sup> იგულისხმება მეცენატ დ. სარაჯიშვილის ანდერძში აღნიშნული თანხა, რომელიც ქუთაისის დრამატულ საზოგადოებას უნდა მიეღო.

<sup>3</sup> ლაპარაკია გ. ჯაბადარის ხელმძღვანელობით არსებულ თეატრალურ სტუდიასზე, რომელსაც მთავრობამ სუსხილია არ მისცა.





## ნიკოლოზ მამაცაშვილი

**გარდანიცვალა** ქართული საგუნდო ხელოვნების ამადარი მუშაი საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნიკოლოზ დავითის ძე მამაცაშვილი.

ნ. მამაცაშვილი მეტად თავისებური ადამიანი იყო. ჩუმათ, მოკრძალებულად აკეთებდა თავის საქმეს. აკეთებდა ძალიან ბევრს, მაგრამ უხმაურად.

ნ. მამაცაშვილი დაიბადა 1895 წელს ქ. თბილისში. სამრევლო სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ნ. მამაცაშვილი სწავლობდა სასულიერო სასწავლებელში და როგორც ძალზე მუსიკალური ჰაბუკი მღეროდა სასწავლებლის გუნდში, რომელსაც ქართველი კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი ხელმძღვანელობდა. მან შთაუნერგა ყმაწვილს ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული, გააცნო მის მდიდარ ტრადიციებს. ამ დროიდან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე ნ. მამაცაშვილმა ქართული ხალხური მუსიკალური ხელოვნების სამსახურს შესწირა.

1921 წლიდან ნ. მამაცაშვილი ახლადშობილი სოციალისტური საქართველოს ახალგაზრდობის მუსიკალურ აღზრდის საქმეს ემსახურებოდა: მოღვაწეობდა მუსიკალურ სასწავლებლებში, ხალხურ მომღერალთა გუნდებში, თეატრებში, ეძებდა მიეწყებულ ქართულ სიმღერებს და ასწავლიდა მათ ახალგაზრდებს. შემდეგ მდიდარი პედაგოგიური გამოცდილების მქონე თითონ მიუხვდა სტუდენტის მერხს, — აისრულა დიდი ხნის წადილი — შევიდა თბილისის კონსერვატორიის საკომპოზიციო ფაკულტეტზე. სწავლის პარალელურად ნ. მამაცაშვილი აგრძელებდა პე-

დაგოგიურ მუშაობას — იყო თბილისის მე-8 და მე-9 მუსიკალური სკოლების პედაგოგი. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ იგი გაემგზავრა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საგუნდო სიმღერის დარგში ლენინგრადის კონსერვატორიაში პროფესორ ეგოროვის კლასში.

ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ კომპოზიტორი-ლოტბარი ხელმძღვანელობდა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლს, აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოსკოვში ქართული ხელოვნების და ლიტერატურის პირველი დეკადისათვის ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მომზადებაში.

დიდი ღვაწლი დასდო ნ. მამაცაშვილმა ესტონეთის ქ. კობულა-იარევი მუსიკალური სკოლის დაარსებას და მომღერალთა გუნდის ჩამოყალიბებას, რამოდენიმე წელი ემსახურა მოქმე რესპუბლიკაში მუსიკალურ კულტურას.

ესტონეთიდან დაბრუნების შემდეგ ნ. მამაცაშვილი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე მუშაობდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში როგორც ლოტბარი-პედაგოგი. რუსთაველის თეატრის მრავალრიცხოვან კოლექტივს, ყველა მის მეგობარს მუდამ ემანსოვებდა საქმეში მომთხონი და მკაცრი, მეგობრობაში საიმედო და გამტანი, პირად ცხოვრებაში მოკრძალებული ნ. მამაცაშვილი.

**რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი.**

**საქართველოს თეატრალური საზოგადოება. საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოება.**

# ქართული თეატრი

## ქართული თეატრის დღე რეკონსტრუქციას

14 იანვარი...

ქართული თეატრის დღე.  
1795 წელს კრწანისის ველზე აღამახმად-ხახის წინააღმდეგ ბრძოლაში გამირულად დაღუპულ ქართველ მახახობთა შემდეგ ქართული თეატრის კარი დიდი ხნით გამოიკეტა.

1850 წლის 14(2) იანვარს აღსრულდა ქართველი საზოგადოების ოცნება. გიორგი ერისთავის მიერ აღდგენილ იქნა ქართული თეატრი, მაგრამ, როგორც ვიცით, ამ თეატრმა მხოლოდ 1856 წლამდე იარსება. ხოლო 1879 წელს ილ. ჭავჭავაძისა და ავ. წერეთლის თაოსნობით კვლავ აღდგენილი იქნა იგი.

14(2) იანვარი ქართული თეატრის ტრადიციულ დღედ იქცა.

მიმდინარე წლის 14(2) იანვარს შესრულდა განახლებული ქართული თეატრის 120 წლისთავი. ამიტომ თეატრის დღე წელს დიდი ზემოთ აღინიშნა.

საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა ამ თარიღს თავისი საგანგებო გამსვლელი სხდომები მიუძღვნა. 14 იანვარს თბილისის ყოფილ ვაჟთა I გიმნაზიის შენობაში, სადაც 1850 წლის 2(14) იანვარს პირველი სპექტაკლი „გაყრა“ დაიდვა. ქართული თეატრის მოღვაწენი შეხვდნენ ამ სკოლის მოსწავლეებსა და პედაგოგებს. შეხვედრა გახსნა საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა დ. ანთაძემ. სიტყვებით გამოვიდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ჟღენტაძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დ. ჩხეიძე, საქართველოს თეატრალური მუზეუმის დირექტორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. ბუხნიკაშვილი, ხელოვნებათმცოდნე-

ობის კანდიდატი ნ. შალუტაშვილი, გორის თეატრის მთავარი რეჟისორი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე თ. ალექსიშვილი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ავ. ვასაძე. საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა ტ. საყვარელიძემ წაიკითხა ქართველი პოეტების ლექსები. შეხვედრის დასასრულს თბილისის I საშუალო სკოლის დირექტორმა ნ. კიკვიძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს და უსურვა მათ ახალი შემოქმედებითი გამარჯვება.

საღამოს საიუბილეო ზეიმი გაგრძელდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის მცირე დარბაზში. საზეიმო საღამო შესავალი სიტყვით გახსნა დ. ანთაძემ. ქართული პროფესიული თეატრის ტრადიციებზე და მის დღევანდელ მიღწევებზე ილაპარაკა ბ. ჟღენტაძე.

სიტყვებით გამოვიდნენ ზ. ფალიაშვილის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი დ. მჭედლიძე, ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ლიტერატურული ნაწილის გამგე ან. ტრაპაიძე, თ. ალექსიშვილი და ავ. ვასაძე.

საზეიმო ნაწილის შემდეგ ნაჩვენები იქნა რუსთაველის სახ. თეატრის სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“.

განახლებული ქართული თეატრის 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ზეიმი ამით არ ამოწურულა. 16 იანვარს საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმმა გამსვლელი სხდომა გამართა გორში.

საზეიმო სხდომა დაიწყო დღისით. სხდომა გახსნა დ. ანთაძემ. ქართული თეატრის განვითარების მთავარ ეტაპებზე ილაპარაკა თეატრალური საზოგადოების სამეცნიერო შემოქმედებითი განყოფილების გამგემ, ხელოვნების



დამსახურებულმა მოღვაწემ ნ. შვანგი-  
რაძემ, საქართველოს მწერალთა კავში-  
რის სახელით სიტყვა წარმოსთქვა კრი-  
ტიკოსმა ერ. ქარელიშვილმა, რომელმაც  
ილაპარაკა თეატრისა და მწერლობის  
შემოქმედებით კავშირზე. სიტყვებში  
გამოვიდნენ თბილისის მარჯანიშვილის  
სახ. სახელმწიფო აკადემიური თეატრის  
დირექტორი და რეჟისორი ან. ქუთათე-  
ლაძე, გორის თეატრის მსახიობი ახანია-  
შვილი, საქართველოს კულტურის სამი-  
ნისტროს თეატრალური განყოფილების  
უფროსი ვ. ექიკაძე, გორის თეატრის  
მთავარი რეჟისორი თ. ალექსიშვილი და  
სხვ. რესპუბლიკის სახალხო არტისტმა  
ტ. საყვარელიძემ და რესპუბლიკის და-  
მსახურებულმა მსახიობმა გ. საღარაძემ  
წაიკითხეს გ. ტაბიძის, უშ. ჩხეიძის,  
ლ. ასათიანის ლექსები.

საზეიმო ნაწილის შემდეგ გორის თე-  
ატრის დასმა წარმოადგინა ნაწყვეტი  
სპექტაკლიდან „ქართლის ჩირალდები“.

ჩამოსულ სტუმართა შორის იყვნენ  
აგრეთვე რესპუბლიკის სახალხო არტის-  
ტები გ. კოსტავა და ერ. მანჯგალაძე,  
რეჟისორი რ. სტურუა და სხვ.

იმავე დღეს საქართველოს თეატრა-  
ლური საზოგადოების პრეზიდიუმში  
ცხიწვალს ეწვია და თეატრის დღე დიდ  
საზეიმო ვითარებაში ჩატარდა.

ეს დღე მით უფრო სასიხარულო გახ-  
და ცხიწვალელთათვის, რომ კულტურის  
სამინისტროს მიერ ჩამოყვანილ იქ-  
ნენ თბილისის თეატრალურ ინსტიტუ-  
ტის სამსახიობო ფაკულტეტის კურს-  
დამთავრებულნი — „ცხიწვალის ჯგუფი“  
(ხელმძღვანელი რეჟისორი ი. კა-  
კულია) ქართული დასის შესავსებად.  
ესენი არიან: რუსლან ოტიაშვილი, ცა-  
რა ბართაია, ქეთევან დანელიშვილი, ვა-  
ლიკო რაზმაძე, ელდარ თავდილიშვილი,  
სერგო მელაძე, ვალიკო თხილაშვილი  
და გივი მწერაძე.

სალამო ვრცელი სიტყვით გახსნა  
დ. ანთაძემ. მან ილაპარაკა ძველი და  
ახალი თეატრალური ხელოვნების გან-  
ვითარების გზებზე და ოსური და ქარ-  
თული ხელოვნების მოღვაწეთა შემოქ-  
მედებით მეგობრობაზე. ქართული თე-  
ატრის ტრადიციებზე ილაპარაკა ვ. კა-  
კაძემ. მან თეატრის დასს მიულოცა ახა-  
ლი კადრებით შევსება და დიდი შემოქ-  
მედებით გამარჯვება უსურვა. თეატრს  
ულოცავენ ან. ქუთათელაძე, საქართვე-  
ლოს მხატვართა კავშირის სახელით —

შ. კვასხაძე, ცხიწვალის საზოგადოების  
სახელით — საქართველოს სსრ დამსა-  
ხურებელი მისჯვლებელი ვ. კასრაძე.  
თავის სიტყვაში ერ. ქარელიშვილმა ხა-  
ზი გაუსვა მწერლობის განსაკუთრებულ  
როლს წარსულში და დღეს თეატრალურ-  
ი ხელოვნების განვითარების საქმეში.  
ნ. შვანგირაძემ თავის მისასალმებელ  
სიტყვაში ილაპარაკა ოსური და ქართუ-  
ლი თეატრების შემოქმედებით თანა-  
მეგობრობის ტრადიციებზე. მსახიობებ-  
მა ტ. საყვარელიძემ და გ. საღარაძემ  
წაიკითხეს ლექსები.

დასასრულს ცხიწვალის კ. ხეთაგურო-  
ვის სახელობის თეატრის დირექტორმა  
თ. მულდაროვმა მადლობა გადაუხადა  
ჩამოსულ სტუმრებს. შემდეგ გაიმართა  
ამვე თეატრის ქართული დასის სპექ-  
ტაკლი — ავ. გეწაძის „თოფი და სიყვა-  
რული“.

ასევე ზეიმით აღნიშნა ქართული თე-  
ატრის დღე სოხუმის თეატრმა.

სალამო გახსნა ქართული დასის მთა-  
ვარმა რეჟისორმა ლერი პაქსაშვილმა.  
ქართულ თეატრზე ილაპარაკა საქართვე-  
ლოს სსრ სახალხო არტისტმა ახიზ ავ-  
რამამ, თეატრს მიესალმნენ და დიდი შე-  
მოქმედებით გამარჯვება უსურვეს სსრ  
კავშირის სახალხო არტისტმა ვერკო  
ანჯაფარიძემ, სოხუმის მ. გორკის სახე-  
ლობის პედაგოგიური ინსტიტუტის დო-  
ცენტმა ოთარ ჭურულუამ და მოსკო-  
ველმა რეჟისორმა კ. ვინიოვამ.

საზეიმო ნაწილის დასრულების შემ-  
დეგ გაიმართა ქართული დასის სპექ-  
ტაკლი „მამა, დაადე თოფი“.

რესპუბლიკის სხვა თეატრებმაც აღუ-  
ნიშნავი არ დასტოვეს ქართული თეატ-  
რის დღე. ამ დღისათვის მათ თავისი სა-  
უკეთესო სპექტაკლები შეარჩიეს და  
სპექტაკლის დაწყებამდე მაყურებლებს  
ესაუბრნენ ქართული თეატრის განვლილ  
გზაზე და მის მიმდინარე აზოცანებზე.

ყველგან ამ ზეიმს საზოგადოება გა-  
ცხოველებული ინტერესით შეხვდა.

„პ რ ი მ ი რ ა“

ასე ჰქვია ს. ჭანბას სახელობის სო-  
ხუმის სახელმწიფო დრამატული თეა-  
ტრის პარტორგანიზაციისა და ადგილ-  
კომის ორგანოს — კედლის გაზეთს  
(რედაქტორი ნ. მიქაშაიძე). გაზეთის  
ირგვლივ შემოკრებილია აქტივი, რო-



მელსაც ყურადღების გარეშე არ რჩება თეატრის ცხოვრების არცერთი ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი. თუ გავცნობით გაზეთის ცალკეულ ნომრებს, დარწმუნდებით, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა დაკისრებულ მოვალეობას სარედაქციო კოლეგიის წევრები.

ვინ არიან ისინი, რომლებიც ამ შინაარსიან გაზეთს ქმნიან? ესენი არიან საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ვ. ნინიძე, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ჰ. მარტიროსიანი, მხატვარი საქართველოს სსრ სახალხო არტისტი თ. ყვანილა, რ. ჯობუა, ა. აბლოთია, ა. მუკაბა, ნ. ქაროსანიძე და სხვები.

„პრემიერას“ ფურცლებზე განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა თეატრალური ახალგაზრდობის აღზრდისა და დაოსტატების საკითხებს, სწორედ ამისათვის არის განკუთვნილი რუბრიკი — „ვიცოდეთ ჩვენი თეატრის წარსული“. ახალგაზრდებმა უნდა იცოდნენ თავიანთი თეატრის წარსული. აქ წერენ თეატრის მიერ განხლებულ სახელოვან გზაზე, იმ ადამიანებზე, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მას.

იმათზე, თუ ვინ იყვნენ პირველი სოხუმელი სცენის მოყვარულები, როდის ჩამოყალიბდა აქ პროფესიული დასი, ვის მიჰქონდა პირველი აფურები სოხუმის დრამატული თეატრის მშენებლობისათვის.

სოხუმის თეატრის ისტორიაში ოქროს ასოებითაა ჩაწერილი მრავალი ცნობილი მოღვაწის სახელი. ამ ისტორიას ამშვენებს შ. დადიანის, ვ. გარიკის, ა. ჩხარტიშვილის, ს. ქელიძის, გ. ყუბურული, ბ. ვამრეკელის, ვ. ყუბუტაშვილის, გ. გაბუნია და სხვათა სახელები, რომელთა ფრთებქვეშ იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა სოხუმის თეატრი. ამ თეატრის სცენას ანსოვს სახელოვან მსახიობთა მთელი პლეადა. ამ სცენაზე აიდგა ფეხი არაერთმა, ახლა უკვე საქვეყნოდ განთქმულმა მსახიობმა.

ყველაფერი ეს მართლაცდა უნდა იცოდნენ იმათ, ვინც ახლახან დადგა აქტიორული ხელოვნების დიდ გზას. „პრემიერას“ ფურცლებზე სისტემატუ-

რად ქვეყნდება წერილები სცენის განხლოზრდებულ ოსტატებზე. დღემდე გამოქვეყნდა წერილები საქართველოს სსრ სახალხო არტისტების: აზიზ აგრბას, ლევანსან კასლანძისა და მინაღორა ზავუნას შესახებ, პირველ აფხაზ რეჟისორ ქალზე ნელი აშბაზე და სხვ.

გაზეთი ყოველ ახალ დადგმას ეხმაურება, აქვეყნებს რეცენზიებს, ცალკეული სცენების ფოტოილუსტრაციებს, მაყურებელთა შთაბეჭდილებებს ამა თუ იმ სპექტაკლსა და ცალკეულ შემსრულებლებზე. ამასწინათ „იეთიმ გურჯის“ დადგმას დაესწრო თბილისიდან სოხუმში ჩამოსული პროფესორი ნ. წერეთელი, რომელმაც თავისი შთაბეჭდილება მოათავსა „პრემიერაში“.

სოხუმის დრამატულ თეატრში ფართო მზადებაა გაჩაღებული გლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავის შესახვედრად. ეს მზადება ფართო გაშუქებას პოულობს „პრემიერას“ ფურცლებზე. ერთ-ერთი საუკეთესოა ვ. ი. ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ნომერი, რომელშიაც მრავალი მნიშვნელოვანი მასალა მოთავსებული, მათ შორის წერილი „ლენინის სახე ჩვენს თეატრში“. აქვე მოკლათავსეთ ფოტოსურათები: მსახიობები გ. გაბუნია და რ. აგრა ლენინის როლში.

ქედლის გაზეთი „პრემიერა“ ყოველ მნიშვნელოვან თარიღს შინაარსიანად ეხმაურება.

ქედლის გაზეთს დიდ დახმარებას უწევენ აფხაზეთის საოლქო გაზეთები, ფოტოკორესპონდენტები — კოროტკოვი, ტარასოვი და ალპერტი.

გაზეთი „პრემიერა“ მხარში უდგას თეატრის ღირექიასა და პარტიულ ორგანიზაციის მათ წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში. სწორედ ამ მიზანს ემსახურება გაზეთის ფურცლებზე იმ ნაკლოვანებთა მიზეზბაც, რასაც ადგალი აქვს თეატრის ცხოვრებაში. გაზეთი იბრძვის იმისათვის, რომ მსახიობის მიერ აღძრული საკითხები გამოქვეყნების შემდეგ აუცილებლად გამოსწორდეს.



## ხ ე ლ ი ს მ რ თ ბ რ ბ ა ღ ი რ ლ მ ი ა ე შ ი

— ჩვენ დადგამთ „ჰამლეტს“, — მითხრა თეატრის დირექტორმა ბედენიმ, — პიესას შენ დაწერ!

— შექსპირმა უკვე დაწერა.  
— ეგ ხელს არ გვიშლის, შენ დაწერ, მე რუმინულად გადავთარგმნი, ხოლო ლაცი — რუმინულიდან ინგლისურად.

— რა საჭიროა ინგლისური თარგმანი?  
— იმიტომ, რომ ერნემ უნგრულად თარგმნოს.  
— არაფერი არ გამოვა, ერნემ ინგლისური არ იცის.

— სამაგიეროდ გერმანული იცის. ჯერ გვაიკითხვინოთ თარგმნის გერმანულად, მერე კი ერნე გერმანულიდან — უნგრულად.

— ერნემ არც უნგრული იცის.  
— რა უჭირს, ესპერანტო ხომ იცის. გერმანულიდან ესპერანტოზე თარგმნის, ხოლო ბანდი ესპერანტოდან უნგრულად. სრულიად ადვილი საქმეა, ხომ მართალია?

— ლექსებს ვინდა დაწერს?  
— მანო.

— მანოს ლექსების წერა არ ეხერხება.  
— არა უშავს. ზოლი გადაამუშავებს. შემდეგ ზოლის ნაწერს დენცი გადააქეთებს, ხოლო პეტი დენცის მუსწორებს.

— და მერე დადგამთ ჩემს ჰამლეტს?  
— ოჰო! არც ეგერ იოლია. მერე დევე შექსპირის „ჰამლეტს“ შეადარებს შენსას. თუ შენი აჯობებს, შენსას დადგამთ, თუ შექსპირისა, მაშინ იანოშ არანის თარგმანს წარმოვადგენთ. ცხადია, თარგმანის ზოგიერთ ადგილებს შევასწორებთ. ამ საქმეს იენე მოუვლის.

— იანოშ არანის თარგმანს შესწორებს იენე?  
— რა არის აქ საშიში? მერე ფელიქსი ისე გააუქმებს მთელ შესწორებებს და ჩვენ შექსპირის „ჰამლეტს“ დადგამთ ისე, როგორც იგი იანოშ არანმა თარგმნა.

— ვერ გამოვივა, რა საჭიროა ასეთი გაჭიანურება?

— რა გულბურცვილო შეკითხვაა, ჩემო კარგო, ცოტა ჩვენც ხომ უნდა მოვითხოვთ ხელი!

### ბ უ ლ ზ რ ფ ა ლ ი პ ა ს უ ხ ი

მართი დრამატურგი ქუჩაში ნაცნობს შეგვდა და მისალმებისთანავე ჰკითხა:

— გუშინ თეატრში დაგინახეთ. როგორ მოგეწონათ ჩემი ახალი დრამა?

— ცუდი არ არის, მაგრამ სექტაკლის შემდეგ მთელი დამე არ დამეძინა.

— ალბათ შთაბეჭდილებებით იყავით გატაცებული, არა?

— არა, — სექტაკლზე მეძინა, — მიუგო ნაცნობმა.

### მ ო მ ხ რ ა მ ბ უ ლ ი მ ა ყ უ რ ა ე ბ ლ ი

მართმა ზორბად ჩასუქებულმა ქალმა თეატრის მებღიეთეს ორი ბილეთი აჩვენა.

— იცით რა, — უთხრა დარცხვნით, — ერთს სკამზე ვერ ვეტყვი და ორი ბილეთი შევიძინე.

— საწინააღმდეგო არაფერი არა მაქვს, ოღონდ, იცოდეთ, დაჯდომა გაგიინდობათ, თქვენი ადგილები სხვადასხვა რიგშია.

### ს ა ხ ე ლ ბ ა ნ დ ი მ მ ო ლ ი ფ ა მ ბ უ რ თ ე ლ ი

კინოზაღადღაბისნათვის საჭირო იყო როლის შემსრულებელი, რომელიც კარგად ერკვეოდა ფეხბურთის თამაშში.

რეჟისორთან, რომელიც კანდიდატურებს არჩევდა, გამოცხადდა შესანიშნავი, ათლეტური აგებულების ახალგაზრდა.

— თქვენი სახელი? — ჰკითხა რეჟისორმა.

— უილიამი, — უპასუხა მან.

— გვარი?

— შექსპირი.

— ოჰო, ცნობილი სახელი და გვარი გაქვთ!

— არცთუ ისე, სულ ორი წელია, რაც კალიფორნიის ნაქრებში ვთამაშობ, — მიუგო ოდნავ დარცხვნით ახალგაზრდა სპორტსმენმა.

### ბ ა მ ო ც ლ ა ს ი მ ი ფ ო შ ი ს პ ბ მ ს ბ ა ტ მ

— რა აზრისა ხართ, ფრანც, თანამედროვე გერმანულ კომედიაზე? — ჰკითხა მასწავლებელმა მოსწავლეს.

მოსწავლეს ენა დაება და ტირილი დაიწყო. საგამოცდეს კომისიის თავმჯდომარემ კმაყოფილებით წარმოთქვა:

— საკმარისია, დაბრძანდით. ეტყობა, ამ ყმაწვილს ეს საკითხი სერიოზულად დაუშუშავებია.

### მ ე ს ა ნ ი რ უ ლ - პ ო რ ა უ ლ რ უ ლ ი ბ ა ს ნ ა

— რა არის ოპერა? — ჰკითხა პატარა პანსმა მამას.

— ოპერა ისეთი რამ არის, შვილო, სადაც ერთი აღამაისი მეორეს გულში მახვილს უყრის და დაზარალებულის მკერდიდან სისხლის მაგიერ სიმღერა იღვრება.

თარგმნა შ. ამირანაშვილმა

# „შექსპირის საყვარელი“ ირაკლი კანოზვილი



შექსპირის შესახებ უზარმაზარი სამეცნიერო ლიტერატურაა შექმნილი და როცა მასზე კიდევ ახალი წიგნი ჩნდება ხოლმე, ძალაუნებურად იბადება კითხვა: განა შექსპირზე შეიძლება კიდევ რაიმე ახლის თქმა?! მაგრამ ქვემოთაღნიშნულ ახალ წიგნს აქვს თავისი გამართლება. საქმე ისაა, რომ ყოველი ეპოქა, ყოველი ეროვნული კულტურა შექსპირისა და, საერთოდ, კლასიკურ მეძვიდრეობას ახალი თვალთი უძიქვრის, ახლებურად ხსნის და თავისი ისტორიული მორალური და მხატვრული გამოცდილების ქრილიში ჰკოვტს. გარდა ამისა, შექსპირის დრამების სცენური გააზრება თავისებურ პრობლემებს უყვებდა ყოველი ეპოქის, ყოველ ეროვნულ თეატრს. ყოველივე ამით იბყრობს ყურადღებას ხიკო ყიასავეილის წიგნი „შექსპირის საყვარელი“ („სახეობა საქართველო“, 1969). ავტორი ეყრდნობა შექსპირის შესახებ არსებულ უახლეს სამეცნიერო მასალას, შექსპირის სამშობლოში ხაზგასმულია ყოფინას ძიებულ უშუალო შთაბეჭდილებებს, ითავისწინებს ქართული მკითხველის სპეციფიკურ ინტერესებს, ღეხი ლიტმცოდნეობისათვის უთულო საინტერესოა ცხოვრება და თვალსაზრისი, რომელთაც ავტორი გვთავაზობს შექსპირის ამა-თუ იმ დრამის სცეიურ განსახიერების შესახებ.

ნიკო ყიასავეილი ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ სხვადასხვაგვარად შექსპირის ყოველი დრამა არის პიესა-ხილავი. კომედიითა-გახ პიესა-ხილავის კლასიკური სახეა „მუხაფხულის ღამის სიზმარი“. აქ უხვად არის გამოყენებული სიზმარი და ფანტაზია და სხვადასხვა კომედიური ელემენტები. ნ. ყიასავეილი მიუთითებს, რომ ეს პიესა უაღრესად მდიდარი სცენური შესაძლებლობების შემცველი თანამედროვე თეატრისათვის, მასში ბევრი სცენური სიტუაცია თუ მასისათვის წინდა პიერმითობის პლანში შეიკლება იქნას წარმოდგენილი, „რაც რეჟისორის საძულებას მისცემს შექსპირის ამ კომედიის ერთგვარად თანამედროვე თვალთი შესხედოს“ (გვ. 49). ღიდ ყურადღებას უთმობს ნ. ყიასავეილი აგრეთვე „ჭირვეულის მორჩულებს“ განხილვას შექსპირის მსოფლგანცდის დასახაი-თელად, ღეჩრდება ამ დრამის სცენური გააზრების საკითხებზე. ავტორი მოგვავიხებს, რომ ამ ნაწარმოების დღემას მდიდარი ტრადიცია აქვს ქართულ სცენაზეც.

ნ. ყიასავეილი თავის წიგნში სამართლიანად აღნიშნავს, რომ ახლა, როცა ჩვენს თეატრს ერთგვარი გამოცოცხლება დაეტყო და არის ცდები ტრადიციის შემდგომი განვითარებისა და თანამედროვე თეატრალური კულტურისათვის შესაფერი ახალი მხატვრული ხერხების დახერგვისა, „ჭირვეულის მორჩულება“ თავისი შინაარსისა და ფორმის თვისებებებებით შეიძლება ბევრის მომცემა ვახდეს. ჩვენს სცენისათვის.

საყურადღებოა „შექსპირის საყვარელი“ ე. წ. „ფოლსტაფური ფონის“ განხილვა. ავტორის აზრით, დრამაში უინფორმლა მზიარული ქალ-

ბი“, სხვა დრამებისაგან განსხვავებით, ფოლსტაფი განსხვავებულ სოციალურ გარემოშია მოთავსებული, — იგი მოწყვეტილია დაბალი ფენისაგან. ამით, — აცხადებს ნ. ყიასავეილი, — შექსპირი ახდენს ერთი და იგივე პერსონაჟის გარდასახვას, რითაც „მის ორ ნიღაბს ქმნის“, ამაში უნდა დავინახოთ „საერთოდ კომედიური ხაზის თანდათანობითი ჩაქრობა და ახალი, ტრაგედიული მსოფლგანცდის ჩასახვის პროცესი“ (გვ. 53). ყიასავეილი იხსენებს ღიდი ილიას სიტყვებს ფოლსტაფის სახის უკუდავ ზოგადობაზე და აღნიშნავს, რომ ღიდი ხანია მომწიფდა ქართული ფოლსტაფის შექმნის საკითხი, რომ საჭიროა ქართულ სცენაზე აღდგეს „ჩვენს საზოგადოებაშიც არსებული პროტოტიპი სერ ჭონისა...“, რომელიც საქვეყნოდ გახდის ზოგიერთათვის ზეგობრივ ნორმად ქვეულ გაუმაღრობას, ცონიხმსა და კვეხნა-ბაქიობას“ (გვ. 55).

შექსპირის ტრაგედიებს, მისი „ტრაგედიული ნიღბის“ განხილვისას ამ წიგნში რამდენიმე საინტერესო დაკვირვება და თვალსაზრისი იბყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. ნ. ყიასავეილი აღნიშნავს, რომ „ჰამლეტში“, ცხადია, ჩანს მთავარი გმირისა და დრამატურის დამოკიდებულება (კერპოდ, ინდიფერენტული) ამსოლუტიზმის იდეალებისადმი. მაგრამ საგულისმზოა, რომ ანრღილთან საუბარში ჰამლეტი, უპირველეს ყოვლისა, ემყარება ზოგადდამიანურ თვალსაზრისის და არა „ვიწრო პოლიტიკურს“, — „ჰამლეტი“ „ფაქტურად თავისუფალია კონკრეტული პოლიტიკური ტენდენციისაგან“ (გვ. 82). ეს თვალსაზრისი შეიძლება პრობლემური იყოს, მაგრამ იგი უთუოდ დამაფიქრებელია. ამ მხრივ საინტერესო იქნებოდა პარალელის გაკვლევა ესქილეს „ანტიგონასთან“ და ვეაფშაველს „სტუმარ-მასპინძელთან“.

ნ. ყიასავეილი იცავს აგრეთვე საინტერესო თვალსაზრისს, რომ მოგვინათა სიღრმეში ჩახედვის ღრმა უნარი გარკვეულად ბოჭებს ჰამლეტის ქმედუნების, რადგან მისთვის საპრობილეა არა მხოლოდ დაინა, არამედ მთელი ქვეყანაც. ცხადია, ავტორი არა ნაკლებ საინტერესოდ გვიჩვენებს შექსპირის დრამის ელდაზრსაც და ახალი დროის „ჰამლეტისმის“ პრინციპულ სხვაობასაც. იქნებ არც ისე უაღცილო იქნება, თუ აქვე აღნიშნავთ, რომ წუთისათვის საპრობილად და „უთუველ საწყაულად“ ხედვისა და ადამიანის დანიშნულების საკითხის დასმის თვალსაზრისით ღიდი ერთობაა „ჰამლეტსა“





და ბარათაშვილის პოეზიის შორის, და ამდენად შეიძლება ლაპარაკი ბარათაშვილის გარკვეულ „ამოღებულ“ სავსესთან, რომ შექსპირის ტრაგიკული, მისი ბოლო დრამების სკეფსისისა და მეღანეოლის დახასიათებისას ნ. ყიასაშვილი აყენებს უაღრესად საინტერესო დებულებას, რომ შექსპირის მსოფლგანცხადის განსაზღვრავს არა მხოლოდ დისპარზონის შეგრძობა, არამედ აგრეთვე მისი „დაძლევის პათოსი“ (გვ. 115). ასეთი პათოსი დამახასიათებელია ბარათაშვილის ლირიკისათვისაც. საერთოდ, ნ. ყიასაშვილის „შექსპირის სამყაროში“ არა ერთ საინტერესო ფიქრს აღძრავს...

ნ. ყიასაშვილის წიგნში საინტერესო ცნობებია ინგლისისა თუ სხვა ქვეყნებში შექსპირის ბოლოდროინდელ დადგმებზე, რომელთაგანაც ზოგი ავტორის თვითონ აქვს ნახა. ნ. ყიასაშვილი ეხება შექსპირის დრამების ზოგ ქართულად დადგმასაც, კერძოდ, „მეფე ლორს“ ს. ზაქარიძის მონაწილეობით. რაც შეეხება ინგლისურ სცენას, ნ. ყიასაშვილი წერს, რომ 60-იანი წლების შემდეგ ინგლისური შექსპირის დრამე-

ზის დადგმა „ტრადიციული რომანტიზაციის დაძლევის გზით განვითარდა“ (გვ. 108), რომ „დრამატიზაციის“ მაღალი ნიმუშებია პარლამენტული სკოფილდის ილია და ლორენს ოლივეის ოტელი. იქნებ ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი დროის ადამიანებს „რომანტიული სტილი“ არაბუნებრივად ეჩვენებათ. ამ საკითხზე ღირს დაფიქრება სხვადასხვა თეატლსტრისთვის, ვინაიდან დღევანდელი ქართული თეატრი, ჩვენი დროის, „რომანტიზაციის“ დიქომანტიზაციის“ წინაშე მდგომ სტადიაზე იმყოფება.

წიგნის ბოლო თავში მოცემულია შექსპიროლოგიური სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი ტენდენციებისა და უმთავრესი ნაშრომების მიმოხილვა, რაც საინტერესო იმდენად, რამდენადაც ქართული შექსპიროლოგიური სამეცნიერო ლიტერატურა ჯერჯერობით აგრც იხე მდებარეა. ნ. ყიასაშვილის წიგნი „შექსპირის სამყაროში“ დგას თანამედროვე ლტმცოდნეობის მოთხოვნებისა და დღეზე და იგი სტიმულის მიმცემი იქნება ყველასათვის, ვინც დაინტერესებულია შექსპირის დრამებით.

## „ილია ჭავჭავაძის უცნობი წერილები თეატრის შესახებ“

### ერემიო ქარელიშვილი

ამ სათაურით მკითხველმა ახლახან მიიღო თეატრმცოდნე ნადია შალუტაშვილის საინტერესო ნაშრომი, რომელიც საქართველოს თეატრალური საზოგადოების შეკვეთით „ხელოვნებაში“ გამოცა. ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლას ჩვენს დროში მეტად დიდი ყურადღება ექცევა ეს ბუნებრივია. ილიას სახელთან დაკავშირებულია მთელი უზარმაზარი ეპოქა ჩვენი კულტურული ცხოვრებისა და საზოგადოებრივი აზროვნებისა. ნახევარი საუკუნის მანძილზე, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა განახლებასა და მძლავრ აღორძინება-განვითარების იწყებს თითქმის ყველა დარგი კულტურისა, ხელოვნებისა, აზროვნებისა, იგი სათავეში ედგა და წარმართავდა პროგრესულ მოძრაობას, ერის სასიცოცხლო ინტერესებს.

უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე მრავალჯერ გამოიკა ილიას მხატვრული და პუბლიცისტური ნაწარმოებები, ქართული მკითხველის ბოლითიყვას ამშვენებს პ. ინგოროყვას რელაქციით გამოცემული ილიას თხზულებათა ანტოლოგიური, სხვადასხვა ავტორთა მონოგრაფიული ნაშრომები, რომელთაგან განსაკუთრებით აღინიშნის ლირისა აკადემიკოს გ. ჭიბლაძის ფუნდამენტალური გამოკვლევა „ილია ჭავჭავაძე“. ქართული მეცნიერები სავანებო ნაშრომებს მიუძღვნა ილიას პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, ესთეტიკურ, პედაგოგიურ შეხედულებებს. მეტად დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ილია ჭავჭავაძის როლის აღსწავლასა და გაშუქების ქართული თეატრის აღორძინებასა და განვითარებაში, ცნობილია, რომ ილიას და აკაცის თაოს-

ნობით განახლდა 1879 წელს ქართული თეატრი, მრავალი წლის მანძილზე ისინი სათავეში ედგნენ დრამატულ საზოგადოებას და პრაქტიკულად წარმართავდნენ თეატრის საქმიანობას. ფასდაუდებელია ილიას როლი აგრეთვე ქართული თეატრის შემოქმედებითი პრინციპების ჩამოყალიბების საქმეში. ილია ჭავჭავაძე იყო ერთი პირველთაგანი, რომელმაც თეორიულად გაიაზრა კრიტიკული რეალიზმის თეატრის მხატვრული თავისებურება, მოგვცა გარკვეული, მწყობრად ჩამოყალიბებული დებულებები მის ცალკეულ კომპონენტებზე, კერძოდ აქტიურულ ხელოვნებაზე. ილია ჭავჭავაძე კარგად იცნობდა რუსული და ევროპული მოწინავე თეატრების მღწევეებს, იყენებდა ამ მიწვევებს, მაგრამ ილიაზე უკეთესად არავის ესმოდა ის თავისებურება, რომელსაც ქართულ თეატრს საქართველოს ისტორიული ბედი კარნახობდა.

ამიტომ იყო, რომ ილია, მიუხედავად უდიდესი გადატვირთვისა, ყოველთვის პოულობდა დროს სპექტაკლებიც ენახა, დასისთვისაც ხელმძღვანელო, თუ ეს აუცილებელი იყო, წერილებიც ეწერა და მისთვის ჩვეული პირთუნელობით გაერჩია პიესები, სპექტაკლები, ცალკეული მსახიობების თამაში.

მისი წერილები თეატრზე, რომელთაც მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავთ, დიდი სკოლა იყო. ილიას წერილები თეატრის ყოველ პრაქტიკულ მოღვაწეს თავისი პროფესიის დაუფლებას უადვილებდა, გონებრივად ამაღლებდა, თეორიულად წყობინდა. დიდი დაკვირება არ არის საჭირო იმის გასაგებად, რომ რევოლუციამდელი თეატრალური აზროვნების განვითარებას, დრამატული დასების შემოქმედებითი პრინციპების გამოქვეყნებას ილიას შეხედულებები ედო საფუძვლად.



აი რატომ არის, რომ ილია ჭავჭავაძის თეატრალური შეხედულებების შესწავლა-გაშუქებას, ილიას უცნობი თეატრალური წერილების მოკვლევასა და გამომზეურებას ასე დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი თეატრმოცდნეები. თითქმის ყველა მეცნიერს, მკვლევარს, რომელიც კი ილიას თემას შეხება, გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ამ საქმეებში. ნადია შალუტაშვილის მეცნიერულ კეთილსინდისიერებაზე მეტყველებს ის, რომ იგი არავის არ იფიქრებს და თავის მცირე მოცულობის ნაშრომში ყველას თავისას მიუზღავს. ამასთან დამსახურებულად გამოჰყოფს განცალკევებით განსვენებულ მკვლევარს პლ. კეშელავას და კ. მარქსის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის მეცნიერ თანამშრომელს თამარ მაჭავარიანს. მათ ნამდვილად მიუძღვით თვალსაჩინო წვლილი თეატრის შესახებ ილია ჭავჭავაძის მთელი რიგი უცნობი წერილების გამოვლენის საქმეში. პირველი გზამკვლევეები თვით იმ წერილებსაც, რომლებიც ნადია შალუტაშვილის მეცნიერული კვლევის საგანი გახდა, ილია ჭავჭავაძის „ივერიის“ იმდროინდელი თანამშრომელი მწერალი არ. ახნაზაროვი, პრ. კეშელავა და თ. მაჭავარიანი არიან.

მაგრამ ნ. შალუტაშვილის ნაშრომის ღირსება ისაა, რომ ავტორი გზამკვლევთა მითითებით არ კმაყოფილდება და მეცნიერული ანალიზის გზით გვაჩერებს სარკვევნიო ნაშრომისათვის დართული „ივერიის“ ხელმოუწერელი წერილების ნამდვილად ილიაეულობას. ნ. შალუტაშვილის მეცნიერული ანალიზი მეთოდოლოგიურად ზუსტია და ეჭვისათვის ადვილს ადარ სტოვებს. თეატრის შესახებ ილიას ცნობილი და უცნობი წერილების სტილის, ლექსიკის, თემისა და პრობლემატიკის, ხატოვანი გამოთქმების შეპირისპირებით, აზრის სიახლის ილიასებური სითამამით, სიღრმით, პირუთვნელობით, კრიტიკული პათოსით, ერისა და თეატრის ბედზე მზრუნველობით საესეებით ნათელი და დამაჯერებელი ხდება ილიას ავტორობა. ამიერიდან ეს წერილები ილიას თხზულებებში უნდა შევიდეს და თეატრის ისტორიის მკვლევარებმა თამაშად ისარგებლონ მათში გამოთქმული შეხედულებებით.

ნადია შალუტაშვილის ეს მეცნიერული ნარკვევი გულწრფელად იმსახურებს მოწონებას, საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ მისი გამოცემით სასარგებლო საქმე გააკეთა.

## თეატრალური ლიგარაგვარის ბიბლიოგრაფია

1951 — 1960

აგჩიანი ს. ქართულ-სომხური თეატრალური ურთიერთობანი. — თბ., „ხელოვნება“, 1960. 175 გვ.

არაყიშვილი დ. რაჭული ხალხური სიმღერები. — თბ., „ხელოვნება“, 1950. 80 გვ.

ბურთიაშვილი ალ. ალექსანდრე ყაზბეგი სცენაზე. — თბ., „ხელოვნება“, 1955. 126 გვ.

ბურთიაშვილი ა. თეატრალური პორტრეტები (თეატრისა და დრამის მსახიობები). — თბ., „ხელოვნება“, 1958. 243 გვ.

ბურთიაშვილი ალ. სცენის ოსტატები (პორტრეტები). — თბ., „ხელოვნება“, 1951. 272 გვ.

ბურთიაშვილი ალ. შაქრო გომელაური. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 39 გვ.

ბურთიაშვილი ა. ცეკვის ჯადოქარი (ვახტანგ ჭაბუკიანი). — თბ., „ხელოვნება“, 1960. 199 გვ.

ბუხნიკაშვილი გ. ავაკე ვასაძე (ზიოგრაფია). — თბ., „ხელოვნება“, 1959. 31 გვ.

ბუხნიკაშვილი გ. ქართული თეატრი რუსეთის პირველი რევოლუციის წლებში. თბ., „ხელოვნება“, 1955, 97 გვ.

გავაშვილი დ. ია კარგარეთელი. მონოგრაფია. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 134 გვ.

გარიცი ვ. თეატრი. (ერ. ქარელიშვილის შესავალი წერილი, გვ. 5—15) თბ., „ხელოვნება“, 1958. 218 გვ.

გარიყული მ. თეატრალური მოგონებანი. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 118 გვ.

გერსამია ს. ავაკე ხორავა. (ცხოვრება და მოღვაწეობა). — თბ., „ხელოვნება“, 1956. 24 გვ.

გერსამია ს. სოხუმის თეატრი. — სოხუმი, აფხაზეთის ასსრ სახელგამი. 1951. 172 გვ.

გერსამია ს. შალვა დადიანი. (ზიოგრაფია). — თბ., „ხელოვნება“, 1954. 35 გვ.

გვარამე ნ. თეატრალური მემორები. — თბ., „ხელოვნება“, 1952 წ., 2. 164 გვ.

გვარამე ნ. რუსი და უკრაინელი მსახიობები საქართველოში. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 107 გვ.

გიორგი წერეთელი თეატრის შესახებ (გიორგი წერეთელი, როგორც თეატრალური კრიტიკოსი. — შ. სალუქვაძე). — თბ., „ხელოვნება“, 1955, 247 გვ.

გომელაური შ. მოგონებანი. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 123 გვ.

გრიშაშვილი ი. თეატრალური წერილები. — თბ., „ხელოვნება“, 1960. 167 გვ.

დადიანი შ. რაც გამახსენდა. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 301 გვ.

დადიანი შ. რჩეული წერილები. წ. 1-ლი. — თბ., „ხელოვნება“, 1950. 208 გვ.

დადიანი შ. წერილები. — თბ., „ხელოვნება“, 1954. (საქ. თეატრალური საზ-ბა). წ. 2. 248 გვ.

დავითაია ე. მერაბ ხინციძე. საქართველოს სსრ სახალხო არტისტი.—ბათუმი (აჭარის ასსრ), სახელგამი. 1957. 104 გვ.

ენუქიძე ლ. ორატორული ხელოვნება. — თბ., „საბჭოთა საქართველო“, 1958. 72 გვ.

ვართაგვა ი. ილია ჭავჭავაძე, თეატრალური კრიტიკოსი. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 80 გვ.

ზაიაველინი გ. სადადგმო ნაწილი თეატრში. (თარგმ. და წინასიტ. დ. ანთაძის). — თბ., „ხელოვნება“, 1958. 198 გვ.

თაქაიშვილი გ. ევგენი მიქელაძე. (მონოგრაფია). — თბ., „ხელოვნება“, 1959. 137 გვ.

თევზაძე ა. უშანგი ჩხეიძე. მონოგრაფია. — თბ., სახელგამი, 1955. 172 გვ.

ილია ჭავჭავაძე. წერილები თეატრის შესახებ. (კრებულში შეადგინა, შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთო ნოდარ გურაბანიძემ). — თბ., „ხელოვნება“, 1955. 152 გვ. (საქ. თეატრალური საზოგადოება. ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ).

კასრაძე დ. ალექსანდრე წუწუნავა. (მონოგრაფია). — თბ., „ხელოვნება“, 1957. 114 გვ.

კაშმაძე შ. თბილისის თეატრისა და ბალეტის თეატრი. მასალები ისტორიისათვის. — თბ., „ხელოვნება“, 1955. (საქ. თეატრ. საზ-ბა). 2. 1921-1951. 642 გვ.

კვეციშვილი ნ. პავლე ფრანგიშვილი. — თბ., „ხელოვნება“, 1956. 72 გვ.

კიკნაძე ვ. ემანუელ ფხვიძე. — თბ., „ხელოვნება“, 1960. 39 გვ.

ლაღო მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო თეატრი. (პროგრამა). — თბ., 1960. 64 გვ.

მელაშვილი დ. ისნის სახალხო თეატრის წარსულიდან. (შესავალი წერილი ალ. ბურთიაშვილის). — თბ., „ხელოვნება“, 1955. 79 გვ.

მესხი ს. წერილები თეატრის შესახებ (კრ.



შეადგინეს შესავალი წერილი და შენიშვნები დაურთეს შ. სალუქვაძემ და ვ. ლოლაძემ). — თბ., „ხელოვნება“, 1958. 191 გვ.

**მსახიობის ოსტატობის კურსის პროგრამა** — თბ., 1952. 20 გვ.

**ნიკოლონი ლ.** ფეოდორ შალიაბინი. ცხოვრებისა და შემოქმედების ნარკვევი, თარგმ. ე. უთურგაშვილისა. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 210 გვ.

**ნინიძე ვ., გერსამია ს.** და **შვანგირაძე ნ.** თბილისის სასკულტურის თეატრი. — თბ., „ხელოვნება“, 1955. 108 გვ.

**რადიანი შ.** აკაკი წერეთელი და ქართული თეატრის პრობლემები. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 100 გვ.

**რიშკოვი ი.** ალექსანდრე დილმელი. (მონოგრაფია). — თბ., „ხელოვნება“, 1959. 51 გვ.

**სანდრო ახმეტელი.** კრებული. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 279 გვ.

**ურუშაძე ვ.** მოგონებანი. — თბ., „ხელოვნება“, 1951. 118 გვ.

**ურუშაძე ნ.** ცაცა ამირეჯიბი. მონოგრაფია. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 106 გვ.

**ფალავა ა.** ვასო აბაშიძე. (მოკლე მიმოხილვა). — თბ., „ხელოვნება“, 1954. 28 გვ.

**ფრანგიშვილი პ.** როგორ დავეუფლოთ სასცენო ხელოვნებას. თეატრალური კოლექტივების დასახმარებლად. — თბ., 1955. 58 გვ.

**ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ.** წ. I. — თბ., „ხელოვნება“. 1951. (საქ. თეატრალური საზოგადოება). **ვასო აბაშიძე.** დ. ჯანელიძის რედ. და შესავალი წერილი. 178 გვ.

**ღვინიაშვილი ა.** მოზარდ მაცურებელთა თეატრი — თბ., „ხელოვნება“, 1956. 268 გვ.

**ღვინიაშვილი ა.** მოხეტიალე მუსიკოსი ილიკო ქურხული. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 54 გვ.

**ყურულაშვილი ლ.** გოგუცა კუბრაშვილი. მონოგრაფია. — თბ., „ხელოვნება“, 1956. 80 გვ.

**შალუტაშვილი ნ.** ა. ოსტროვსკი ქართულ

სცენაზე. — თბ., „ხელოვნება“. 1958. 207 გვ. **ჩხეიძე ნ.** მოგონებანი. — თბ., „ხელოვნება“, 1950. 183 გვ.

**ჩხეიძე ჯ.** იუსუფ კობლაძე. საქ. სსრ სახალხო არტისტი. — ბათუმი, სახელგამი, 1956. 36 გვ. **ცაბაევი ვ.** კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო დრამატული თეატრი. — სტალინირი, სამ. ოსეთის სახელგამი. 1957. 44 გვ.

**ციციშვილი ს.** ნიკო ავალიშვილი. მონოგრაფია — თბ., „ხელოვნება“, 1955. 103 გვ.

**ცამციშვილი ა.** ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში. — თბ., პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, 1959. 48 გვ.

**ციციშვილი გ.** თანამედროვე ქართული დრამატურგიის იდეურობისა და მხატვრობის შესახებ. — თბ., საქ. სსრ მეც. აკად. გამ-ბა, 1958. 84 გვ.

**ციციშვილი გ.** შალვა რადიანის დრამატურგია. — თბ., „ხელოვნება“, 1955. 280 გვ.

**ციციშვილი გ.** წერილები თეატრსა და დრამატურგიაზე. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 322 გვ. **ძიძაძე ე.** მიხეილ გლინკა. — თბ., ხელოვნება“, 1959, 72 გვ.

**წულუაძე თ.** თვითმოქმედი თოჯინების თეატრი. — თბ., „ხელოვნება“, 1959. 84 გვ.

**ქეიშვილი ს.** ვასო ყუშიტაშვილი. (მონოგრაფია). — თბ., „ხელოვნება“, 1957. 159 გვ.

**ხუციშვილი ს.** აქქესენტი ცაგარელი (ცხოვრება და მოღვაწეობა). — თბ., „ხელოვნება“, 1958. 134 გვ.

**ხუჭუა პ.** დუდე ძნელაძე — თბ., „ხელოვნება“, 1960. 27 გვ.

**ხუჭუა პ.** მელიტონ ბალანჩივაძე. მონოგრაფია. — თბ., „ხელოვნება“, 1950. 180 გვ.

**ჯანელიძე დ.** სახიობა. თეატრალური ნარკვევები და წერილები. — თბ., „ხელოვნება“, 1958. 225 გვ.

**ჯაყელი ა.** 45 წელი სასოფლო სცენაზე. — თბ., „ხელოვნება“, 1952. 103 გვ.

## СО ДЕРЖАНИЕ

К знаменательному юбилею (Пленум Правления Театрального общества Грузии)	1
Г. Чабиева — У очагов культуры областей	6
Додо Аптадзе — Кутаисский оперный театр	8

### У театральной афиши республики

Этери Гугушвили — «Мачеха Саманишвили»	10
Рута Беродзе — Спектакль, вызвавший споры	12
Рубен Четити — Революционный спектакль	14
Ноа Гуния — Три дебюта	16
Георгий Мачутадзе — «Чертов треугольник»	17
Мзия Шенгелиа — Любимый спектакль детей	18
Отар Мампориа — «Привратник» (стихотворение), Морис Поцхишвили, — «Умирающий лебедь», «Баллада о комедиантах» (стихи)	19
Амиран Каладзе — Грузинская драматургия на эстонском языке	20

### Вспомним заслуженных

Елена Квирквелия — Зураб Антонов	22
Нико Гочашвили — Георгий Арадели-Ишхели	23
Цаца Амiredжиби — Маленькое воспоминание	24
Шахро Гомелаури — На сцене и в жизни	25
Давид Чхеидзе — Арета Лолуа	26
Бажа Чинчаладзе — С бескорыстной любовью	29
Серго Цагарейшвили — Заслуженный	32

### Наша публикация

Письмо Михаила Корели Акакию Пагава	35
-------------------------------------	----

### Прощание

Николоз Мамадашвили	37
---------------------	----

### Хроника

День грузинского театра	38
Вечер памяти артиста	34
«Премьера»	39

### Юмор

Дьерд Микеш — Погредли руки	41
-----------------------------	----

### Книжная полка

Ираклий Кенчовили — «В мире Шекспира»	42
Еремия Карелишвили — «Неизвестные статьи Ильи Чавчавадзе о театре»	43
Библиография театральной литературы (1951—1960)	45